დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ-ნოდარ ახალკაცის სახელობის ქალაქ თბილისის N9 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: მამუკა ხამხაძე
წევრები:
ნინო გედეხაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,
მარინე ვაჩეიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
ირმა ბოლქვაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
ვალერიანე ვოლჩანსკი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი,
ლეილა ხელისუფალი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,
ოლიკო კილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,
მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,
ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,
დომინიკა აბაშიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი,
ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი,

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ნოდარ ახალკაცის სახელობის ქალაქ თბილისის N9 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	200007722

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	სააკაძის ქუჩა #29
საფოსტო ინდექსი	0167
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi9@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 9 26 0000356598 25/03/2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 13-14 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	**ქ. თბილისის სააკაძის ქ. N 29, ერთი ძირითადი შენობანაგებობა.**
	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	**ქ. თბილისის სააკაძის ქ. N 29, ერთი ძირითადი შენობანაგებობა.**
	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	**ქ. თბილისის სააკაძის ქ. N 29, ერთი ძირითადი შენობანაგებობა.**

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

მიმდინარე წლის 13 და 14 მაისს სსიპ - ნოდარ ახალკაცის სახელობის ქალაქ თბილისის N9 საჯარო სკოლაში შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელი დამატებითი დოკუმენტების სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით (ადგილზე ვიზიტი), რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს - სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს, სკოლის ბიბლიოთეკარის მ/შ, ექთანს, ბუღალტერს, სკოლის სტრატეგიულ დაგეგმვაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის წევრ მასწავლებლებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან, საბაზო და საშუალო საფეხურის 14 მოსწავლესთან და სამივე საფეხურის 10 მშობელთან.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო ყველა საგნობრივ ექსპერტს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან. ვიზიტის დროს პროცესში ჩართული იყო დაწყებითის საგნობრივი ექსპერტიც, რომელიც მონაწილეობდა შესაბამისი საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუებში და საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმის შედგენაში. ვიზიტის მე-2 დღეს ონლაინ ფორმატში გაიმართა ექსპერტების კიდევ ერთი შეხვედრა-გასაუბრება საგნობრივ კათედრებთან, სადაც მოხდა შესწავლილი მასალების გაანალიზება და ძირითადი მიგნებების გაცნობა.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო ყველა საჭირო მტკიცებულების წარმოდგენა. მასწავლებელთა გუნდი და ადმინისტრაცია გამოირჩეოდა მაღალი მიმღებლობით, წარმოდგენილი მასალები იყო ორგანიზებული და ოპერატიულად მოწოდებული. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ **შეესაბამება**

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1200	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	ორცვლიანი სწავლის პირობებში

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობის განხორციელება - სართულებს შორის არსებული კიბის მოაჯირებს შორის ღიობების შევსება გეგმით დათქმულ ვადებში 14.05.2026წ. – 13.05.2028წ.

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
ინდიკატორი N3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის შესრულება - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ახალი კადრის აყვანა გეგმით დათქმულ ვადებში - 14.05.2026წ. – 13.05.2027წ.
ინდიკატორი N3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის - შენობის რეაბილიტაცია ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოსთან კომუნიკაციით - განხორციელება გეგმით დათქმულ ვადებში 14.05.2026 – 13.05.2028წ.
ინდიკატორი N3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის ინკლუზიურ გარემოს.	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობის შესრულება - სართულებზე გადასაადგილებელი და სკოლაში შემოსასვლელი პანდუსის, ასევე ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა გეგმით დათქმულ ვადებში - 14.05.2026 წელი - 13.05.2028 წელი.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საბაზო და საშუალო საფეხური)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრულად აღჭურვა, კერძოდ, დამონტაჟდეს სადემონსტრაციო ცეცხლგამძლე მაგიდა, გამწოვი კარადა და ონკანი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში: 3.10.2026წ.-1.10.2027წ.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	მიზანშეწონილია, ხედვაში ჩანდეს დროის განსაზღვრული პერიოდი და კონკრეტული მისწრაფებები და სკოლისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა. მაგ. მითითებულია უახლესი განათლებასა და სწავლების მეთოდებზე დაფუძნებული განათლება, მაგრამ არ იკითხება კონკრეტული მინიშნება რა იგულისხმება/რა მიმართულება კონკრეტული სკოლის შემთხვევაში ამ მიდგომებში.
ინდიკატორი N1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/ სტრუქტურული ერთეულები და	მიზანშეწონილია, სამოქმედო გეგმის აქტივობები არ იყოს ზოგადი ხასიათის და მათში გაწერილი იყოს კონკრეტული ნაბიჯები, რაც სკოლას მისცემს შესაძლებლობას რეალისტურად და პრაქტიკულად შეაფასოს აქტივობის განხორციელება და შეიმუშავოს მათი შესრულების გაზომვადი ინდიკატორები.

	შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.2.1.	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	**მიზანშეწონილია,** ადამიანური რესუსრების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში ზუსტად იყოს გაწერილი რა მექანიზმები გამოიყენება სკოლაში პედაგოგების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის და ვინ ახორციელებს მათი საქმიანობის შეფასების პროცეს
ინდიკატორი N3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	**მიზანშეწონილია,** სკოლამ შეიმუშავოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწეროს განსხვავებული ყველა თანამდებობებისათვის ინდივიდუალურად.
ინდიკატორი N3.1.2.6.	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების გაზიარებისა და აღიარების მექანიზმი	**მიზანშეწონილია,** სკოლამ დოკუმენტურად შეიმუშავოს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.
ინდიკატორი N3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	**მიზანშეწონილია,** სკოლამ შეიმუშავოს კონკრეტული მექანიზმები პროფესიული განვითარების საჭიროებების დასადგენად. მექანიზმში განსაზღვრული უნდა იყოს: შეფასების სახე, შეფასების პერიოდი, შემფასებლები და სხვა. მნიშვენლოვანია, რომ სამუშაოს შესრულების მონიტორინგი მოხდეს დაწესებულების მიერ წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში. სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს მონიტორინგის შედეგების ანალიზი.
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას	**მიზანშეწონილია,** სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება გადამზადების ვადიანი სერტიფიკატი/დიპლომი. სკოლას შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია

		გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც მას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.
ინდიკატორი N3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ დანართი #1.2. სკოლებში მოსწავლეთა და სამედიცინო პერსონალის რაოდენობათა თანაფარდობის გათვალისწინებით, **მიზანშეწონილია, სკოლამ გამოაცხადოს კონკურსი ექიმის პოზიციაზე.**
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(დაწყებითი საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**სახელმწიფო ენა:** სასურველია, დაწყებით საფეხურებზე წარმოდგენილ კურიკულუმებში: ა) მოწესრიგდეს და სწორად განისაზღვროს სტრუქტურული ერთეულების შინაარსი. კერძოდ, გაიმიჯნოს კონტექსტმაგალითები სასწავლო რესურსებისაგან და საკითხი შემოქმედებითი დავალების იდეისაგან; ბ) სამივე საფეხურის კურიკულუმის

		თავფურცელში მიუთითეთ წლიური ან სემესტრული საათობრივი დატვირთვა. **ბუნებისმეტყველება: მიზანშეწონილია,** როგორც დაწყებით ისე საბაზო და საშუალო საფეხურზე ყველა საბუნებისმეტყველო საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი სავალდებულო თემები და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნები, გაიწეროს ყველა საფეხურის ყველა თემაში და საკითხები/საკითხთა კლასტერები დაკონკრეტდეს, რათა მოერგოს მოსწავლის საჭიროებებს, გახდეს მოსწავლეზე ორიენტირებული. **უცხო ენა:** სასურველია, კურიკულუმში გაწერილი იყოს ყველა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც მოსწავლეები სასწავლო წლის განმავლობაში ქმნიან (გასაუბრების დროს მოყვანილი იყო ბევრი მაგალითი). **მათემატიკა: მიზანშეწონილია,** კურიკულუმი ჩასწორდეს სვეტების სათაურის შესაბამისად: ცნების გრაფაში დაიწეროს ცნება, თემის შესაბამის სვეტში თემა. შეივსოს ყველა განყოფილება, რაც წარმოდგენილია კურიკულუმებში. მითითებულ იქნას სახელმძღვანელოდან შესაბამისი გვერდები. ინტერვიუს დროს გაჟღერებული დიფერენცირებული სწავლების მიდგომები ჩაიწეროს კურიკულუმში. იყოს შევსებული ისე, რომ შესაძლებელი გახდეს წაკითხვა.
ინდიკატორი ***2.1.2.2.***	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**უცხო ენა: მიზანშეწონილია** კურიკულუმების შედგენის დროს უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებმა პირველ რიგში იხელმძღვანელონ ესგ-ის ბოლო ვერსიით და ზუსტად გადაიტანონ ესგ-დან კურიკულუმში თემების და ცნებების დასახელება. **ტექნოლოგიები:** სასურველია, პედაგოგებმა უფრო აქტიურად ჩაატარონ სხვადასხვა საგნისა და კომპიუტერულ ტექნოლოგიების ინტეგრირებული გაკვეთილები, ასევე მოსწავლეები მეტად წაახალისონ, რომ მონაწილეობა მიიღონ არაფორმალურ აქტივობებში, როგორიცაა ტექნოლოგიური კონფრენციები, ოლიმპიადები, კონკურსები, ვორკშოფები და ა.შ.

		საზოგადოებრივი მეცნიერებები: მნიშვნელოვანია, დაწყებით საფეხურზე, ყველა კლასის კურიკულუმში, სტანდარტით განსაზღვრული თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში მკაფიოდ გამოიკვეთოს მიმართება საგნობრივ საკითხებსა და სამიზნე ცნებებს შორის (მოცემული რჩევა მიემართება მე და საზოგადოებას). ამასთანავე, მნიშვნელოვანია, საგნობრივ კურიკულუმებში თითოეულ სავალდებულო თემაში სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნების დასამუშავებლად განისაზღვროს საგნობრივი საკითხები. ამასთანავე, სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები დაჯგუფებულად დამუშავდეს, რაც საკითხებს შორის არსებული კავშირებისა და შესაბამისად, სტანდარტით განსაზღვრული შედეგების სიღრმისეულად გააზრებას/მიღწევას უზრუნველყოფს.
ინდიკატორი ***2.1.2.3.***	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**სახელმწიფო ენა:** სასურველია, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, განსაკუთრებით საბაზო საფეხურის კურიკულუმში, გაწეროთ მრავალფეროვანი რესურსები, რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. **ბუნებისმეტყველება:** სასურველია, სასწავლო წლის დასაწყისში საბუნებისმეტყველო კათედრამ შექმნას დამატებითი სასწავლო რესურსების ნუსხა კლასების და თემების მიხედვით რომელიც იქნება დამტკიცებული კათედრის სხდომაზე სავალდებულო (სახელმძღვანელოები) რესურსებთან ერთად. **უცხო ენა:** კურიკულუმებში იყოს შეტანილი ყველა ის დამატებითი სასწავლო რესურსი რომელსაც იყენებენ მასწავლებლები, გასაუბრების დროს საკმაოდ

		ბევრი მაგალითი იყო მოყვანილი გამოყენებული რესურსების, აგრეთვე მასწავლებლებმა მუდმივად ამოწმონ კურიკულუმებში მოცემული ე.წ. „ლინკები“ რადგან ზოგი ლინკი არ იხსნება ან ლინკზე გახსნილი რესურსის თემა არ შეესაბამება კურიკულუმში დაწერილ თემას. სასურველია, მასწავლებელმა მისთვის საჭირო ელ. რესურსი ჩამოტვირთოს და შეინახოს საკუთარ იუთუბარხზე. **დაწყებითი:** სასურველია, ყველა რესურსი, რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები“. სასურველია დამატებითი რესურსების უფრო დეტალური და კონკრეტული ჩამონათვალის შეტანა. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, თითოეულ საგანში გამოიკვეთოს კონკრეტული ძირითადი რესურსები (ე.წ. კონტექსტ-მაგალითები), რომლებიც კურიკულუმით განსაზღვრული საგნობრივი საკითხების სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან მიმართებით კავშირებს გამოკვეთს, რაც საკითხების სიღრმისეულად გააზრებას უზრუნველყოფს.
ინდიკატორი ***2.1.2.4.***	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში აისახოს დიფერენცირებული მიდგომები, მაგალითად, შემოქმედებით დავალებებსა და სასწავლო რესურსებში.
ინდიკატორი ***2.1.2.5.***	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**ბუნებისმეტყველება:** სამივე საფეხურზე, სასურველია შეფასების სისტემის უფრო დახვეწა, (მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა), შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არამარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების აქტიურად გამოყენება, არამედ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებისაც.

		სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით მოსწავლეები შეაფასებენ ერთმანეთს და იმსჯელებენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. მოსწავლეების ჩართულობა შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში გაზრდის სანდოობას და გამჭვირვალობის დასტური იქნება როცა მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ გაეცნობიან დავალების შეფასების რუბრიკებს. მნიშვნელოვანია, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებულ რუბრიკებში გამოიკვეთოს საკითხის მიმართება მხოლოდ იმ სამიზნე ცნებებთან, რომლებიც მუშავდება აღნიშნული საკითხით კურიკულუმის თანახმად. აღნიშნული რეკომენდაცია მიემართება, როგორც განმავითარებელი, ასევე, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რუბრიკებში უფრო სიღრმისეული კავშირები/მიმართებები გამოიკვეთოს საგნობრივ საკითხებსა და სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს შორის. **მათემატიკა:** თითოეული დავალებისთვის შექმნან და გამოიყენონ კონკრეტული თემის/საკითხის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით.
ინდიკატორი ***2.2.1.1.***	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**ბუნებისმეტყველება:** კურიკულუმების შექმნის / ცვლილების დროს სასწავლო წლის დასაწყისში კათედრის მიერ შემუშავებულ კურიკულუმების ფორმაში დაამატონ, კონკრეტული თემის გავლას დაახლოებით რამდენ აკადემიურ საათს დაუთმობენ. აგრეთვე სასურველია კურიკულუმები მეტად იყოს სკოლის საჭიროებებზე მორგებული რეალური და დაძლევადი, ყოველივე ეს გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს.

ინდიკატორი ***2.2.1.3.***	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** მნიშვნელოვანია, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებულ რუბრიკებში გამოიკვეთოს საკითხის მიმართება მხოლოდ იმ სამიზნე ცნებებთან, რომლებიც მუშავდება აღნიშნული საკითხით კურიკულუმის თანახმად. აღნიშნული რეკომენდაცია მიემართება, როგორც განმავითარებელი, ასევე, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რუბრიკებში უფრო სიღრმისეული კავშირები/მიმართებები გამოიკვეთოს საგნობრივ საკითხებსა და სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს შორის.
ინდიკატორი ***2.2.2.1.***	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**ტექნოლოგიები:** მნიშვნელოვანია, პედაგოგებმა მოსწავლეებს შესთავაზოთ მრავალფეროვანი რესურსები სწავლა-სწავლების პროცესში, მაგალითად ვიზუალური პროგრამირების სწავლებისას, სასურველია, მრავალფეროვნებისთვის, გარდა ძირითადი რესურსისა Scratch.mit.edu მოსწავლეებს პარალელურ რეჟიმში შესთავაზონ მსგავსი პლატფორმები, როგორიცაა: Code.org, TinkerCad და ა.შ **დაწყებითი:** სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად საჭირო მატერიალური რესურსები; ელ. ბმულები. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, თითოეულ საგანში გამოიკვეთოს კონკრეტული ძირითადი რესურსები (ე.წ. კონტექსტ-მაგალითები), რომლებიც კურიკულუმით განსაზღვრული საგნობრივი საკითხების სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან მიმართებით კავშირებს გამოკვეთს, რაც საკითხების სიღრმისეულად გააზრებას უზრუნველყოფს.

ინდიკატორი ***2.2.2.2.***	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**უცხოური ენები: მიზანშეწონილია,** სასწავლო წლის დასაწყისში კათედრამ ზუსტად მიუთითოს რომელ საგანში რომელ დამატებით სასწავლო რესურსებს გამოიყენებს და საგანმანათლებლო რესურსების ნუსხაში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებთან ერთად იყოს მითთებული დამატებითი სასწავლო რესურსებიც. სასურველია სკოლის ადმინისტრაციის სათანადო პირმა გამოიკვლიოს კათედრის მიერ შერჩეული დამატებითი დამხმარე რესურსების ვალიდობა / ან თავად კათედრამ დაადგინოს ამ რესურსების ვალიდობა.
ინდიკატორი ***2.2.2.3.***	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**ტექნოლოგიები:** სასურველია, სკოლამ ყოველწლიურად შეიმუშაოს ციფრული ტრანსფორმაციის სტრატეგიული გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და არამატერიალური ტექნოლოგიური რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ძლიერი და სუსტი მხარეების სისტემურ ანალიზს, ასევე სკოლის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესის უწყვეტ განვითარებასა და გაუმჯობესებას. **დაწყებითი:** სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში (რაც დაადასტურეს ინტერვიუს დრო).
ინდიკატორი **2.3.1.1**	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	სასურველია, კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს/შეფასებას და რა ინსტრუმენტები გამოიყენება მონიტორინგის და შეფასების პროცესში.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საბაზო საფეხური)*	***რჩევა***
ინდიკატორი N.2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე	**სახელმწიფო ენა:** საბაზო საფეხურებზე წარმოდგენილ კურიკულუმებში: ა) მოწესრიგდეს და სწორად განისაზღვროს სტრუქტურული ერთეულების შინაარსი. კერძოდ, გაიმიჯნოს კონტექსტმაგალითები სასწავლო რესურსებისაგან და საკითხი შემოქმედებითი დავალების იდეისაგან; ბ) სამივე

	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	საფეხურის კურიკულუმის თავფურცელში მიუთითეთ წლიური ან სემესტრული საათობრივი დატვირთვა. **ბუნებისმეტყველება:** საბაზო საფეხურზე ყველა საბუნებისმეტყველო საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი სავალდებულო თემები და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნები, გაიწეროს ყველა საფეხურის ყველა თემაში და საკითხები/საკითხთა კლასტერები დაკონკრეტდეს, რათა მოერგოს მოსწავლის საჭიროებებს, გახდეს მოსწავლეზე ორიენტირებული. **უცხო ენა:** სასურველია კურიკულუმში გაწერილი იყოს ყველა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც მოსწავლეები სასწავლო.
ინდიკატორი N.2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საზოგადოებრივი მეცნიერება:** მნიშვნელოვანია, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებულ რუბრიკებში გამოიკვეთოს საკითხის მიმართება მხოლოდ იმ სამიზნე ცნებებთან, რომლებიც მუშავდება აღნიშნული საკითხით კურიკულუმის თანახმად. აღნიშნული რეკომენდაცია მიემართება, როგორც განმავითარებელი, ასევე, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რუბრიკებში უფრო სიღრმისეული კავშირები/მიმართებები გამოიკვეთოს საგნობრივ საკითხებსა და სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს შორის. სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ქულები თანაბრად გადანაწილდეს იმ სამიზნე ცნებებთან მიმართებით მისაღწევ შედეგებზე, რომლებიც კონკრეტული საკითხებით მუშავდება. ბუნდოვანია, რიგ შემთხვევებში რა პრინციპით ნაწილდება არათანაბარი ოდენობის ქულები ერთი საგნის ფარგლებში სხვადასხვა შედეგთან მიმართებით. ასევე, სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში უარყოფითი შეფასების ამსახველი რაოდენობრივი ქულა არ იყოს გათვალისწინებული (იგულისხმება 0-4 ქულა).

ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**უცხო ენა: მიზანშეწონილია,** კურიკულუმების შედგენის დროს უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებმა პირველ რიგში იხელმძღვანელონ ესგ-ის ბოლო ვერსიით და ზუსტად გადაიტანონ ესგ-დან კურიკულუმში თემების და ცნებების დასახელება.
ინდიკატორი 2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**სახელმწიფო ენა:** სასურველია, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, განსაკუთრებით საბაზო საფეხურის კურიკულუმში, გაწეროთ მრავალფეროვანი რესურსები, რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. **ბუნებისმეტყველება:** სასურველია, სასწავლო წლის დასაწყისში საბუნებისმეტყველო კათედრამ შექმნას დამატებითი სასწავლო რესურსების ნუსხა კლასების და თემების მიხედვით რომელიც იქნება დამტკიცებული კათედრის სხდომაზე სავალდებულო (სახელმძღვანელოები) რესურსებთან ერთად. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, თითოეულ საგანში გამოიკვეთოს კონკრეტული ძირითადი რესურსები (ე.წ. კონტექსტ-მაგალითები), რომლებიც კურიკულუმით განსაზღვრული საგნობრივი საკითხების სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან მიმართებით კავშირებს გამოკვეთს, რაც საკითხების სიღრმისეულად გააზრებას უზრუნველყოფს
ინდიკატორი 2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში აისახოს დიფერენცირებული მიდგომები, მაგალითად, შემოქმედებით დავალებებსა და სასწავლო რესურსებში.

ინდიკატორი 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**ბუნებისმეტყველება:** სამივე საფეხურზე, სასურველია შეფასების სისტემის უფრო დახვეწა, (მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა), შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არამარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების აქტიურად გამოყენება, არამედ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებისაც. სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით მოსწავლეები შეაფასებენ ერთმანეთს და იმსჯელებენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. მოსწავლეების ჩართულობა შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში გაზრდის სანდოობას და გამჭვირვალობის დასტური იქნება, როცა მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ გაეცნობიან დავალების შეფასების რუბრიკებს. მნიშვნელოვანია, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებულ რუბრიკებში გამოიკვეთოს საკითხის მიმართება მხოლოდ იმ სამიზნე ცნებებთან, რომლებიც მუშავდება აღნიშნული საკითხით კურიკულუმის თანახმად. აღნიშნული რეკომენდაცია მიემართება როგორც განმავითარებელი, ასევე, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რუბრიკებში უფრო სიღრმისეული კავშირები/მიმართებები გამოიკვეთოს საგნობრივ საკითხებსა და სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს შორის. **მათემატიკა:** თითოეული დავალებისთვის შექმნან და გამოიყენონ კონკრეტული თემის/საკითხის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით.
ინდიკატორი 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**ბუნებისმეტყველება: მიზანშეწონილია,** კურიკულუმების შექმნის /ცვლილების დროს სასწავლო წლის დასაწყისში კათედრის მიერ შემუშავებულ

		კურიკულუმების ფორმაში დაამატონ, კონკრეტული თემის გავლას დაახლოებით რამდენ აკადემიურ საათს დაუთმობენ. აგრეთვე სასურველია კურიკულუმები მეტად იყოს სკოლის საჭიროებებზე მორგებული რეალური და დაძლევადი, ყოველივე ეს გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს.
ინდიკატორი 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** მნიშვნელოვანია, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებულ რუბრიკებში გამოიკვეთოს საკითხის მიმართება მხოლოდ იმ სამიზნე ცნებებთან, რომლებიც მუშავდება აღნიშნული საკითხით კურიკულუმის თანახმად. აღნიშნული რეკომენდაცია მიემართება, როგორც განმავითარებელი, ასევე, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რუბრიკებში უფრო სიღრმისეული კავშირები/მიმართებები გამოიკვეთოს საგნობრივ საკითხებსა და სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს შორის.
ინდიკატორი 2.3.1.1.	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	მიზანშეწონილია კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს/შეფასებას და რა ინსტრუმენტები გამოიყენება მონიტორინგის და შეფასების პროცესში.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საშუალო საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**სახელმწიფო ენა:** სასურველია, საშუალო საფეხურებზე წარმოდგენილ კურიკულუმებში: ა) მოწესრიგდეს და სწორად განისაზღვროს სტრუქტურული ერთეულების შინაარსი. კერძოდ, გაიმიჯნოს კონტექსტმაგალითები სასწავლო რესურსებისაგან და საკითხი შემოქმედებითი დავალების იდეისაგან; ბ) სამივე საფეხურის კურიკულუმის თავფურცელში მიუთითეთ წლიური ან სემესტრული საათობრივი დატვირთვა

		ბუნებისმეტყველება: საშუალო საფეხურზე ყველა საბუნებისმეტყველო საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი სავალდებულო თემები და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნები, გაიწეროს ყველა საფეხურის ყველა თემაში და საკითხები/საკითხთა კლასტერები დაკონკრეტდეს, რათა მოერგოს მოსწავლის საჭიროებებს, გახდეს მოსწავლეზე ორიენტირებული. **უცხო ენა:** სასურველია, კურიკულუმში გაწერილი იყოს ყველა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც მოსწავლეები სასწავლო წლის განმავლობაში ქმნიან (გასაუბრების დროს მოყვანილი იყო ბევრი მაგალითი).
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**უცხო ენა:** კურიკულუმების შედგენის დროს უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებმა პირველ რიგში იხელმძღვანელონ ესგ-ის ბოლო ვერსიით და ზუსტად გადაიტანონ ესგ-დან კურიკულუმში თემების და ცნებების დასახელება.
ინდიკატორი 2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**ბუნებისმეტყველება:** სასურველია, სასწავლო წლის დასაწყისში საბუნებისმეტყველო კათედრამ შექმნას დამატებითი სასწავლო რესურსების ნუსხა კლასების და თემების მიხედვით რომელიც იქნება დამტკიცებული კათედრის სხდომაზე სავალდებულო (სახელმძღვანელოები) რესურსებთან ერთად. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, თითოეულ საგანში გამოიკვეთოს კონკრეტული ძირითადი რესურსები (ე.წ. კონტექსტ-მაგალითები), რომლებიც კურიკულუმით განსაზღვრული საგნობრივი საკითხების სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან მიმართებით კავშირებს გამოკვეთს, რაც საკითხების სიღრმისეულად გააზრებას უზრუნველყოფს.

ინდიკატორი 2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში აისახოს დიფერენცირებული მიდგომები, მაგალითად, შემოქმედებით დავალებებსა და სასწავლო რესურსებში.
ინდიკატორი 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**ბუნებისმეტყველება:** სამივე საფეხურზე, სასურველია შეფასების სისტემის უფრო დახვეწა, (მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა), შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არამარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების აქტიურად გამოყენება, არამედ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებისაც. სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით მოსწავლეები შეაფასებენ ერთმანეთს და იმსჯელებენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. მოსწავლეების ჩართულობა შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში გაზრდის სანდოობას და გამჭვირვალობის დასტური იქნება, როცა მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ გაეცნობიან დავალების შეფასების რუბრიკებს. მნიშვნელოვანია კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებულ რუბრიკებში გამოიკვეთოს საკითხის მიმართება მხოლოდ იმ სამიზნე ცნებებთან, რომლებიც მუშავდება აღნიშნული საკითხით კურიკულუმის თანახმად. აღნიშნული რეკომენდაცია მიემართება როგორც განმავითარებელი, ასევე, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რუბრიკებში უფრო სიღრმისეული კავშირები/მიმართებები გამოიკვეთოს საგნობრივ საკითხებსა და სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს შორის. **მათემატიკა:** თითოეული დავალებისთვის შექმნან და გამოიყენონ კონკრეტული თემის/საკითხის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით.

ინდიკატორი 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**ბუნებისმეტყველება:** კურიკულუმების შექმნის /ცვლილების დროს სასწავლო წლის დასაწყისში კათედრის მიერ შემუშავებულ კურიკულუმების ფორმაში დაამატონ, კონკრეტული თემის გავლას დაახლოებით რამდენ აკადემიურ საათს დაუთმობენ. აგრეთვე სასურველია კურიკულუმები მეტად იყოს სკოლის საჭიროებებზე მორგებული რეალური და დაძლევადი, ყოველივე ეს გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს.
ინდიკატორი 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** მნიშვნელოვანია, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებულ რუბრიკებში გამოიკვეთოს საკითხის მიმართება მხოლოდ იმ სამიზნე ცნებებთან, რომლებიც მუშავდება აღნიშნული საკითხით კურიკულუმის თანახმად. აღნიშნული რეკომენდაცია მიემართება როგორც განმავითარებელი, ასევე, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რუბრიკებში უფრო სიღრმისეული კავშირები/მიმართებები გამოიკვეთოს საგნობრივ საკითხებსა და სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს შორის.
ინდიკატორი 2.3.1.1.	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს/შეფასებას და რა ინსტრუმენტები გამოიყენება მონიტორინგის და შეფასების პროცესში.

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია - წერილი #MES 9 26 0000680499 08/06/2026, რომლის მიხედვითაც სკოლა სრულად ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნის პროექტს.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამებოდეს ზგემ-ს. სკოლის მისიაა - მოსწავლეებს მისცეს ეროვნულ ღირებულებაზე დაფუძნებული, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი **განათლება. ჩამოაყალიბოს** კრიტიკულად მოაზროვნე, ჰუმანური, **სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებები,** რომლებიც შეძლებენ თვითრეალიზებასა და პოზიტიური ცვლილების განხოციელებას.

სკოლის ხედვაა - სკოლის მიზანია მისცეს მოსწავლეებს **უახლეს განათლებასა და სწავლების მეთოდებზე დაფუძნებული განათლება.** სკოლა პატივს სცემს **ეროვნულ ღირებულებებს** და მათი გათალიწინებით აღიარებს სხვათა უფლებებს, **უზრუნველყოფს** მოსწავლეებისათვის მრავალფეროვანი საჭირო ინფორმაციის მიწოდებას; **განუვითაროს** ინდივიდუალური და გუნდური პასუხისმგებლობის უნარ ჩვევები; **ხელი შეუწყოს** მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზებას, **განუვითაროს ადაპტაციის უნარი. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რჩევა: მიზანშეწონილია, ხედვაში ჩანდეს დროის განსაზღვრული პერიოდი და კონკრეტული მისწრაფებები და სკოლისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა. მაგ. მითითებულია უახლესი განათლებასა და სწავლების მეთოდებზე დაფუძნებული განათლება, მაგრამ არ იკითხება კონკრეტული მინიშნება, რა იგულისხმება/რა მიმართულება კონკრეტული სკოლის შემთხვევაში ამ მიდგომებში.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლას მისიასა და ხედვაში გააზრებული აქვს უსაფრთხო სივრცის როლი, რაც იკითხება შესაბამის ჩანაწერში: „სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებების ჩამოყალიბება, რომლებიც შეძლებენ თვითრეალიზებასა და პოზიტიური ცვლილების

განხოციელებას“. ასევე ჩანაწერში - „მოსწავლეებს განუვითაროს ინდივიდუალური და გუნდური პასუხისმგებლობის უნარ-ჩვევები“.

სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი (დირექტორის მოადგილე). სკოლაში უსაფრთხოებას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური - 3 პირი. უსაფრთხოების მიმართულებით სკოლა ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს მინისტრის #06/ნ 29.01.2019წ. ბრძანების შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო.

მისიასა და ხედვაში გათვალისწინებულია სოციო-კულტურული სივრცის კონტექსტი. კერძოდ, აღნიშნულია სკოლის მიზანი ხელი შეუწყოს მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზებას, ადაპტაციის უნარის განვითარებას.
სკოლის ფილოსოფია ასახულია - 2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე სტრატეგიული განვითარების შვიდწლან გეგმაში.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის ღირებულებებია - გამჭვირვალობა, მიუკერძოებლობა, თანამშრომლობა, ობიექტურობა, განვითარება და ინოვაციურობა, რომლებიც ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში.

სკოლას მისია და ხედვა შემუშავებული ჰქონდა 2025 წლის სექტემბერში ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის. თუმცა ავტორიზაციის პროცესისათვის სკოლამ მომზადება დაიწყო 2026 წლის იანვრიდან, რისთვისაც გამოიყენა ძველი მოქმედი ფილოსოფია და სამუშაო ჯგუფმა მუშაობა დაიწყო ახალ ფილოსოფიაზე.

სკოლას წარმოდგენილი აქვს ფილოსოფიის შემუშავების/გადამუშავების განრიგი - სამუშაოები იწყება 2026 წლის თებერვლიდან. სკოლას განახლებული ფილოსოფიის პირველადი ვერსიის წარდგენა დაინტერესებული მხარეებისათვის განსაზღვრული აქვს 2026 წლის მაისში.

სასკოლო ფილოსოფია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები:

- **პედსაბჭოს ოქმი #5 7 სექტემბერი 2025 წელი** - დღის წესრიგი: 1. 2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება. 2. 2024-2025 ს/წ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგების გაცნობა. 3. 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა. აღნიშნული ოქმით დასტურდება სკოლაში მოქმედი ფილოსოფიის, როგორც სასკოლო გეგმის შემადგენელი ნაწილის დამტკიცება მიმდინარე სასწავლო წლისათვის.
- **პედსაბჭოს ოქმი #2 23 თებერვალი 2026 წელი - დღის წესრიგი:** ფილოსოფიის გადამუშავების პროცესის დაწყება. სკოლის განმარტებით, ფილოსოფიის გადამუშავების საჭიროება გამოიწვია ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებმა. 2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული ფილოსოფისა და ამჟამად წარმოდგენილი ფილოსოფიის ვერსია ერთმანეთის იდენტურია. ვიზიტის დროისათვის სკოლას არ ჰქონდა დასრულებული მუშაობა სკოლის ფილოსოფიაზე.

- **სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა შეხვედრები ფოკუს-ჯგუფებთან (მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან),** კითხვარების საშუალებით მოხდა ინფორმაციის გაზიარება და შეგროვება, **გაკეთდა მონაცემების ანალიზი. მშობელთა გამოკითხვის ანალიზის სამუშაო ვერსია.** გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 186 რესპოდენტმა.
- **კითხვები მშობლებისათვის (ღია და დახურული კითხვები):**

1. რამდენად ეფექტურად ახდენს სკოლა თქვენი შვილის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას?
2. როგორ შეაფასებდით, სკოლის სივრცეში, თქვენი შვილის სოციალურ განვითარებას?
3. ყოველთვის საქმის კურსში ხართ სკოლაში არსებული სიახლეების შესახებ?
4. რამდენად ხელმისაწვდომია სკოლა თქვენი კომენტარებისა და წინდადებებისთვის?
5. რამდენად დამაკმაყოფილებელია თქვენი შვილის ურთიერთობა მის მასწავლებლებთან?
6. როგორ შეაფასებთ სკოლის ინფრასტრუქტურას და ფიზიკურ გარემოს?
7. რამდენად ეფექტურად მუშაობს სკოლა კონფლიქტების პრევენციის და მენეჯმენტის საკითხებზე?
8. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო

მოსწავლეთა გამოკითხვის ანალიზის სამუშაო ვერსია. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 121 რესპოდენტმა.

მასწავლებელთა გამოკითხვის ანალიზი. შეკითხვები ღია ფორმით იყო დასმული. აღნიშნული კითხვები მრავალფეროვანია, მოიცავს სასკოლო ცხოვრების ყველა სფეროს და იძლევა საკმარის ინფორმაციას სკოლის ფილოსოფიის შემუშავების, SWOT ანალიზის გაკეთებისა და შესაბამისად სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების დასახვისათის.

სკოლაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად. სკოლამ განსაზღვრა აღნიშნულ პროცესში ჩართული მხარეები. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა დირექცია, მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე. **დირექტორის ბრძანება სამუშაო** ჯგუფის შექმნის შესახებ **#2-25 20 თებერვალი 2026 წელი** - „ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ **2024 წლის ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

ექსპერტები ვიზიტის დროს გაესუბრნენ სამუშაო ჯგუფის წევრებს, რომლებმაც ისაუბრეს განხორციელებული (ზემოთაღწერილი) აქტივობების შესახებ.

- **სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი #1 20 თებერვალი 2026 წელი**. სხდომას ესწრებოდა 14 წევრი, მათ შორის დირექცია, სამეურვეო საბჭოს წარმომადგენელი, პედაგოგები, სამივე საფეხურის მშობლები. დღის წესრიგი: სტრატეგიული მიზნების შეფასება სკოლის ფილოსოფიასთან მიმართებაში და სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმის შედგენა.
- **სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი #2 1 მაისი 2026 წელი**. დღის წესრიგი: ჯგუფის მუშაობის შუალედური შეფასება, განხორციელებული სამუშაოების შეფასება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და **სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია,** რომელიც დამტკიცებულია სკოლის **დირექტორის ბრძანებით #2-24 20 თებერვალი 2026 წელი.**

ფილოსოფიის შემუშავების მეთოდოლოგიაში მუხლი 7 - **გაწერილია პროცედურები:** ფილოსოფიის შემუშავების პირველი ეტაპი მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას სკოლის შიდა პროცესებისა და დამოკიდებულებების შესახებ. ინფორმაციის შეგროვების შემდეგ ხორციელდება სიტუაციის ანალიზი. ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეტაპზე **სამუშაო ჯგუფი აქტიურ კომუნიკაციას ამყარებს სასკოლო საზოგადოებასთან:** ისმენს მათ შენიშვნებს და რეკომენდაციებს, რომლებიც აისახება დოკუმენტებში. შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა გაზიარების ერთ-ერთი საშუალებაა - <u>გაზიარება წარმოადგენს მათი შემუშავების ნაწილს.</u> მეთოდოლოგიის დოკუმენტი განსაზღვრავს ასევე **უკვე შემუშავებული ფილოსოფიის გაზიარების მექანიზმებს:** სკოლის ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა, **სოციალური ქსელი,** საჯარო განხილვები, სკოლის სტენდი.

სკოლამ წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის გაზიარების მტკიცებულებები მშობელთა კრებებზე და მოსწავლეებთან.

- **1ა კლასის მშობელთა კრების ოქმი #1 12.09.2025 წელი.** დღის წესრიგი: სკოლის შინაგანაწესის, მისიის, ხედვის, ღირებულებების გაცნობა. მოსწავლის ეთიკის კოდექსის გაცნობა. საგნობრივი კურიკულუმების გაცნობა.
- **8ბ კლასის მშობელთა კრების ოქმი #1 12.09.2025 წელი.** დღის წესრიგი: სკოლის შინაგანაწესის, მისიის, ხედვის, ღირებულებების გაცნობა. მოსწავლის ეთიკის კოდექსის გაცნობა. კურიკულუმის გაცნობა.
- 12ა კლასის მშობელთა კრების ოქმი #1 10.09.2025 წელი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლას მისია-ხედვა **განთავსებული აქვს სკოლის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში.** ასევე გამოკრულია ცენტრალურ ფოიეში. ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი და ადგილზე ნახეს სკოლის დერეფანში განთავსებული სკოლის ფილოსოფია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლა ატარებს ცნობილი ქართველი ფეხბურთელის ნოდარ ახალკაცის სახელს. საქმე იმაშია, რომ ნ. ახალკაცი ამ სკოლაში სწავლობდა რუსულ სექტორზე. ფეხბურთის ვეტერანებმა მიმართეს სკოლას თხოვნით, ნოდარ ახალკაცის სახელის მინიჭების თაობაზე. **სკოლა წარმოადგინა სახელის მინიჭების დოკუმენტაცია:**

- **გლდანი-ნაძალედვის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წერილი** #MES 5 18 0000171129 16/02/2018 **თბილისის #9 საჯარო სკოლისათვის ნოდარ ახალკაცის სახელის მინიჭების თაობაზე.**
- **ასევე,** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №13/ნ 2018 წლის 14 თებერვალი „სსიპ – ქალაქ თბილისის №9 საჯარო სკოლისათვის ნოდარ ახალკაცის სახელის მინიჭებისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილი 08.06.2017 წელი - სკოლისათვის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.
- **ამონაწერი საჯარო რეესტრიდან** - გაკეთებულია 18 მარტი 2026 წელი. მოსარგებლედ მითითებულია - „სსიპ ნოდარ ახალკაცის სახელობის ქალაქ თბილისის #9 საჯარო სკოლა“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ს/წ -
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ #2-25 20.02.2026წ. - „ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი #1 20 თებერვალი 2026 წელი.
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი #2 1 მაისი 2026 წელი.
- პედსაბჭოს ოქმი #5 7 სექტემბერი 2025 წელი
- პედსაბჭოს ოქმი #2 23 თებერვალი 2026 წელი - - სკოლის ფილოსოფიის გადამუშავების პროცესის დაწყების შესახებ
- 1ა კლასის მშობელთა კრების ოქმი #1 12.09.2025 წელი.
- 8ბ კლასის მშობელთა კრების ოქმი #1 12.09.2025 წელი.
- 12ა კლასის მშობელთა კრების ოქმი #1 10.09.2025 წელი.
- სკოლის ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის დათვალიერება

- გლდანი-ნაძალედვის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წერილი #MES 5 18 0000171129 16/02/2018
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №13/ნ 2018 წლის 14 თებერვალი
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილი 08.06.2017 წელი - სკოლისათვის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.
- სკოლის ფილოსოფიის სამუშაო ჯგუფის სამუშაო განრიგი 2026 წელს
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით #2-24 20 თებერვალი 2026 წელი - „სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“. **მეთოდოლოგია მოიცავს** როგორც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხებს, არამედ სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებსაც სკოლის მიერ შერჩეული ფორმით.

დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს:

1. ფილოსოფიის შემუშავება/გაზიარება,
2. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცება,
3. გეგმების მონიტორინგი და შეფასება,
4. გეგმებში ცვლილებების შეტანა.
5. გეგმების წლიური ანგარიშის მომზადება.

დოკუმენტით ასევე გათვალისწინებულია შესაბამისი პროცედურები: სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და კვლევის ჩატარება, კვლევის შედეგების გათვალისწინებით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავება სამუშაო ჯგუფის მიერ, შემდეგ ეტაპზე გეგმების წარდგენა პედსაბჭოზე განსახილველად, საბოლოო ეტაპზე გეგმების წარდგენა სამეურვეო საბჭოსათვის და მათი დამტკიცება.

მუხლი 9/2 - პრიორიტეტების და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები: დოკუმენტი ითვალისწინებს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებზე დაყრდნობით პრიორიტეტების იდენტიფიცირებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლამ შექმნა სამუშაო ჯგუფი სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შემუშავებისათვის.

სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი #1 20.02.2026 წელი - მოქმედი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვა. სტრატეგიული მიზნების შეფასება მოქმედ სკოლის ფილოსოფიასთან მიმართებაში.

სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი #2 01.05.2026 წელი - ჯგუფის მუშაობის შუალედური შეფასება.

სკოლას შემუშვებული აქვს სტრატეგიული გეგმა, რომელიც არის 7 წელზე გათვლილი - 2023-2030 წლები:

სკოლამ წარმოადგინა მოქმედი შვიდწლიანი გეგმის დამტკიცების დოკუმენტი - სამეურვეო საბჭოს ოქმი #1 7 სექტემბერი 2023 წელი.

სვოტ-ანალიზის შესახებ - მეთოდოლოგიაში გაწერილია: ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა ახორციელებს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა.

2023-2030 წლების სტრატეგიულ გეგმაში მოცემულია სკოლის SWOT ანალიზი: <u>ძლიერი მხარეები:</u> პოზიტიური, წამახალისებელი გარემო; • ყველა მოსწავლეზე ორიენტირებული და მორგებული სასწავლო გარემო; თანამშრომლობითი სასწავლო გარემო; სასკოლო

კულტურა; • სრულყოფილი ინკლუზიური გარემო • არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობა • სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები; სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები; • მომავალი პედაგოგებისათვის საუნივერსიტეტო პრაქტიკის გასავლელად შესაბამისი გარემოს შექმნა.

SWOT ანალიზი: **<u>სუსტი მხარეები:</u>** აკადემიური მხრიდან პერსონალის თანამედროვე ტექნოლოგიების სიმცირე; გაცდენის შემთხვევაში ჩამნაცვლებელი მასწავლებლების არარსებობა; სასკოლო ცხოვრებაში საბაზო და საშუალო საფეხურის მშობელთა დაბალი დაინტერესება და ჩართულობა; • დაბალი ანაზღაურებიდან გამომდინარე, სკოლაში არსებულ ადმინისტრაციულ ტექნიკურ პოზიციებზე კალიფიციური კადრების დასაქმების დაინტერსების ნაკლებობა; • საკმარისი ბიუჯეტის არარსებობის გამო ადმინისტრაციულ/აკადემიური კადრებისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭირო სერვისების სიმცირე.

მიმდინარე ეტაპზე სკოლაში მუშაობს ახალი სამუშაო ჯგუფი, რომელიც აგროვებს მონაცემებს ახალი სტრატეგიული მიზნების დასახვისათვის. მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების გამოკითხვების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა - რა არის სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, თუმცა სკოლას ვიზიტის დროს საბოლოო ანალიზი გაკეთებული არ ჰქონდა და დასახული სამოქმედო გეგმის მიხედვით დასასრულებელი ჰქონდა სამუშაოები. სკოლამ წარმოადგინა ახალ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობის მტკიცებულებები.

- **სამეურვეო საბჭოს ოქმი #3 20 თებერვალი 2026 წელი** - სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის დაწყების შესახებ განხილვა/შეთანხმება.
- **სკოლის დირექტორის ბრძანება #2-25 20.02.2026 წელი** - სკოლის 2024 წლის 4 ივნისის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშვებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შესახებ #1/კ-04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ - სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში ცვლილების შეტანა.

მოქმედი სტარტეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. კერძოდ:

მისიაში გამოიყოფა შემდეგი მიმართულებები:

1. ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული განათლების მიცემა. 2. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლება
3. სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე პიროვნების ჩამოყალიბება

სტრატეგიული გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. კერძოდ: გეგმის მიხედვით, სკოლის სტრატეგიული მიმართულებებია:

1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება. 2. ადამიანური რესურსის განვითარება. 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.
4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა. 5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.
6. მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება. 7. ორგანიზაციული განვითარება (იგულისხმება სკოლის მომზადება ავტორიზაციისთვის).

სტრატეგიულ გეგმაში ჩანს მიზნის შესაბამისი ამოცანები. ეს ამოცანები (სტრატეგიულ მიზნებთან ერთად) მოცემულია სამოქმედო გეგმაშიც. ამოცანები რაც წერია სამოქმედო გეგმაში სწორადაა გაწერილი მიზნებთან მიმართებაში. მაგ. სასწავლო პროცესის ხარისხის

ამაღლების მისაღწევად სკოლის დასახული ამოცანებია: 1. ახალი პროგრამების შემუშავება/დანერგვა, 2. სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა, 3. სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა. 4. აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისათვის მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 ს/წლისათვის. სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია სტრატეგიულ გეგმასთან - სკოლის ძირითადი ორიენტირია 2023-2030 წლების გეგმით დასახული სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.

აქტივობები უნდა ემსახურებოდეს ამოცანების შესრულებას. თუმცა გეგმით გაწერილი **ზოგიერთი აქტივობა ზოგადი ხასიათისაა და აქტივობის შინაარსი საჭიროებს დაკონკრეტებას.** მაგ. სკოლის ამოცანაა ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება-დანერგვა, შესაბამის აქტივობებში კი წერია - მოსწავლეთათვის მრავალფეროვანი, დამატებითი სასწავლო პროგრამების შეთავაზება. **არ ჩანს - კონკრეტულად რა სახის პროგრამებს სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს. კიდევ ერთი -** სკოლის ამოცანაა სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა - შესაბამისი აქტივობაა - შიდა სასკოლო პროექტების დანერგვა და მართვა. **ეს აქტივობა უფრო შაბლონურია და არ ჩანს აქტივობის კონკრეტული შინაარსი, შეთავაზებული პროექტების შინაარსი.**

სამოქმედო გეგმა ემყარება სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. სკოლის პედსაბჭოს სხდომაზე #5 7.09.2025 წელი დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად მოცემულია 2024-2025 ს/წ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგების განხილვა. თითოეულ აქტივობას მინიჭებული აქვს სტატუსი: შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, არ შესრულდა.

ასევე სკოლის თვითშეფასების მასალად სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 ს/წ წლის პრეზენტაცია პედსაბჭოს შემაჯამებელ სხდომაზე, სადაც ასახულია მოსწავლეთა სასწავლო მიღწევების შედეგები კლასების დონეზე.

აღნიშნული მასალების შესწავლა გვაძლევს იმის ფიქრის საფუძველს, რომ სკოლა სწორი მიმართულებით მიდის და გადის იმ პროცესებს, რომლებიც გათვალისწინებულია შესაბამისი მარეგულირებელი ნორმებით, მათ შორის სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის დოკუმენტით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმაში გაწერილია სტრატეგიული მიზანი, ამოცანა, აქტივობები, შესრულების გაზომვადი, ინდიკატორები, ვადა-პერიოდი, პასუხისმგებელი პირები, რესურსები.

მაგალითად: სკოლას დასახული აქვს მიზანი - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. ამოცანა - ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რაც შესაბამისობასია სკოლის საჭიროებებთან (სკოლა საჭიროებს რეაბილიტაციას).

სამოქმედო გეგმის აქტივობები ხშირ შემთხვევაში ზოგადი და შაბლონურია, აკლია კონკრეტული ნაბიჯები, რაც ართულებს კონკრეტული აქტივობის შესრულების შეფასებას და გაზომვადი ინდიკატორების შემუშავებას. ასევე, სამოქმედო გეგმის ზოგიერთი აქტივობა არარეალისტურადაა გაწერილი დროში. მაგ. დიაგნოსტიკური წერები - ყველა თვეზეა გაწერილი.

რჩევა: მიზანშეწონილია, სამოქმედო გეგმის აქტივობები არ იყოს ზოგადი ხასიათის და მათში გაწერილი იყოს კონკრეტული ნაბიჯები, რაც სკოლას მისცემს შესაძლებლობას რეალისტურად და პრაქტიკულად შეაფასოს აქტივობის განხორციელება და შეიმუშავოს მათი შესრულების გაზომვადი ინდიკატორები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება #2-24 20.02.2026 წელი - სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანება #2-25 20.02.2026 წელი - სკოლის 2024 წლის 4 ივნისის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშვებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შესახებ #1/კ-04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.
- სკოლის 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა
- სკოლის 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმა
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი #5 7.09.2025 წელი - 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმის დამტკიცება
- სამეურვეო საბჭოს ოქმი #1 7 სექტემბერი 2023 წელი.
-

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

მეთოდოლოგიის დოკუმენტი მოიცავს მონიტორინგის მექანიზმებს. კერძოდ: მეთოდოლოგიაში წერია: სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები. სტარტეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო.

მონიტორინგისთვის სკოლაში ასევე, გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი.
სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე
სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის ანგარიშები, განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე.

მეთოდოლოგიაში მითითებულია, რომ სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის ანგარიშების განხილვა და **შეფასება ხდება სამეურვეო საბჭოზე.** შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლას ჩატარებული აქვს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში - 2024-205 ს/წ სამოქმედო გეგმის და მისი შედეგები ასახულია პედსაბჭოს ოქმში #5 7 სექტემბერი 2025 წელი. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგს სკოლა განახორციელებს მეთოდოლოგიით გაწერილ ვადებში.

სკოლის 2024 2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის მიერ. ანგარიში ეყრდნობა სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს და წარმოდგენილია ნარატიული ფორმით.
I სტრატეგიული მიზანთან - სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება - დაკავშირებით ნათქვამია, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე საგნობრივმა კათედრებმა წარმოადგინეს 2024-2025 სასწავლო წლის საგნობრივი სასწავლო გეგმები, რომლებიც შემუშავდა 2023-2024 სასწავლო წელს განხორციელებული კურიკულუმის რევიზიისა და მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით.

II მიმართულება - ადამიანური რესურსის განვითარება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების საჭიროების კვლევისათვის გამოიყენებოდა დაკვირვება და ინტერვიუირება. გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად დირექციის მიერ გაიცა არაერთი უკუკავშირი და რეკომენდაცია სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის, სასკოლო დოკუმენტაციის წარმოების, შეფასების სისტემის, კურიკულუმის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა მეთოდიკური საკითხების შესახებ.
მითითებულია სტრატეგიული მიზნის/ამოცანების შესაბამისი აქტივობების შესრულების მტკიცებულებები: • კათედრის სხდომის ოქმები • ურთიერთდასწრების განრიგი შესაბამისი • ურთიერთდასწრების წერილობითი უკუკავშირები აქტივობების შესრულების • პროფესიული განვითარების დამადასტურებელი სერტიფიკატები/ცნობები.
სკოლას გაკეთებული აქვს 2025-2026 ს/წლის სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიში, რომელშიც აქტივობების გასწვრივ მინიშნებულია შესაბამისი სტატუსები: შესრულდა, არ შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლას გაკეთებული აქვს 2025-2026 ს/წლის სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიში, რომელშიც აქტივობების გასწვრივ მინიშნებულია შესაბამისი სტატუსები: შესრულდა, არ შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა. **აღნიშნული ანგარიში გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე.**
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

პირველადი ავტორიზაციის დროს აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- 2024-2025 ს/წ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანალიზი
- პედსაბჭოს ოქმი #5 7 სექტემბერი 2025 წელი.

- 2025-2026 ს/წლის სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიში
- სკოლის ვებ-გვერდის დათვალიერება
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული და ვებ-გვერდზე ატვირთული აქვს სკოლის სტრუქტურის სქემა/ორგანოგრამის სახით.
სკოლის სტრუქტურა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #2-97 13.05.2026 წელი.
სტრუქტურა სკოლის მიერ შემუშავებული შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტის შემადგენელი ნაწილია. კერძოდ,
სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი - **„სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ - დირ. ბრძანება #2-47 2 მარტი 2026 წელი.** დოკუმენტი მოიცავს სკოლის სტრუქტურას - სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალს. დოკუმენტში მითითებულია სტრუქტურის ორგანოგრამაში ასახული ყველა რგოლი და პოზიცია, თუმცა ზოგიერთი პოზიციის ფუნქცია-მოვალეობები არათანმიმდევრულად არის ასახული.
სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და რგოლებია:

- **სამეურვეო საბჭო - სამეურვეო საბჭოს არჩევის საბოლოო ოქმი და განკარგულება 14.07.2025 წელი. ასევე სხდომის ოქმი #10 9 სექტემბერი 2025 წელი** 1. სამუშაო გეგმის დამტკიცება. დანართი - სამეურვეო საბჭოს სამუშაო გეგმა/განრიგი 2025-2026 ს/წ. 2.

სასწავლო სასკოლო გეგმის შეთანხმება. 3. დისციპლინურ კომიტეტში მშობელთა წარმომადგენლის არჩევა. 4. მოსწ. თვითმმართველობის არჩევნების თარიღის განსაზღვრა.

- **პედსაბჭო - სხდომის ოქმი #5 11 სექტემბერი 2025 წელი** - სკოლაში 56 მასწავლებელია. 1. პედ. საბჭოს წლიური გეგმის დამტკიცება. 2. სასკოლო გეგმის დამტკიცება. 3.. დისციპლინურ კომიტეტში მშობელთა წარმომადგენლის არჩევა.
- **დისციპლინური კომიტეტი - კომიტეტის არჩევის შესახებ სამეურვეო საბჭოს ოქმი** #11 31.10.2025წელი. კომიტეტში შედის 6 წევრი: საშუალო საფეხურის 2 მოსწავლე, 2 მშობელი, 2 მასწავლებელი.
- **მრჩეველთა საბჭო -** დირექტორის ბრძანება „მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ“ #2-267 20.10.2025წ.
- **მოსწავლეთა თვითმმართველობა** - თვითმმართველობის სხდომის ოქმი #1 10.10.2025 წელი - საბაზო საფეხურზე თვითმმართველობის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა. ასევე სხდომის ოქმი #2 10.10.2025 წელი - საბაზო საფეხურზე თვითმმართველობის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა. ასევე თვითმმართველობის სხდომის ოქმი #3 11.10.2025 წელი - თვითმმართველობის დებულების დამტკიცება.
- **სკოლამ ასევე წარმოადგინა საშტატო განრიგი, რომლის მიხედვითაც სკოლაში გათვალისწინებულია სულ 65 საშტატო ერთეული. ამათგან,** დირექცია: დირექტორი, დ/მოადგილე და ბუღალტერი. ადმინისტრაცია: მტუკ-ი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი და ბიბლიოთეკარი. მასწავლებლები: სულ 24. ასევე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები არიან:

ტექნიკური პერსონალი - სულ 12 პოზიციის ადამიანი: 1 ექთანი, 2 დარაჯი, 6 დამლაგებელი, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტები - 2 ფსიქოლოგი, 1 ენისა და მეტყველების სპეციალისტი.

სკოლამ წარმოადგინა პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები:

ექთანთან #5-24 18.თებერვალი 2025 წელი, დამლაგებელთან, გახანგრძლივებული სწავლების მასწავლებელთან #5-16 18 სექტემბერი 2025 წელი, დარაჯთან #5-25 15 სექტემბერი 2020 წელი, ენისა და მეტყველების სპეციალისტთან #5-02 3 იანვარი 2022 წელი, საინფორმაციო მენეჯერთან #5-21 15 სექტემბერი 2020 წელი, ბუღალტერეთან #5-22 15 სექტემბერი 2020 წელი, ბიბლიოთეკართან #5-23 15 სექტემბერი 2020 წელი, **ფსიქოლოგთან - #5-10 1 მარტი 2025 წელი - არის,** მტუკ-თან #5-12 11 ივლისი 2025 წელი, უფროს მასწავლებელთან, წამყვან მასწავლებელთან, მენტორ მასწავლებელთან, სპეც. მასწავლებელთან.

2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს 8 საგნობრივი კათედრა:

1. სახელმწიფო ენის
2. მათემატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების
3. საზოგადოებრივი მეცნიერებების
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების
5. უცხოური ენების
6. სპორტის
7. ესთეტიკური აღზრდის
8. დაწყებითი საფეხურის (I – IV კლასების)

კათედრების ჩამონათვალში მითითებულია რომელი საგნების მასწავლებლები შედიან თითოეულ კათედრაში. სასკოლო გეგმითვე განსაზღვრულია კათედრისა და კათედრის გამგის ფუნქციები. **სკოლას ასევე შემუშავებული აქვს კათედრის დებულება - დირ. ბრძანება #2-26 20 თებერვალი 2026 წელი.**
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სკოლაში სტრუქტურული ერთეულებისა და მათი ფუნქცია-მოვალეობების, ასევე თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის შესახებ დოკუმენტებით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების ფუნქციებსა და პასუხისმგებლობების განაწილებაში ჩანს პროცესების საგანმანათლებლო საქმიანობაზე ორიენტირება და ხელის შეწყობა. **სკოლამ წარმოადგინა** დირექტორის ბრძანება #2-47 2 მარტი 2026 წელი - „სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“. **დოკუმენტში გაწერილია სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების ფუნქციები:** დირექტორის, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, ბიბლიოთეკარის, საქმისმწარმოებლის, მტუკ-ის, ექიმის, ფსიქოლოგის, მასწავლებლის და სპეციალური მასწავლებლის. ასევე ტექნიკური პერსონალის (დარაჯი, დამლაგებელი, ცეცხლფარეში). პირთა ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია ასევე ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებებით.

სკოლამ ასევე წარმოადგინა **კათედრისა და დამრიგებლის დებულებები, მორიგე მასწავლებლების განრიგი.**
სკოლის დირექტორი არჩეულია 2023 წლიდან. ის ამავე სკოლაში მუშაობს 1995 წლიდან, 2017 წლიდან დასაქმებული იყო დირექტორის მოადგილედ და კარგად იცნობს სკოლის სპეციფიკას.
დირექტორის ბრძანებებით დელეგირებულია უფლებამოსილებები ცალკეულ დასაქმებულებზე (მაგ: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ, ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ და სხვა). **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება,** ანგარიშვალდებულებები და ფუნქციები **ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას და** ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას.

სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების განხორცილებაზე მითითებული პასუხისმგებელი პირებიც მიანიშნებს იმას, რომ სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას. აღნიშნული დადასტურდა მასწავლებლებთან ექპერტების გასაუბრების დროსაც.
სკოლამ წარმოადგინა დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი #1 1 ნოემბერი 2025 წელი - დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა. ასევე **მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება - დირ.**

ბრძანება #2-27 20 თებერვალი, დამრიგებლის მუშაობის დებულება - დირ. ბრძანება #2-40 23 თებერვალი 2026 წელი. ასევე პედსაბჭოს ოქმი #5 სადაც მოცემულია პედსაბჭოს სამუშაო გეგმა 2025-2026 ს/წლისათვის.

სკოლის დირექტორის ბრძანება #2-254 7 ოქტომბერი 2025 წელი - მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების წესის დამტკიცების შესახებ.

სკოლის დირექტორის საათობრივი დატვირთვა შეადგენს 16 საათს ქიმიაში, დირექტორმა წარმოადგინა რესურსცენტრის თანხმობის წერილი #MES 4 25 0001162796 17/09/2025 სკოლის დირექტორის საათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებით დაიშვას გამონაკლისი და მისი კვირეული დატვირთვა განისაზღვროს 16 საგაკვეთილო საათით კვირაში. **სკოლის დირექტორის მოადგილე ამავე დროს არის მასწავლებელი.** მისი საათობრივი დატვირთვა შეადგენს 11 საათს. სკოლამ წარმოადგინა რესურსცენტრის თანხმობის წერილი #MES 8 26 0000573226 14/05/2026. **საინფორმაციო მენჯერის საათობრივი დატვირთვა შეადგენს კვირაში 10 საათს.** დირექციის წევრების საათობრივი დატვირთვა შეესაბამება "საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის N 108/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს.

მრჩეველთა საბჭოს ოქმი #1 2 ოქტომბერი 2025 წელი: 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმის დამტკიცება, რასაც თან ახლავს დანართი, რომელშიც გაწერილია სხვადასხვა სახის ღონისძიებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურის ორგანოგრამა
- სკოლის სტრუქტურა - დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით #2-97 13.05.2026 წელი.
- „სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ - **დირ. ბრძანება #2-47 2 მარტი 2026 წელი.**
- თვითმმართველობის სხდომის ოქმი #1 10.10.2025 წელი
- სამეურვეო საბჭოს არჩევის საბოლოო ოქმი და განკარგულება 14.07.2025 წელი.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #10 9 სექტემბერი 2025 წელი
- პედსაბჭო - სხდომის ოქმი #5 11 სექტემბერი 2025 წელი
- დირექტორის ბრძანება „მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ“ #2-267 20.10.2025წ.
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი #1 2 ოქტომბერი 2025 წელი.
- სკოლის საშტატო განრიგი
- თვითმმართველობის სხდომის ოქმი #3 11.10.2025 წელი - თვითმმართველობის დებულების დამტკიცება.

- შრომითი ხელშეკრულებები
- კათედრის დებულება - დირ. ბრძანება #2-26 20 თებერვალი 2026 წელი.
- დირექტორის ბრძანება #2-254 7 ოქტომბერი 2025 წელი - თვითმმართველობის არჩევნების წესის დამტკიცების შესახებ.
- რესურსცენტრის თანხმობის წერილი #MES 4 25 0001162796 17/09/2025 სკოლის დირექტორის საათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებით გამონაკლისის დაშვცების შესახებ
-

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას პერსონალის მართვის პროცესები გაწერილი აქვს რამდენიმე დოკუმენტში.

სკოლას შემუშავებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი **პერსონალის მართვის პროცესების აღმწერი დოკუმენტი - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი** - დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე - სხდომის ოქმი #14 22 დეკემბერი 2025 წელი.

დოკუმენტი მოიცავს: მუხლი 6 - კადრების მოზიდვა და შერჩევა, მუხლი 7 - თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები და აქტივობები, მუხლი 10 - ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მუხლი 11 - ადამიანური რესურების პროფესიული განვითარების ორგანიზება (დირექტორი, დ/მოადგილე), მუხლი 13 - სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა, მუხლი 14 - შესრულებული სამუშაოს პროფესიული უნარ-ჩვევების და ცოდნის შეფასება, მუხლი 15 - პროფესიული განვითარება, მუხლი 16 - მოტივაცია. თუმცა **დოკუმენტი შაბლონურია და საჭიროებს მეტ კონკრეტიკას და სკოლის სპეციფიკასთან მორგებას.**

სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომელშიც აღწერილია პერსონალის მართვის მარეგულირებელი პროცესები:

ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო დღეს სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას – ცვლის ხანგრძლივობა; ბ) დასვენების ხანგრძლივობა; გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი; დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ვ) შრომის პირობების დაცვის წესები; ზ) წახალისების სახე, პასუხისმგებლობის სახე და მათი გამოყენების წესები; თ) განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. სკოლა აცნობს შინაგანწესს თანამშრომელს, რისი დასტურიცაა წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებები, რომლის შემადგენელი ნაწილიცაა შინაგანაწესი, რის გაცნობასაც ხელმოსწერით ადასტურებს თანამშრომელი.

დოკუმენტში არ ჩანს - რა მექანიზმები გამოიყენება სკოლაში პედაგოგების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის და ვინ ახორციელებს მათი საქმიანობის შეფასების პროცესს. დირექციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ამ ეტაპზე სკოლას არა ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროფესიულ განვითარებისა და საქმიანობის შეფასებისათვის გამოიყენება საგნობრივი კათედრები და დირექცია.

2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმაში გამოყოფილია თავები: პერსონალის მართვა და განვითარება, ადამიანების და პროცესების უსაფრთხოება, მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭერის სისტემები, სადამრიგებლო პროგრამა, საგნობრივი კათედრები და სხვა. აღნიშნული დოკუმენტების შესწავლა იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში ზუსტად იყოს გაწერილი რა მექანიზმები გამოიყენება სკოლაში პედაგოგების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის და ვინ (რომელი სტრუქტურული ერთეული ან/და რომელ პოზიციაზე დასაქმებული პირი) ახორციელებს მათი საქმიანობის შეფასების პროცესს.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლა პერიოდულად ადგენს პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ მოსალოდნელ რისკებსა და შეიმუშავებს მათზე რეაგირების გზებს. ფსიქოლოგის შტატზე ვაკანტური ადგილის გამოჩენის გამო სკოლამ **შესაბამის პოზიციაზე გამოაცხადა კონკურსი - ფსიქოლოგის კონკურსის მასალები.**

- დირექტორის ბრძანება #1/კ-07 11 თებერვალი 2025 წელი - ფსიქოლოგის შტატზე ვაკანტური ადგილის შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ.
- ასევე დირ. ბრძანება #1/კ-08 11 თებერვალი 2025 წელი - „ფსიქოლოგის შესარჩევად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“.
- საკონკურსო კომისიის ოქმი #1 15 თებერვალი 2025 წელი - კანდიდატთა განცახდებების გადარჩევა (შეირჩა 3 კანდიდატი).
- საკონკურსო კომისიის ოქმი #3 16 თებერვალი 2025 წელი - შესაბამისი პირის შერჩევა (3 კანდიდატიდან შეირჩა ერთი).

დირექტორთან გასაუბრებით დაზუსტდა სკოლაში არსებული პრევენციის პრაქტიკის შესახებ - სკოლა ახდენს გაკვეთილის გადანაცვლებას კონკრეტულ სიტუაციაში (მასწავლებლის არყოფნის შემთხვევა), თუმცა ამას ოფიციალურად არ აღრიცხავს. სკოლამ წარმოადგინა ჩანაცვლებული გაკვეთილების აღრიცხვის არაოფიციალური ჟურნალი. ასევე ვაკანსიის გამო არსებული გაუნაწილებელი სამუშაო დატვირთვის შემთხვევაში სკოლა ახდენს სამუშაოს დროებით გადანაწილებას სხვა პირზე. **სკოლამ მტკიცებულების სახით**

წარმოადგინა პოზიციის შესაბამისი ფუნქციების დროებით გადანაწილება ანალოგიური უნარების თანამშრომელზე. ასევე ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში ყოფნასთან დაკავშირებით დეკრეტში მყოფი კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის საათების გადანაწილების შემთხვევა - დირ. ბრძანება #1/კ-14 1 აპრილი 2025 წელი - „ტექნოლოგიების მასწავლებლის ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში ყოფნასთან დაკავშირებით მისი საათების გადანაწილების შესახებ“.

აღნიშნული რეგულაციების საშუალებით სკოლაში შეუფერხებლად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლას შემუშავებული აქვს **პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის მექანიზმი,** სადაც გაწერილია პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვის და დასაქმების პროცედურები. ასეთი დოკუმენტია **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში - მუხლი 6 - კადრების მოზიდვა და შერჩევა.**

- სკოლაში მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის/სპეციალური მასწავლებლის მიღება ხდება კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად.
- სკოლის სამედიცინო პერსონალის შერჩევა უნდა განხორციელდეს სკოლის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების შესაბამისად.
- ინკლუზიურ განათლებაში ჩართული პირების შერჩევა უნდა განხორციელდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის შესაბამისად.
- თანამშრომლის მიღება (გარდა მასწავლებლის/მასწავლებლის მაძიებლის/ სპეციალური მასწავლებლის/სამედიცინო პერსონალის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის) ხდება დირექტორის გადაწყვეტილებით კანდიდატთან გასაუბრების გზით. დირექტორის გადაწყვეტილებით თანამშრომლის სამუშაოზე მიღება, ასევე, შესაძლებელია კონკურსის საფუძველზე.

გარდა აღნიშნული დოკუმენტისა, სკოლამ წარმოადგინა: **სკოლის დირექტორის ბრძანება #1/კ-33 13 სექტემბერი 2018 წელი** - „სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“. ასევე **დირექტორის ბრძანება #1/კ-07 11 თებერვალი 2025 წელი** - ფსიქოლოგის შტატზე ვაკანტური ადგილის შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ.

მოცემულ ბრძანებებში დეტალურად არის გაწერილი რეგულაციები, თუ რა პროცედურებით ხდება აღნიშნულ პოზიციაზე პირთა დასაქმება და რა ვადაში მიიღება გადაწყვეტილება; პროცედურები არის არადისკრიმინაციული და გამორიცხავს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას; პროცედურებში გათვალისწინებულია ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპები; რეგულაცია ადგენს საკონკურსო პროცედურების ამსახველი დოკუმენტაციის დაინტერესებული მხარეებისათვის ხელმისაწვდომობის პრინციპებს.

ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსის დოკუმენტაცია. ფსიქოლოგის შტატზე საკონკურსო კომისიის ოქმები - ოქმი #1 15 თებერვალი 2025 წელი - კანდიდატთა განცხადებების გადარჩევა (გასაუბრებისათვის შეირჩა 3 კანდიდატი). #3 ოქმი - 16 სექტემბერი 2025 წელი - კანდიდატის შერჩევა.

ექსპერტებმა ადგილზე ვიზიტის დროს შეისწავლეს კონკურსის გამოცხადების პროცედურები და დაათვალიერეს შესაბამისი ელექტრონული პორტალი. საკონკურსო კომისია ხელმძღვანელობს წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებით, რომლებიც მოცემულია www.pedagogi.ge ელექტრონულ პორტალზე. მაგ. ფსიქოლოგის ვაკანსია - 2025 წლის 10 თებრვლიდან 14 თებრვლამდე, ექიმის ვაკანსია - 2025 წლის 3 თებერვლიდან 10 თებერვლამდე, სპეც. მასწავლების ვაკანსია - 2025 წლის 28 იანვრიდან 31 იანვრამდე.

სკოლას გაწერილი აქვს, თუ რა დოკუმენტებისგან შედგება პერსონალის პირადი საქმე. **პერსონალის პირად საქმეში განთავსებულია ყველა ის დოკუმენტი, რაც სკოლას აქვს განსაზღვრული,** მათ შორის: ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

ექსპერტებმა შეისწავლეს საშტატო განრიგი და ისქულის ბაზიდან ჩამოტვირთული მასწავლებლების ბაზა.
სკოლაში სულ დასაქმებულია 58 მასწავლებელი. აქედან 46 - უფროსის სტატუსით, 10 - წამყვანის სტატუსით, 1 მენტორი, 2- მოწვეული მასწავლებელი (დაწყებითებში ჭადრაკის საათები - 6 საათი და მუსიკის - 4 საათი). სკოლას არ ჰყავს მაძიებელი.

სკოლაში დასაქმებულია 4 უფროსი სპეც. მასწავლებელი, რომელთა ჩართულობით შედგენილია ისგ გეგმები სსსმ მოსწავლეებისათვის. სკოლის დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია სათანადო შრომითი ხელშეკრულებები. საგნის მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

რაც შეეხება სამედიცინო პერსონალს. სკოლას ჰყავს კონკურსის წესით აყვანილი ექთანი. სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ექიმის ვაკანსია 2025 წლის თებერვალში და გამოხმაურება არ ჰქონია, ამიტომ აიყვანა ექთანი. კონკურსზე 2 აპლიკანტი დაფიქსირდა და გამოცხადდა ერთი, რომელიც შეირჩა პოზიციაზე. სკოლას საშტატო განრიგით სამინისტროსთან შეტანხმებული აქვს ექთნის შტატი.

სკოლას არა აქვს შემუშავებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი ცალკე დოკუმენტის სახით. საკვალიფიკაციო მოთხოვნების გაწერა ხდება კონკრეტული კონკურსის გამოცხადების დროს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლამ შეიმუშავოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწეროს განსხვავებული ყველა თანამდებობებისათვის ინდივიდუალურად.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის მიერ შემუშავებულ სტრუქტურაში, დასაქმებულთა ფუნქციების აღმწერ დოკუმენტაციასა და საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებში აღწერილი პროცესი დაფუძნებულია გუნდური მუშაობის პრინციპებზე. სკოლის **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მე-10 მუხლი** - „ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება“ ითვალისწინებს: „იგეგმება და ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება თანამშრომელთა გუნდური მუშაობის და მათ შორის არაფორმალური ურთიერთობების განვითარებას“.

სკოლაში **ფუნქციონირებს კოლეგიალური ორგანოები, რომელთა ოქმებშიც იკითხება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის გამოცდილება:**

1. მრჩეველთა საბჭო - წარმოდგენილია ოქმები: მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი - 2025-2026 ს/წ პირველი სემესტრის განმავლობაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კუთხით განხორციელებული ღონისძიებების განხილვა.
2. სამეურვეო საბჭო - წარმოდგენილია ოქმები: სხდომის ოქმი #8 4 სექტემბერი 2025 წელი. საკითხები: სამეურვეო საბჭოს სამუშაო გეგმის დამტკიცება, 2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება, დისციპლინურ კომიტეტში მშობელთა წარმომადგენლის წევრობის კანდიდატის არჩევის საკითხი, 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმის დამტკიცება და სხვა. სხდომის ოქმი #2 12 თებერვალი 2026 წელი - 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანა. სხდომის ოქმი #13 9 დეკემბერი 2025 წელი - საკითხები: სკოლის ფინანსური საქმიანობის შესახებ 2025 წლის ანგარიშის მოსმენა, სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ 2025 წლის ანგარიშის მოსმენა, 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცება. სხდომის ოქმი #3 20 თებერვალი 2026 წელი - სკოლის ფილოსოფიის შემუშვებისა და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის დაწყების შესახებ განხილვა.
3. პედსაბჭო - წარმოდგენილია ოქმები: ოქმი #5 11 სექტემბერი 2025 წელი. საკითხები: 2024-2025 ს/წ სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა, 2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება, 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმის განხილვა.

4. საგნობრივი კათედრები -წარმოდგენილია ოქმები: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ოქმი #1 4 სექტემბერი 2025 წელი (კათედრის სამოქმედო გეგმის დამტკიცება, კურიკულუმის განხილვა, წლის განმავლობაში ჩასატარებელი სასწავლო აქტივობების დაგეგმვა). საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ოქმი #2 10 ოქტომბერი 2025 წელი (ეროვნული და კერძო ოლიმპიადებისათვის მოსწავლეების მომზადება). კათედრის ოქმი #3 11 დეკემბერი 2025 წელი (კათედრის წევრების ურთიერთდასწრების შედეგების განხილვა).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის დირექტორის განცხადებით, პედაგოგიური სხდომების დროს, აქტიურად ხორციელდება წარმატების აღიარება და თანამშრომლების პროფესიული მიღწევების აღნიშვნა. ასევე, სკოლაში **დამკვიდრებულია „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“.** შესაბამისად, სკოლაში არსებული კოლეგიალური ურთიერთობები ხელს უწყობს მუდმივ პროფესიულ განვითარებას. კოლეგები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, რაც ხელს უწყობს სწავლების სხვადასხვა მეთოდების, სტრატეგიების და აქტივობების გაცვლას და შეფასებას, პედაგოგები ერთმანეთს ეხმარებიან პროფესიული გამოცდილების გაზიარებაში.

სკოლაში არის წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ცალკეული შემთხვევები: სკოლის ფეისბუქ-გვერდზე ინტეგრირებული გაკვეთილი - მშვიდობა და თავისუფლება - ქართული ენა დ სამოქალაქო განათლება - მე-9 კლასი.

ასევე საბუნებისმეტყევლო კათედრაზე სემესტრის ბოლოს (11 დეკემბერი 2025 წელი) განიხილეს კათედრის წევრების ურთიერთდასწრების შედეგები. ასევე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების 2026 წლის სასკოლო პროგრამაში გათვალისწინებულია - ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში, სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებსა და სხვადასხვა პროექტებში გამარჯვებულ პედაგოგთა წახალისება. სასწავლო წლის ბოლოს, შემუშავებული კრიტერიუმებისა და შედეგების მიხედვით სხვადასხვა ნომინაციებსა და პროექტებში გამარჯვებული მასწავლებლების დაჯილდოება.

თუმცა სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით არა აქვს შემუშავებული წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლამ დოკუმენტურად შეიმუშავოს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი - სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #14 22 დეკემბერი 2025 წელი.
- დირ. ბრძანება #1/კ-14 1 აპრილი 2025 წელი - „ტექნოლოგიების მასწავლებლის ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში ყოფნასთან დაკავშირებით მისი საათების გადანაწილების შესახებ“.
- სკოლის დირექტორის ბრძანება #1/კ-33 13 სექტემბერი 2018 წელი - „სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #8 4 სექტემბერი 2025 წელი.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #2 12 თებერვალი 2026 წელი
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #13 9 დეკემბერი 2025 წელი.
- სამეურევო საბჭოს სხდომის ოქმი #3 20 თებერვალი 2026 წელი.
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ოქმი #1 4 სექტემბერი 2025 წელი
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ოქმი #2 10 ოქტომბერი 2025 წელი
- კათედრის ოქმი #3 11 დეკემბერი 2025 წელი.
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში მუხლი 12 - ადამიანური რესურსების მართვა გაწერილია:

ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა ხორციელდება: „თანამშრომელთა საჭიროების კვლევით და მათზე მორგებული პროფესიული განვითარების კონცეფციის შემუშავებით: ტრენინგი, სწავლება, მონიტორინგი და ინდივიდუალური განვითარების გეგმა“. ასევე სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს.

მუხლი 14-ში - შესრულებული სამუშაოს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება აღნიშნული: 1. ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის/მონიტორინგის პროცესი. ამავე მუხლში მითითებულია, რომ მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოცემულ მომენტში სკოლაში არ ფუნქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი. გარდა ამისა, ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში არ ჩანს კონკრეტულად რა მექანიზმებით და პროცედურებით ხდება საჭიროებების დადგენა.

სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლის თვითშეფასების ფორმა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული კითხვარის სახით. ასევე წარმოადგინა 2026 წელს აღნიშნული კითხვარის შევსების შდეგად მიღებული მონაცცენები ექსელის ცხრილის სახით. მაგ. კითხვაზე - თანასწორობის პრინციპებზე აგებული ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შექმნაზე ზრუნვა მოსწავლეებთან ერთად - რამდენად ხშირად გამოსდის მასწავლებელს, რაზეც მასწავლებლებს გაცემული აქვთ სხვადასხვა პასუხები: ყოველთვის ხარისხიანად ვასრულებ დასკისრებულ მოვალეობას, უმეტესწილად გამომდის, ვსაჭიროებ პრაქტიკის გაუმჯობესებას.

მიუხედავად სხვადასხვა სასკოლო დოკუმენტში ასახული პერსონალის შეფასების საკითხებისა, პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები უფრო შაბლონურია, ზოგადია და სისტემაში მოყვანის გარეშე ნაკლებად იძლევა ეფექტური შედეგის მიღწევის შესაძლებლობას. დოკუმენტებში მკაფიოდ არ ჩანს თანამშრომელთა შეფასების კონკრეტული მექანიზმები: შეფასების სახე, შეფასების პერიოდი და სისტემატური ხასიათი, შეფასების კრიტერიუმები ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის/პირისათვის, შემფასებლები (შემფასებელი განისაზღვრება პერსონალის ფუნქციებიდან გამომდინარე. ეს შესაძლოა იყოს: შესაბამისი სტრუქტურული პირი, მასწავლებელი და სხვა). **მკაფიოდ არ ჩანს, როგორ უზრუნველყოფს სკოლა მონიტორინგის შედეგების ანალიზს და მათ გამოყენებას** პერსონალის პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლამ შეიმუშვოს კონკრეტული მექანიზმები პროფესიული განვითარების საჭიროებების დასადგენად. მექანიზმში განსაზღვრული უნდა იყოს: შეფასების სახე, შეფასების პერიოდი, შემფასებლები და სხვა. მნიშვვენლოვანია, რომ სამუშაოს შესრულების მონიტორინგი მოხდეს დაწესებულების მიერ წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში. სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს მონიტორინგის შედეგების ანალიზი.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა - მუხლი 10. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება - „ტარდება სამუშაო პირობების შესახებ დასაქმებულთა აზრის პერიოდული კვლევა და ანალიზი“.

სკოლამ წარმოადგინა სკოლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასკოლო პროგრამა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით #2-41 23 თებერვალი 2026 წელი.

პროგრამის შესავალში მითითებულია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასკოლო პროგრამა შეესაბამება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემას. სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული განვითარების მიზნებიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. პროგრამა ითვალისწინებს აქტივობების აღწერას და ადგენს მონიტორინგის განხორციელების მექანიზმებს. სასკოლო პროგრამის შესრულების ანალიზი მოხდება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, რის საფუძველზე ცვლილებები და დამატებები შევა სკოლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასკოლო პროგრამაში.

პროგრამა შეიცავს რამდენიმე კომპონენტს: შესასრულებელი საკითხები, შესრულების ვადა, პასუხისმგებელი და მტკიცებულება.

- პერსონალისათვის მოსახერხებელი, უსაფრთხო, პოზიტიური და განვითარებაზე ორიენტირებული სამუშაო გარემოს შექმნა და მისი სისტემატური მონიტორინგი გაუმჯობესებაის მიზნით.
- პედაგოგებს შორის თანამრომლობითი ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა, გამოცდილების გაზიარებაზე დაფუძნებული სასკოლო კულტურის შექმნა
- სასწავლო-სამეცნიერო, მეთოდური, მხატვრული ლიტერატურის, ელექტრონული წიგნების აუდიო და ვიდეო მასალების, შესაბამისი ინტერნეტ რესურსების ჩატვირთვა სკოლის ყველა კომპიუტერში.
- მუდმივი პროფესიული განვითარების ტრენინგების და სემინარების (სწავლების მეთოდიკა, პროფესიული უნარ ჩვევები, საინფორმაციო ტექნოლოგიები) ორგანიზება.

სკოლამ წარმოადგინა კათედრის წევრების ურთიერთდასწრების მასალები და დირექტორის საგაკვეთილო დასწრების მასალა. ასევე საბუნებისმეტყველო კათდრის შემაჯამებელი ოქმი, სადაც არის სემესტრის განავლობაში საგაკვეთილო დასწრების შედეგების ანალიზი და შეფასება. სკოლას აქვს მასწავლებელთა კითხვარები, ასევე საგაკვეთილო დასწრების მასალები, რომელიც იძლევა პროფესიული საჭიროებების დადგენის შესაძლებლობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის დირექტორის განმარტებით, მან გაიარა ფასიანი ტრენინგი სასწავლო პროცესის თემატიკაზე და სკოლაში შექმნილი საჭიროების მიხედვით მიღებული ცოდნა და გამოცდილება გაუზიარა მასწავლებლებს. კერძოდ, სტატუსის ამაღლების პროცესში (წამყვანის სტატუსის მიღების დროს) ტრენინგების კურსი ჩაუტარა საგამოცდო საკითხებზე ხელოვნებისა და ინგლისური ენის მასწავლებლებს.

გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა წერილი MES 4 24 0000589443 29/05/2024, რომელიც **გააგზავნა მასწავლებლის სახლში და ითხოვა ტრენინგის ჩატარება სსსმ მოსწავლეებთან მუშაობისა და** ისგ-თემებზე და ინკლუზიური განათლების სხვა საჭიროებებზე.

„სკოლაში მოიმატა სსსმ მოსწავლეების რაოდენობამ, ამჯამად სკოლაში დარეგისტრირდა 4 სსსმ მოსწავლე საკმაოდ რთული ქეისებით, იმისათვის,რომ მასწავლებლები მზად შეხვდნენ და არ გაუჭირდათ მათთან მუშაობა, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ ტრენერი, რომელიც ჩაატარებს ტრენინგს ისგ-თემებზე და სხვა საჭიროებებზე“.

სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი,** რომელიც ითვალისწინებს სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით. კარიერული ზრდის შესაძლებლობები სკოლაში მოიცავს კათედრის წევრებს შორის სხვადასხვა საკონსულტაციო შეხვედრებს, კონფერენციებსა და ღია გაკვეთილების ორგანიზებას, ასევე ითვალისწინებს ყოველი წლის ბოლოს თითოეული მასწავლებლის მხრიდან თავისი მუშაობის ანგარიშის წარმოდგენას წინასწარ შემუშავებული ფორმის მიხედით კათედრის ხელმძღვანელთან, რომელიც ამზადებს ერთიან კათედრის ანგარიშს და წარადგენს პედაგოგიური საბჭოს შემაჯამებელ სხდომაზე. რაც ხელს უწყობს თანამშრომლების პროფესიული უნარების გაძლიერებას და მათ თანამშრომლობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სასკოლო სასწავლო გეგმაში არის ჩანაწერი - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არეგულირებს კადრების მოზიდვასა და შერჩევას, **მათ ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან, თანამშრომელთა ადაპტაციის ხელშემწყობ აქტივობებსა** და აღნიშნულ პროცესში ჩართულ პირებს, განსაზღვრავს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში განსახორციელებელ აქტივობებს. სკოლის მიზანია იმგვარი სამუშაო გარემოს შექმნა, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალის და პირადი მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის დირექტორთან გასაუბრებით - პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. სკოლას პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების და მათი წახალისების მექანიზმი, შინაგანწესში კი გაწერილია წახალისების ფორმები.
პერსონალის ინიციატივების მხარდაჭერის მაგალითად სკოლამ წარმოადგინა წერილი მასწავლებლის სახლში სსსმ მოსწავლეებთან მუშობისა და ინდ. გეგმების შედგენასთან დაკავშირებით დახმარების საჭიროების შესახებ, რის შედეგადაც სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგი 2024 წელს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსრების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- მასწავლებელთა თვითშეფასების ფორმა - კითხვარი
- მასწავლებელთა თვითშეფასების ფორმა - კითხვარის ანალიზი
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასკოლო პროგრამა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით #2-41 23 თებერვალი 2026 წელი.
- სკოლის წერილი მასწავლებლის სახლს
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგაკვეთილო დასწრების მასალები
- კათედრის ოქმი საგაკვეთილო დასწრების შეჯამების შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას შემუშავებული აქვს **„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ დოკუმენტი - დირ. ბრძანება #2-29 20 თებერვალი 2026 წელი**. დოკუმენტი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს - გულისხმობს შემდეგი პროცედურების დაცვას: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, გადახედვა/გაუმჯობესებას.

დოკუმენტის მიხედვით, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს მონიტორინგს, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას, რომლის საფუძველზეც ხდება საბოლოო შეფასება და ანალიზი.

სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სკოლა ამოწმებს სხვადასხვა მიმართულებებს:

1. სკოლის ფილოსოფიის შეფასებისას უნდა შემოწმდეს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები რამდენად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და აღნიშნულით რამდენად განსაზღვრავს საკუთარ როლს.
2. კურიკულუმების შეფასებისას შემოწმდება თუ რამდენად: რაციონალურადაა განაწილებული საათები; ადეკვატურადაა შერჩეული სწავლების მეთოდები და ფორმატი; თანხვედრაშია სწავლის მიზნები, კურიკულუმების შინაარსი და მისაღწევი შედეგები;
3. სწავლის/სწავლების პროცესის მიმდინარეობის და ხარისხის შეფასებისას შემოწმდება თუ რამდენად შეესაბამება რეალურად მიმდინარე სასწავლო პროცესი საგნობრივი პროგრამით განსაზღვრულ ფორმატს და პირობებს, რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდება მასწავლებელი დაკისრებულ ვალდებულებებს.
4. მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შემოწმებისას ხდება მისი შედარება კანონმდებ- ლობით დადგენილ სტანდარტებთან და კურიკულუმებით გათვალისწინებულ აუცილებელ რესურსებთან.
5. მოსწავლეთა მხარდაჭრის სისტემის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მეშვეობით: • მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის შეფასება, ახალი მოსწავლეების ადაპტაცია; • აკადემიური მიმართულებით მხარდამჭერი/საკონსულტაციო ღონისძიებები; • პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;

სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასებისა და სასწავლო პროცესის შემდგომში გაუმჯობესების მიზნით, სკოლაში ყოველწლიურად ტარდება მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვები.

მასალების შესწავლით და მასწავლებლებთან ექსპერტების გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების მთავარი ინსტრუმენტი არის საგაკვეთილო დასწრება. თუმცა სკოლაში ვიზიტის დროს არ ფუნქციონირებდა ხარისხის განვითარების ჯგუფი. სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის და სტრუქტურული ერთეულის ფუნქციას ასრულებს საგნობრივი კათედრა და სკოლის დირექცია. ისინი ახორციელებენ: ა) მასწავლებელთა შიდა შეფასებას - მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან. ბ) მასწავლებლებთან ერთად ყოველი სემესტრის/სასწავლო წლის ბოლოს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების განხილვას და მათთვის უკუკავშირის მიცემას. გ) დაკვირვებას მასწავლებლის საგაკვეთილო პროცესზე.

სკოლაში მოქმედებს საგაკვეთილო დასწრების რამდენიმე ფორმატი. ერთი - დასწრება ხორციელდება მასწავლებელთა ჯგუფის მიერ კოლეგასთან, მეორე - დასწრება ხორციელდება დირექტორის მხრიდან. სკოლამ წარმოადგინა საგაკვეთილო დასწრების მასალები. მაგ. 1. **კოლეგის შეფასება საგაკვეთილო დასწრების დროს** - დასწრება ბიოლოგიის გაკვეთილზე XI კლასში 2025 წლის ნოემბერში. ასევე დასწრება ბიოლოგიის გაკვეთილზე მე-7 კლასში 2025 წლის ოქტომბერში, შეფასების ფორმა ითვალისწინებს შემდეგი კომპონენტების შეფასებას: გრძელვადიან მიზანზე ორიენტირებულობა, წინარე ცოდნის გააქტიურება, ცოდნის კონსტრუქტივისტული გააზრება, ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირება, კრიტიკული აზროვნების განვითარება, მეტაკოგნიცია, თანამშრომლობა და კომუნიკაცია. აღნიშნული კრიტერიუმები სრულად შეესაბამება ესგ-ის მოთხოვნებს და პრინციპებს.

მაგ. 2. **დირექტორის შეფასება საგაკვეთილო დასწრების დროს** - მე-8 კლასში დირექტორის დასწრების ფორმა ქართული ენის გაკვეთილზე. საგაკვეთილო შეფასების ფორმა ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს - კონსტუქტივიზმის 5 პრინციპის შეფასება, გლობალური და ფუნქციური უნარების შეფასება, ჰოლისტური მხარდაჭრის შეფასებას. ასევე დირექტორის საგაკვეთილო დასწრების ფორმა - I კლასში მათემატიკის გაკვეთილზე 2025 წლის ნოემბერში. ასევე დირექტორის საგაკვეთილო დასწრების ფორმა - IX კლასი ფიზიკის გაკვეთილზე 2025 წლის ოქტომბერში.

საინტერესო დოკუმენტია საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი #1, რომელშიც მოცემულია 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმა: კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების დაგეგმვა, ს/წლის განმავლობაში ჩასატარებელი სასწავლო აქტივობების დაგეგმვა, კათედრის წევრების ურთიერთდასწრების შედეგების განხილვა; საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი #3 11 დეკემბერი 2025 წელი - სადაც განხილულია კათედრის წევრების ურთიერთდასწრების შედეგები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილი აქვს სხვადასხვა დოკუმენტში. ესენია - შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, საქმისწარმოების წესი, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, კურიკულიმის განვითარების მეთოდოლოგია, მატერიალური რესუსრებით სარგებლობის წესი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გეგმა, ციფრული განვითარების გეგმა, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სხვა.

სკოლას აღწერილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი - შემუშავებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს პირველადი დახმარების გაწევის წესი, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმი და სხვა

შესწავლილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

საჩივრის დაფიქსირების, მიღებისა და განხილვის სისტემა დაწესებულებას გაწერილი აქვს კანონმდებლობის შესაბამისი შიდა რეგულაციით. სკოლას აქვს **„სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“** - დამტკიცებულია **დირ. ბრძანებით #2-38 23 თებერვალი 2026 წელი**. დოკუმენტით დარეგულირებულია განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი და პროცედურა, განცხადებისა და საჩივრის განხილვის ვადები ცალ-ცალკე, ასევე მოცემულია დისციპლინური საჩივრის განხილვის ზოგადი წესი, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრება. ცალკე თავშია გამოყოფილი მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა საჩივრის განხილვის წესი, შიდა სასკოლო გამოცდის შედეგების გასაჩივრება, ასევე გაწერილია წესის გაცნობა სასკოლო საზოგადოებისათვის.

შესწავლილი მასალებით და მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას, როგორც მის უფლებებსა და მოვალეობებზე, ასევე, გადაწყვეტილებების გასაჩივრების, როგორც შიდა სასკოლო, ასევე სკოლის გარეთ არსებულ მექანიზმებზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც განსაზღვრულის სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებების დაცვის პრინციპები. შინაგანაწესში გაწერილია სკოლის შიდა რეგულაციები, სკოლის ტერიტორიაზე ქცევის ზოგადი წესები, დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და მათზე რეაგირების მექანიზმები. შინაგანაწესში ცალკეა გაწერილი მასწავლებლის დისციპლინური წარმოების წესი, ცალკეა - მოსწავლის მიმართ დისციპლინური წარმოება. თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ხოლო მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. **დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა დაწესების გაცნობის მიზნით.** თანამშრომლები უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას იღებენ ხელშეკრულების პირობების, სკოლის შინაგანაწესის გაცნობით. სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესის გაცნობისდამადასტურებელი მტკიცებულებები მშობელთა კრებების სახით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ დოკუმენტი - დირ. ბრძანება #2-29 20 თებერვალი 2026 წელი.
- „სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“ - დამტკიცებულია **დირ. ბრძანებით #2-38 23 თებერვალი 2026 წელი**.
- შინაგანაწესი
- მშობელთა კრებების ოქმები
- საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი #3 11 დეკემბერი 2025 წელი
- საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი #1 სექტემბერი 2025 წელი
- კოლეგის შეფასება საგაკვეთილო დასწრების დროს - დასწრება ბიოლოგიის გაკვეთილზე XI კლასში 2025 წლის ნოემბერში.
- დასწრების ფორმა ბიოლოგიის გაკვეთილზე მე-7 კლასში 2025 წლის ოქტომბერში
- მე-8 კლასში დირექტორის დასწრების ფორმა ქართული ენის გაკვეთილზე.
- დირექტორის საგაკვეთილო დასწრების ფორმა - I კლასში მათემატიკის გაკვეთილზე 2025 წლის ნოემბერში.
- დირექტორის საგაკვეთილო დასწრების ფორმა - IX კლასი ფიზიკის გაკვეთილზე 2025 წლის ოქტომბერში.
-

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს **„საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“ - დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #2-37 23 თებერვალი 2026 წელი.** დოკუმენტი განსაზღვრავს შიდა და გარე საკომუნიკაციო არხებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და სკოლის საქმიანობის გაუმჯობესებაში საზოგადოების როლის გაზრდისათვის, საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირებს, საკომუნიკაციო საშუალებებს, უკუკავშირის მიღების გზებს. დოკუმენტი ითვალისწინებს უკუკავშირის ანალიზის შედეგების გამოყენებას შემდგომი განვითარებისათვის. დოკუმენტით დარეგულირებულია ისეთი საკითხები, როგორცაა საზოგადოებასთან კომუნიკაცია სკოლის ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების გამოყენებით, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელების პრინციპები, საზოგადოებასთან ურთიერთობის შედეგად მიღებულ უკუკავშირზე რეაგირების მეთოდები, სკოლის საკომუნიკაციო საშუალებების მართვა (რაზეც პასუხისმგებელია საინფორმაციო მენეჯრი), საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის გაცნობა.

სკოლის მიერ სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება სხვადასხვა საშუალებებით. სკოლის **ფოიეში გამოკრულია შინაგანაწესი. სკოლას აქვს სოციალური ქსელი,** სადაც თავსდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია. ძირითადად ინფორმირება ხდება უშუალო კონტაქტით. სასწავლო წლის განმავლობაში დამრიგებლები მართავენ **მშობელთა კრებებს,** სადაც აცნობენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მარეგულირებელ დოკუმენტებს, სასკოლო სასწავლო გეგმას, შინაგანაწესს, აწვდიან ინფორმაციას სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების, პროექტებისა და ექსკურსიების შესახებ.

როგორც წესი, სკოლა იღებს უკუკავშირს ზეპირსიტყვიერი სახით, რათა სწრაფად მოახდინოს რეაგირება სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობაზე, მათ საჭიროებებსა და რისკ-ფაქტორებზე. თუმცა სკოლას აქვს წერილობითი გამოკითხვების პრაქტიკა. მიმდინარე ს/წელს ჩატარებული აქვს გამოკითხვა მოსწავლეებსა და მშობლებში. **სამოქმედო გეგმაში დასახულია ამოცანა** - სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების განხორციელება, კერძოდ გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის კითხვარების შემუშავება, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა პერიოდული გამოკითხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საჭიროებების კვლევის მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. კერძოდ, **სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები** - პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. მათი ფუნქციები გაწერილია სკოლის დოკუმენტში „თანამდებობრივი ინსტრუქციების შესახებ", ცალკეულ შემთხვევაში შემუშავებულია დებულებები (კათედრის დებულება, თვითმმართველობის დებულება). ყველა პედაგოგი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით. კათედრები და პედაგოგიური საბჭო მუშაობენ წინასწარ განსაზღვრული სამუშაო გეგმის მიხედვით. ოქმების შესწავლით იკვეთება, რომ კოლეგიური ორგანოების წევრები აფიქსირებენ საკუთარ აზრს და შესაძლებლობა აქვთ გასცენ სხვადასხვა რეკომენდაციები. მტკიცებულების სახით სკოლამ წარმოადგინა პედსაბჭოს ოქმები, სამეურვეო საბჭოს ოქმები, საგნობრივი კთედრების ოქმები, მრჩეველთა საბჭოს ოქმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი" - დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #2-37 23 თებერვალი 2026 წელი.
- პედსაბჭოს ოქმები, სამეურვეო საბჭოს ოქმები, საგნობრივი კთედრების ოქმები, მრჩეველთა საბჭოს ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას და უსაფრთხო გარემოს. **სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი** - დანართი #2 - „უსაფრთხოების პოლიტიკა“- დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე ოქმი #14 22 დეკემბერი 2025 წელი.

უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების მიზნებია: 1.1. ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება; 1.2. სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; 1.3. სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება; 1.4. ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა; 1.5. საგანგებო სიტუაციების პრევენცია, მისთვის მზადყოფნა, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში მასზე რეაგირება და აღდგენითი სამუშაოების წარმართვა. 2. სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით ხორციელდება: 2.1. საგანგებო სიტუაციების პრევენცია.

სკოლაში მოქმედებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემდეგი მექანიზმები: • სკოლის ქონების დაცვა; • საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა; • მოსწავლის ქცევის კოდექსის, მასწავლებელის პროფესიული ეთოკის კოდექსისა და სკოლის შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგი და დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების განხორციელება; • საგანგებო სიტუაცების დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა; • სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

სკოლაში მოქმედებს უსაფრთხოების დაცვის სისტემის პრევენციული და რეაგირების მექანიზმები, როგორიცაა: მასწავლებელთა მორიგეობა (წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით), მრჩეველთა საბჭო, მოსწავლის მიერ სკოლის ტერიტორიის ვადაზე ადრე დატოვება დირექციის წინასწარი ინფორმირების შემთხვევაში, უსაფრთხოების ვიდეო-სათვალთვალო კამერების კონტროლი. ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, საევაკუაციო გეგმების გასაჯაროება, ევაკუაციის პროცედურები, ცეცხლმაქრების დამონტაჟება,

სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა, ინსტრუქტაჟი სახანძრო უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით, გადაუდებელი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა.

სკოლის შენობა უზრუნველყოფილია 24 საათიანი დაცვით: სკოლას ჰყავს დარაჯი (გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება), ასევე სკოლის ტერიტორია შემოღობილია და დაცულია უცხო პირებისგან. სკოლაში უსაფრთხოების დაცვას სასწავლო პროცესის დროს უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური. **სკოლა აღჭურვილია** ,,ავტომატური ფოტო და ვიდეოტექნიკის ტექნიკური მახასიათებლებისა და მათი ექსპლუატაციის წესის, აგრეთვე იმ შენობა-ნაგებობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა გარე პერიმეტრზე სავალდებულოა ავტომატური ფოტო-ან/და ვიდეოტექნიკის განთავსება/დამონტაჟება“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის №101 დადგენილებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებების შესაბამისი ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემით. კერძოდ, სკოლაში დამონტაჟებულია **ვიდეო სათვალთვალო კამერები შიდა და გარე პერიმეტრზე,** რაც დამატებით უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს. ვიდეო-სათვალთვალო მოწყობილობის მონიტორი დამონტაჟებულია მანდატურის სამსახურის კაბინეტში.

სკოლის დირექტორის **ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,** რომელიც ითვალისწინებს ყველა სახის საგანგებო სიტუაციას (მაგალითად, ბუნებრივი კატაკლიზმები, ტექნიკური გადახრები ან სხვა ფაქტორები). **აღნიშნული გეგმა შეთანხმებულია შესაბამის ორგანოებთან:**

მტკიცებულებები: დირექტორის ბრძანება #2-43 23 თებერვალი 2026 წელი - „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“. **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი სკოლისადმი** #MIA 326 01130005 01.04.2026წ. (აღნიშნული გეგმა შეესაბამება ,,საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა სამსახურის მიერ.)

სკოლა ფლობს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსგან, რომელიც შეეხება შენობის ძირითადი კორპუსის ექსპლუატაციის უსაფრთხოების საკითხებს. **დასკვნა #5006316422 გაცემულია 2022 წლის 19 სექტემბერს** და მკაფიოდ იკითხება: სკოლის ორ-სამსართულიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მისი ფუნქციონირება შესაძლებელია და სასწავლო პროცესის წარმართვა დასაშვებად მიგვაჩნია.

სკოლას არა აქვს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასაბუთებულ დასკვნა, თუმცა სკოლას აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ - სკოლამ წერილობით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს - შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ - MES 5 26 0000293161 10/03/2026.

სკოლაში დარღვეულია დაწყებითი კლასის მოსწავლეების უსაფრთხოება, ვინაიდან სართულებს შორის არსებულ კიბის მოაჯირებს შორის ფიქსირდება ღიობები, რაც ქმნის მოსწავლეთა ჩავარდნის საშიშროებას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის შემდეგი აქტივობები:
1. სკოლაში დარღვეულია დაწყებითი კლასის მოსწავლეების უსაფრთხოება, ვინაიდან სართულებს შორის არსებულ კიბის მოაჯირებს შორის ფიქსირდება ღიობები, რაც ქმნის მოსწავლეთა ჩავარდნის საშიშროებას. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად გაგზავნილია შესაბამისი წერილი ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოსთან. 14.05.2026წ. – 13.05.2028წ. წერილი გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებელთან MES 9 26 0000104119 03/02/2026, სადაც მითითებულია, რომ სკოლას ესაჭიროება კიბეების მოაჯირების შეცვლა.

სკოლას არა ჰყავს სკოლას შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობის განხორციელება - სართულებს შორის არსებული კიბის მოაჯირებს შორის ღიობების შევსება გეგმით დათქმულ ვადებში 14.05.2026წ. – 13.05.2028წ.

რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება გადამზადების ვადიანი სერტიფიკატი/დიპლომი. სკოლას შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც მას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.
ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას შემუშავებული აქვს - სკოლაში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი - სკოლის დირექტორის ბრძანება # 2/32 20 თებერვალი 2026 წელი - „სკოლაში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის დამტკიცების შესახებ“.
გარდა ამისა, სკოლას დამტკიცებული აქვს „სკოლის მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მომსახურე პერსონალის, **სამედიცინო დახმარების,** ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მექანიზმები“.
შენობაში 2017 წლიდან ფუნქციონირებს **სამედიცინო კაბინეტი,** რომელიც მოწყობილია ინფრასტრქუტურის სააგენტოს მიერ. კაბინეტი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტით. **სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექთანი.** სპეციალობა - ზოგადი პროფილის ექთანი. სამუშაო გამოცდილება - რეანიმაციაში და სტაციონარში მუშაობა. ექთანთან გაფორმებულია სათანადო შრომითი ხელშეკრულება #5-24 18 თებერვალი 2025 წელი, რომელშიც **ექთნის ფუნქციები განსაზღვრულია** 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო

მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად. **ექთანი შერჩეულია საკონკურსო წესით, 2025 წელს სკოლამ ჩაატარა ექიმის კონკურსი, რასაც შესაბამისი გამოხმაურება არ ჰქონია, ამიტომ სკოლამ აიყვანა ექთანი (დაფიქსირდა 2 განაცხადი და გასაუბრებაზე გამოცხადდა ერთი). სკოლას განათლების სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს საშტატო განრიგი, რომლითაც გათვალისწინებულია ექთნის შტატი.**

ექთანი აწარმოებს 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ სარეგისტრაციო ჟურნალებს, რომლებიც მითითებულია სკოლის მიერ შემუშავებულ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესში (გაწეული სამედიცინო მომსახურების, სამედიცინო შემთხვევებისა, დახარჯული და ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვას, გახარჯული მედიმანეტების აღრიცხვა ცალკე ჟურნალში აქვს). სკოლაში, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას **უზრუნველყოფილია ექთნის ხელმისაწვდომობა. მისი სამუშაო განრიგი - 9 საათიდან 6 საათამდე.**

ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სამედიცინო კაბინეტი და ინვენტარი. სამედიცინო აღჭურვილობა შეესაბამება 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ მოთხოვნებს.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ დანართი #1.2. სკოლებში მოსწავლეთა და სამედიცინო პერსონალის რაოდენობათა თანაფარდობის გათვალისწინებით **მიზანშეწონილია სკოლამ გამოაცხადოს კონკურსი ექიმის პოზიციაზე.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.**

სკოლას საზოგადოებრივვი წესრიგის დაცვის მიზნით შემუშავებული აქვს შინაგანაწესი და სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც 1. სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად. 2. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ მანდატურები და დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები. 3. სკოლას საზოგადოებრივი წესრიგის დაცისთვის შემოღებული აქვს მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი. 4. სკოლაში დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილია მრჩეველთა

საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვასა და სკოლის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიცემას.

სკოლამ წარმოადგინა პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მტკიცებულებები:

1. 2025-2026 ს/წ განმავლობაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით სკოლაში გატარებული აქტივობები.
2. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი - გამოყოფილია დირ. ბრძანებით #2-98 14 მაისი 2026 წელი.
დირ. ბრძანება #2/95 13 მაისი 2026 წელი - ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.
დირ. ბრძანება #2/45 2 მარტი 2026 წელი - რეფერირების პროცედურის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ.
დირ. ბრძანება #1/კ-05 20 თებერვალი 2026 წელი - მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების პროცედურაზე დამსწრე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ
3. მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა კითხვარები
4. მოსწავლეებთან ჩატარებული ღონისძიებების (ბულინგის ან/და ძალადობის თემაზე) ამსახველი მასალები (მოსწავლეთა ხელით შექმნილი პლაკატები და ნახატები, სხვადასხვა კლასის სადამრიგებლო პროგრამის მასალები).

2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიშის მიხედვით უსაფრთხო გარემოს შექმის მიზნით სკოლამ განახორციელა სასკოლო სივრცეში არსებული წესების სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობა, ასევე ცნობიერების ამაღლების მიზნით მშობლებთან და მოსწავლეებთან შეხვედრები, მასწავლებელთა მორიგეობის სისტემა.

5. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები - სკოლას აქვს ვიზიტორთა შემოსვლისა და გასვლის აღრიცხვის ჟურნალი (ხელნაწერი სახით), რომელიშიც აღრიცხავს გარეშე პირთა და შემომსვლელთა მონაცემებს (ვიზიტორის სახელი, გვარი, შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის დრო, ვიზიტის მიზეზი).
6. საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ განხორციელებული აქტივობა - VI კლასის პროექტი „თამბაქოს მავნებლობის შესახებ“.

სკოლაში ფიზიკური და ფსიქო-ემოციური უსაფრთხოების შესახებ ისაუბრეს მოსწავლეებმა და მშობლებმა ექსპერტებთან გასაუბრების დროს. მშობლებმა აღნიშნეს, რომ სკოლის ერთ-ერთთი ძლიერი მხარეა უსაფრთხო და მზრუნველი გარემო სკოლაში, რაც მასწავლებლების გულისხმიერებას, სკოლაში არსებულ კეთილგანწყობილ გარემოს და სკოლის დირექტორის ძალისხმევას დაუკავშირეს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლას გააჩნია მოსწავლეების ფსიქოლოგიური და ემოციური **საჭიროებების იდენტიფიცირების, შედეგების შეფასების**, მოსწავლისთვის დროული, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ფსიქოლოგიური მომსახურების მიწოდების მექანიზმი. კერძოდ:

სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი და ფსიქოლოგი. მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დამრიგებლები და მასწავლებლები უზრუნველყოფენ ფსიქოლოგიური დახმარების გაწევას. საჭიროებისა და მიმართვის შემთხვევაში საქმეში ერთვება ფსიქოლოგიც და ერთობლივი ძლისხმევით ხდება მოსწავლეების **ფსიქოლოგიური და ემოციური საჭიროებების იდენტიფიცირება** და მოსწავლისთვის **ფსიქოლოგიური მომსახურების მიწოდება შესაძლებლობის ფარგლებში.**

მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით **სკოლას შემუშავებული აქვს** საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით **დამტკიცებული „ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“,** განსაზღვრულია რეფერირების განხორციელებაზე **უფლებამოსილი პირი**. თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული სახალხო დამცველის, 112-ის საკონტაქტო ნომრები.

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია:

- **მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი #1 2 ოქტომბერი 2025 წელი - სადაც მოცემულია მრჩეველთა საბჭოს სამოქმედო გეგმა:** სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფისათვის სკოლა გეგმავს მოსწავლეების ინფორმირებას ძალადობის, დისკრიმინაციის და ბულინგის შესახებ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით - **საინფორმაციო კამპანიის ჩატარებას 2025-2026 ს/წელს.**
- **სკოლის ფსიქოლოგის შუალედური ანგარიში სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის შედეგების შესახებ.**
- **სკოლის ფსიქოლოგთან გაფორმებული ხელშეკრულება**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმის დოკუმენტი. დოკუმენტით გაწერილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები. სკოლაში არსებულ ყველა სივრცეში ხორციელდება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლი. დირექტორის ბრძანება #01-03/82 17 დეკემბერი 2025 წელი - სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებზე **ზედამხედველი პირის განსაზღვრის შესახებ.** ასეთ ზედამხედველ პირად განსაზღვრულია სკოლის ექთანი. გასაუბრების დროს ექთანმა დაადასტურა, რომ ის ახორციელებს მონიტორინგს.

სკოლას აქვს ინფრასტრუქტურაზე მორგებული დასუფთავებისა და გამართულობის შემოწმების გრაფიკი - სპეციალურად შედგენილი ფორმა, რომლითაც აღირიცხება გრაფიკის მიხედვით ჩატარებული საზედამხედველო აქტივობები შესაბამისი თარიღის მითითებით, თუმცა არ ჩანს გამოვლენილი საჭიროებები. ექსპერტებმა დაათვალიერეს სანიტარული დასუფთავების აღრიცხვის ჟურნალი (2026 წლის მარტი-აპრილი-მაისი), რომელიც იწარმოება კვირაში მინიმუმ 3-ჯერ.

სკოლა უზრუნველყოფილია მუდმივი წყლის მომარაგებით (ქალაქის წყალი).

სკოლა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას უზრუნველყოფს დამლაგებლებისა და სანიტარული რესურსების გამოყენებით. სკოლაში საშტატო განრიგით გათვალისწინებულია დამლაგებლის 6 საშტატო ერთეული. მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში გაწერილია შესაბამისი ვალდებულებები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ინფრასქტრუქტურა მოძველებულია და შენობა საჭიროებს რეაბილიტაციას, სკოლაში დაცულია სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები საკლასო ოთახებში, დერეფნებში, სხვადასხვა სივრცეებში, მათ შორის სველ წერტილებში და ასევე გარე პერიმეტრზე.

სკოლაში არსებობს გამიჯნული სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისთვის, სსსმ მოსწავლეებისთვის მოწყობილია ადაპტირებული საპირფარეშო. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია ჰიგიენის დაცვის საშუალებებით (ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების ურნა). სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია სველ წერტილებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლის დირექციასთან გასაუბრებითა და დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ". წარმოდგენილია **მასწავლებლების თანხმობის ფორმა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.** სკოლას პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობები გაწერილი აქვს **მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.** წარმოადგინეს მშობელთა **თანხმობის ფორმები** - მოსწავლეებისათვის ფოტო-ვიდეო გადაღებაზე.

სკოლა ამუშავებს ისეთ პერსონალურ მონაცემებს, როგორიცაა სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, მისამართი, ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია, გამოსახულება და სხვა. მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლაში დასაქმებული ნებისმიერი პირის პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლას შემუშავებული აქვს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" დოკუმენტი - დამტკიცებულია **დირექტორის ბრძანებით #2-44 23 თებერვალი 2026 წელი**. რომლითაც განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების დაცვის წესს და მონიტორინგის მექანიზმს. მექანიზმი ითვალისწინებს მონაცემთა დაცვის პრინციპებს, პერსონალური მონაცემების დამუშავებას, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნებს, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვას ელექტრონული პროგრამის (Teams) გამოყენების შემთხვევაში, ასევე ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, მონაცემების დაცვას ვიდეო-თვალთვალის განხორციელებისას, მონაცემების დაცვას შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვისას. აგრეთვე მონაცემების დაცვას მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას. პერსონალური მონაცემების დაცვის წესში აღწერილია, თუ რომელი მონაცმები მიეკუთვნება პერსონალურ მონაცემებს, ასევე, მათი დამუშავების წესი და დეტალურად არის წარმოდგენილი მონიტორინგის მექანიზმები.

სკოლას რესურსცენტრისაგან ბრძანებით გამოყოფილი ჰყავდა **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი** - რესურსცენტრის წარმომადგენელი - **რესურსცენტრის წერილი** #MES 8 25 0000000060 28/05/2025, **თუმცა აღნიშნულმა თანამშრომელი გათავისუფლდა სამსახურიდან და შესაბამისად ვიზიტის დროს სკოლას აღარ ემსახურებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც ვალდებულება აიღო პრობლემის მოსაგვარებლად - აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად (ვინაიდან არსებული პიროვნება განთავისუფლდა სამსახურიდან) გაგზავნილია ახალი კადრის მოთხოვნის წერილი რესურსცენტრში.

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის შესრულება - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ახალი კადრის აყვანა გეგმით დათქმულ ვადებში - 14.05.2026წ. – 13.05.2027წ.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლას შემუშავებული აქვს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები, რომელიც მოიცავს: ანტივირუსული პროგრამების უზრუნველყოფას; პერსონალური ინფორმაციის დაცვას. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. კომპიუტერებში ჩაწერილია ანტივირუსული პროგრამები. ამისათვის სკოლას მომაგრებული ჰყავს აიტი მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკურ მომსახურებას საჭიროების შემთხვევაში. **ინფორმაციის დაცვის მექანიზმები ასახულია სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“.**
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლამ პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობას შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით. ამისათვის **სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმები (სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების შევსებული კითხვარები)**. სკოლის მიერ დამტკიცებული უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების შესაბამისად, სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასებას ახორციელებენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები. სკოლაში ხორციელდება

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს MES 7 26 0000293389 10/03/2026
- სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა #5006316422 19.09.2022წ. შენობის მდგრადობის შესახებ
- სკოლის წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისადმი MES 5 26 0000293161 10/03/2026 - სკოლის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ
- სკოლის წერილი ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებელს #MES 9 26 0000104119 03/02/2026
- სკოლის დირ. ბრძანება #2-43 23 თებერვალი 2026 წელი - საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი სკოლისადმი 01.04.2026წ. - გეგმის შეთანხმების შესახებ
- სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა - სამეურვეო საბჭოს ოქმი #14 22 დეკემბერი 2025 წელი
- სკოლის დირექტორის ბრძანება #2-02 8 იანვარი 2019 წელი - უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანება #2-98 14 მაისი 2026 წელი - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანება #1/კ-05 20 თებერვალი 2026 წელი - მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერების პროცედურაზე დამსწრე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანება #/45 2 მარტი 2026 წელი - ბავშვის დაცვის მიმართვიანობის პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანება #2/95 13 მაისი 2026 წელი - სკოლაში ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანება # 2/32 20 თებერვალი 2026 წელი - სკოლაში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის დამტკიცების შესახებ

- რესურსცენტრის ბრძანება MES 8 25 0000000060 28/05/2025 სსიპ ქალაქ თბილისის N9 საჯარო სკოლისათვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ
- შრომითი ხელშეკრულება ექთანთან #5-24 18 თებერვალი 2025 წელი
- შრომითი ხელშეკრულება #5/10 1 მარტი 2025 წელი - ფსიქოლოგთან
- სკოლის დირ. ბრძანება #2/44 23 თებერვალი 2026 წელი - პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ
- სკოლის შინაგანაწესი
- მოსწავლეთა, მშობელთა გამოკითხვის შევსებული ფორმები
- მშობლის თანხმობის ფორმა სკოლაში ფოტო-ვიდეო გადაღებასთან დაკავშირებით
- შესაბამისობის გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა მდებარეობს ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გიორგი სააკაძის ქუჩაზე. **სკოლის შენობა აშენებულია 1936 წელს - სკოლის ისტორია 80 წელზე მეტს ითვლის. შენობა ერთიანია, თუმცა ორი ფლიგელისაგან შედგება - ძირითადი და დამხმარე.**

სკოლის შენობის ძირითადი ფლიგელი 2006 წელსაა აშენებული. შენობას ფრაგმენტული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2020 წელს - კეთილმოეწყო სველი წერტილები, ბიბლიოთეკა და დერფნები. შენობის ნაწილები დაკავშირებულია კიბის უჯრედით.

სკოლის შენობა ორი ერთმანეთთან დაკავშირებული ნაგებობისაგან შედგება: ერთი ნაგებობა - სკოლის ორსართულიანი ძირითადი სასწავლო კორპუსია, მეორე ნაგებობა - სამსართულიანი ძველი კორპუსია. ძირითად სასწავლო კორპუსში განთავსებულია საკლასო ოთახები, სამასწავლებლო, დირექციის კაბინეტი, რესურს-ოთახი, სააქტო დარბაზი, სამედიცინო კაბინეტი და ბუფეტი. მე-2 კოპრუსში - კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და სპორტ-დარბაზი (თავისი გასახდელებით). გარე სპორტული მოედანი გააკეთებულია 2023 წელს ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ.

სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი შეადგენს 3283.51 კვ.მ. მიწის ნაკვეთით და მასზე განთავსებული 1826.55 კვ.მ. შენობა-ნაგებობებით. სკოლა უზრუნველყოფილია საკლასო ოთახებით, გათბობის სისტემით, სასმელი წყლით, ფართო დერეფნებით, სკოლის ეზოთი, ბიბლიოთეკით, რესურსოთახით, სამედიცინო კაბინეტით, კომპიუტერული ლაბორატორიით, ღია სპორტული მოედნით და სპორტული დარბაზით.

სულ სკოლაში არის 28 საკლასო ოთახი, რომლებიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, ინდივიდუალური მერხებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება, თუმცა ფართის მიხედვით ოთახები განსხვავებულია: ზოგიერთი ოთახი ორ ფანჯრიანია, ზოგიერთი სამ ფანჯრიანი და განსხვავდება - ოთახების უმეტესობა 40კვ.მ-ის ფარგლებშია, რამდენიმე ოთახი - 26 კვ.მ-ია, არის 46კვ.მ-ის საკლასო ოთახიც.

სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, რომელიც მუშაობს ბუნებრივ გაზზე. საქვაბე მოწყობილობის შენობა მდებარეობს სკოლის უკანა ეზოში სასწავლო კორპუსიდან იზოლირებულად.

საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღჭურვილია კოლბებით, ქიმიური რეაქტივებით, ქიმიური ჭურჭლით, მულაჟებით, ელექტრული დენის შემსწავლელი ხელსაწყოებით, თვალსაჩინოებებით და სხვა ნივთებით.

სპორტულ დარბაზში განთავსებულია სპორტული ინვენტარი: კალათბურთის და ფრენბურთის ბადეები, ფეხბურთის და კალათბურთის ბურთები, ბადმინტონის ჩოგნები, ჩოგნურთის მაგიდა, ჭადრაკის დაფები და სხვა სპორტული ინვენტარი.

ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს. ბიბლიოთეკაში მოწყობილია სამკითხველო სივრცე.

რესურსოთახში განთავსებულია 1 ცალი საოფისე მაგიდა, 1 საოფისე სკამი. 3 კარადა, 2 დაფა, 12 მოსწავლის მერხი და სკამი, 2 პრინტერი, 1 ცალი ლეპტოპი, 1 ცალი დივანი და 2 ცალი სავარძელი.

სამასწავლებლოში განთავსებულია მაგიდები, სკამები, კარადები, პრინტერი. სკოლას აქვს პიანინო და დინამიკები, რომელთა გამოყენება ხდება სხვადასხვა ღონისძიებების დროს.

ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა 36 ფინანსური კლასი და 937 მოსწავლე. სწავლება მიმდინარეობდა 2 ცვლაში. ზოგიერთ კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობაა, რაც გამოკითხვებით სასწავლო პროცესის სუსტ წერტილად მიაჩნიათ. **სკოლას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა მოთხოვნილი აქვს 1200 მოსწავლეზე, საკლასო ოთახების რაოდენობა და თითოეული ოთახის ფართი (მიუხედავად**

ოთახების არასატანდარტული ფართებისა) საკმარისია მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობისათვის ორცვლიანი სწავლების პირობებში. სკოლას აქვს საკმარისი საკლასო ინვენტარი (მერხები, სკამები, დაფები და სხვა). სკოლამ წარმოადგინა ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტები.

სკოლას ესაჭიროება რეაბილიტაცია. ვიზაულური დათვალიერებით ჩანს პრობლემები. მაგ. დამხმარე ფლიგელის (ე.წ. ძველი კორპუსის) პირველ სართულზე ერთ-ერთ ოტახში, სადაც გახანგრძლივებული ჯგუფია განთავსებული, ოთახის კედლებზე ვლინდება სინესტე, რაც ქმნის შენობის სხვა სივრცეებზე გავრცელების, მათ შორის სოკოს გავრცელების საშიშროებას. კედელს უკანა მხრიდან მთლიანად ემიჯნება მიწა და ჭარბი ნალექების პირობებში ოტახისა და მიმდებარე დერეფნის კედლები სველდება. ასევე მორღვეულია კარებების ჩარჩოები, რომელსაც ცვივა ნალესი. სკოლა საკუთარი ძლებით ცდილობს პრობლემის მოგვარებას - კარებების ჩარჩოებს ატყვია არაერთგზის შელესვის კვალი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც გაწერა შესაბამისი აქტივობა - შენობის რეაბილიტაცია ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოსთან კომუნიკაციით.

<u>რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის - შენობის რეაბილიტაცია ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოსთან კომუნიკაციით - განხორციელება გეგმით დათქმულ ვადებში 14.05.2026 – 13.05.2028წ.</u>

ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი სრულადაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს **ლაბორატორიის გამოყენების წესი და ბიბლიოთეკის დებულება, ასევე მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. დირ. ბრძანება #2/36 23 თებერვალი 2026 წელი - „სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“.**

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის მიხედვით მისი მიზანია სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა. მუხლი 4 არეგულირებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით სარგებლობის წესებს (მოსწავლეთა უფლებებსა და მოვალეობებს), მუხლი 5 - კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობას, მუხლი 6 - სპორტული ინფრასტრუქტურით სარგებლობას, მუხლი 8 - უცხოური ენების კაბინეტით სარგებლობას, მუხლი 9 - რესურს-ოთახით სარგებლობას და მუხლი 10 - ბიბლიოთეკით სარგებლობას.

სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. სპორტული ღონისძიებების წარმართვისას მოსწავლეები სარგებლობენ სკოლის ქონებით. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ სკოლის კომპიუტერულ ტექნიკას. სკოლა გეგმავს სასკოლო აქტივობებს სკოლის სხვადასხვა სივრცეში - ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში, სპორტულ დარბაზში, ღია სპორტული მოედანზე. სკოლის მატერიალური რესურსით თავისუფლად სარგებლობა დაადასტურეს მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა ექსპერტებთან გასაუბრების დროს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, რომელიც განთავსებულია სკოლის შენობის ძველ ფლიგელში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის საპირისპირო მხარეს. საბიბლიოთეკო სივრცეში გამოყოფილია სამკითხველო დარბაზი, რომელშიც მკითხველები არიან სამივე საფეხურის მოსწავლეები, მონაწილეობენ კონკურსებში, შეუძლიათ წიგნების გატანაც და ადგილზე სარგებლობაც.

სკოლას შემუშავებული აქვს **ბიბლიოთეკის დებულება** (ბიბლიოთეკის მუშაობის წესი) - დამტკიცებულია დირ. ბრძანებით #2/27 20 თებერვალი 2026 წელი. დებულება აწესრიგებს საბიბლიოთკო დოკუმენტის გატანა-დაბრუნებას, დაზიანების შემთხვევას, სამკითხველო დარბაზში ქცევის წესებს, ბიბლიოთკით სარგებლობის საერთო წესებს და ბიბლიოთეკარის ფუნქციებს.

სკოლას საშტატო განრიგით გამოყოფილი ჰყავს ბიბლიოთეკარის შტატი. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ბიბლიოთეკარს გავლილი აქვს პროფესიული ტრენინგი ბიბლიოთეკის გაერთიანების საბიბლიოთეკო საქმეზე ე.წ. ირაკლი ღარიბაშვილის ტრენიგი.

ბიბლიოთეკაში სულ 20 023 წიგნია. არის როგორც მხატვრული და შემეცნებითი, ისე სასწავლო ლიტერატურა.
წიგნები დამუშავებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, იწარმოება საინვენტარო წიგნი.

ბიბლიოთეკარი აწარმოებს საინვეტარო წიგნს (3 ცალი), ამავე დროს დაწყებული აქვს მუშაობა ელექტრონულ ვერსიაზე.

ცალკე ჟურნალში აღირიცხება გატანილი წიგნები. ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა სამუშაო გეგმა 2025-2026 ს/წლისათვის.

ბიბლიოთკაში ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, მაგალითად: პროექტი „ყველაზე წიგნიერი“ დაწყებითი კლასებისათვის, ნორჩი მკითხველები, კალიგრაფიის კონკურსი.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერი და ლეპტოპები. ბიბლიოთკის კარებთან გამოკრულია მუშაობის განრიგი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის შენობა, ღია სივრცე და ინვენტარი არ არის ისე მოწყობილი, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **პირების გადაადგილება და ხელმისაწვდომობა** კურიკულუმით განსაზღვრულ ან/და სხვადასხვა აქტივობის შესაბამის სივრცეებთან **სრულად იყოს ხელმისაწვდომი.**

სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები, მათ შორის შშშმ მოსწავლე. სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერა ხორციელდება სპეციალური მასწავლებლის, ფსიქოლოგის ადა სსსმ პირის ასისტენტის მიერ. თუმცა მოსწავლეებს არა აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ნებისმიერი რესურსით, მაგალითად **სკოლას არა აქვს ცენტრალურ შემოსასვლელთან პანდუსი, შეუძლებელია ბიბლიოთეკით სარგებლობა, რადგან ბიბლიოთეკამდე (შენობის მეორე ფლიგელში) მისასვლელად არ არის უზრუნველყოფილი შიდა პანდუსი.**

სკოლას აქვს იზოლირებული რესურს-ოთახი, რომელიც მდებარეობს შენობის ცენტრალურ ფლიგელში პირველ სართულზე. **სკოლაში არ არის მოქმედი ადაპტირებული სველი წერტილი.** პირველ სართულზე გამოყოფილია სივრცე სველი წერტილისათის, ნაწილობრივ კეთილმოწყობილია, მაგრამ არ არის კომუნიაციები შეერთებული და შესაბამისად შეუძლებელია მისით სარგებლობა. სკოლის განმარტებით, სამუშაოების დასრულება ვერ მოესწრო შემსრულებლის მიზეზით.

შენობის ცენტრალური შესასვლელი ისე მოწყობილი, რომ ეტლით მოსარგებლეს შესაძლებლობა აქვს დაუკავშირდეს სკოლის შიდა სივრცეს მხოლოდ პირველ სართთლზე - საკლასო ოთახებს და რესურს-ოთახს, თუმცა პრობლემაა შენობაში შემოსვლა და შენობის ძირითად ფლიგელამდე მიღწევა ცენტარლური პანდუსის არარსებობის გამო. ასევე სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს სართულებს შორის დამაკავშირებელი პანდუსი/ლიფტი. ამ ეტაპზე სკოლის შშშმ მოსწავლე არ საჭიროებს არც ეტლით სარგებლობას და არც ადაპტირებულ საპირფარეშოს.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა - სკოლა ვერ ქმნის ინკლუზიურ გარემოს, ვინაიდან სკოლას არ აქვს სართულებზე გადასაადგილებელი და სკოლაში შემოსასვლელი პანდუსი. ასევე არ აქვს ადაპტირებული სველი წერტილი (დასრულებული). სკოლას გეგმით გაწერილი აქვს აქტივობა უზრუნველყოს აღნიშნული პრობლემის მოგვარება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან, რომელთანაც გაგზავნილია სათანადო წერილი 2025 წლის ივლისში.

სკოლამ წარმოადგინა წერილი ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებლისადმი MES 9 26 0000104119 03/02/2026, რომლითაც სკოლა ითხოვს, რომ მას ესაჭიროება შემდეგი სახის სამუშაოების ჩატარება:

1. შიდა სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია, 2. კიბეების მოაჯირების შეცვლა, 3. გამოსაცვლელია კარ-ფანჯრები, 4. სარემონტოა საკლასო ოთახები, 5. გასაკეთებელია პანდუსი, 6. დასამატებელია ვიდეო - კამერები, 7. მთლიანად გამოსაცვლელია ელექტრო გაყვანილობა.

რეკომენდაცია: <u>სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობის შესრულება - სართულებზე გადასაადგილებელი და სკოლაში შემოსასვლელი პანდუსის, ასევე ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა გეგმით დათქმულ ვადებში - 14.05.2026 წელი - 13.05.2028 წელი.</u>

ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ (სკოლა საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას). სკოლას აქვს სივრცეები და გარკვეული ავეჯი/ინვენტარი, რათა მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლას აქვს შიდა დაცული ეზო, შიდა სპორტული დარბაზი, სადაც იმართება აქტივობები. შესვენებებზე და გაკვეთილების ბოლოს მოსწავლეებსა და დასაქმებულებს საშუალება აქვთ დაისვენონ როგორც სასკოლო სივრცეში არსებულ გარემოში, ეზოსტან დაკავშირება შესაძლებელია მხოლო მე-2 ფლიგელის მხრიდან გაჭრილი კარის მეშვეობით. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას. აღნიშნული დასტურდება სკოლის დერეფნასა და საკლასო ოთახებში გამოკრული მოსწავლეთა ნამუშევრებით და სასწავლო თემატური თვალსაჩინოებებით. მოსწავლეები სარგებლობენ ბიბლიოთეკითა და კომპიუტერული ლაბორატორიით. სკოლის დერეფნებში, სხვადასხვა სართულზე უხვადაა კედლებზე გამოფენილი მოსწავლეთა ხელით შესრულებული ნახატები და სასწავლო თვალსაჩინოებები, რაც მიანიშნებს მოსწავლეების მცდელობას სკოლა აქციონ სოციო-კულტურულ სივრცედ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირ. ბრძანება #2/36 23 თებერვალი 2026 წელი - „სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“.
- ბიბლიოთეკის დებულება - დირ. ბრძანება #2/27 20 თებერვალი 2026 წელი -
- ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტები
- ადგილზე დათვალიერება
- სკოლის შენობის აზომვითი ნახაზი
- **სკოლის წერილი** ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებლისადმი MES 9 26 0000104119 03/02/2026
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის საქმიანობისა და სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნიკის საკმარისი რაოდენობა. ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტურად მართვისათვის სკოლას შემუშავებული აქვს **სკოლის ციფრული განვითარების გეგმა.**

სკოლაში ტექნიკაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი და ტექნოლოგიების მასწავლებელი თავიანთი კომეტენციის ფარგლებში, რომლებსაც ევალებათ ტექნიკური საშუალებების გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში დაკავშირება emis-ის ტექნიკურ სამსახურთან, ასევე განრიგის მიხედვით ტექნიკის გამოყენების მეთვალყურეობა.

სკოლაში სულ კომპიუტერული ტექნიკის საერთო რაოდენობაა 107. აქედან - 26 პერსონალური (სამაგიდო) კომპიუტერი და 80 ლეპტოპი, პროექტორი - 8, პრინტერი -9. სკოლას ესაჭიროება დამატებით შემდეგი კომპიუტერული ტექნიკა: 21 პროექტორი (თითოეული საკლასო ოთახისთვის), 26 პერსონალური (სამაგიდო) კომპიუტერი. სკოლას დირექტორის შესაბამისი წერილის საფუძველზე ინფრასტრუქტურის სააგენტოსაგან უკვე მიღებული აქვს 61 ერთული ლეპტოპი 2025 წელს.

კომპიუტერული ტექნიკის განაწილება: სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. კომპიუტერული ლაბორატორიაში განთავსებულია 14 კომპიუტერი და ლეპტოპები, ასევე 1 პროექტორი და 1 პრინტერი. სამასწავლებლოში - 2 პერსონალური კომპიუტერი და ახალი მიღებული ლეპტოპები დანაწილებულია ყველა მასწავლებელზე. ვაი-ფაი დაყენებულია მე-2 სართულზე 2019 წელს და უზრუნველყოფს ინტერნეტის დაჭერას მთელ შენობაში, თუმცა ინტერნეტი პერიოდულად შეფერხებებით მუშაობს. კომპიუტერები

განაწილებულია საინფორმაციო მენეჯერზე და ბუღალტერზე. ბიბლიოთეკაში - ერთი კომპიუტერი და 3 ლეპტოპი. პრინტერი - 1 ცალი - საინფორმაციო მენეჯერთან, 3 პრინტერი - სამასწავლებლოში, ბიბლიოთკაში - 1 ცალი, 1 პრინტერი - დირექტორის ოთახში, 1 პრინტერი - რესურსოთახში, 1 ცალი - საინფორმაციო მენეჯერთან. 1 პროექტორი მუშა მდგომარეობაშია. პროექტორებს იყენებენ მასწავლებლები კათედრების მიხედვით. პირველკლასელთა დამრიგებლების პროგრამითაა მიღებული ბუკები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

საგაკვეთილო და სხვა საგანმანათლებლო მიზნებისთვის სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის საშუალება აქვთ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. სკოლას დამტკიცებული აქვს **ციფრული განვითარების გეგმა**. აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად აწესრიგებს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით გამოყენების პირობებს.

სკოლაში არსებობს მოსწავლეებისათვის განკუთვნილი საზიარო სივრცე ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ლაბორატორიაში. სკოლა გეგმავს აღნიშნული სივრცეში კომპიუტერული ტექნიკისა და შესაბამისი საჭირო ინვენტარის დამატებას. ასევე დაგეგმილია იმ საზიარო სივრცეების ინტერნეტით უზრუნველყოფა, სადაც ინტერნეტი ხარვეზით მიეწოდება/არ მიეწოდება.

მოსწავლეებს საზიარო, სამუშაო სივრცის გამოყენება შეუძლიათ ყველა სამუშაო დღეს დილის 9 საათიდან 6 საათამდე, ხოლო უქმე დღეებში საჭიროების შესაბამისად.

ბიბლიოთეკაში განთავსებულ საზიარო სამუშაო სივრცეში პასუხისმგებელი პირია ბიბლიოთეკარი, კომპიუტერულ ლაბორატორიაში კი კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლები.

სკოლაში მოწყობილია მასწავლებლებისათვის განკუთვნილი საზიარო, სამუშაო სივრცეები სამასწავლებლოს, ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ლაბორატორიაში. თითოეულ კათედრას გადაცემული აქვს მათი წევრების რაოდენობის მიხედვით.

მასწავლებლებს სამუშაო სივრცის გამოყენება შეუძლიათ სამუშაო დღეებში დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე. ხოლო შაბათ-კვირას საჭიროების მიხედვით. კომპიუტერების საკლასო ოთახში გამოყენების განრიგს კათედრის ხელმძღვანელები შეადგენენ.

კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფილია დირექცია, სადაც მოწყობილია სამუშაო სივრცე ადმინისტრაციის წევრებისათვის.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურებით სარგებლობის წესი
- ციფრული განვითარების გეგმა
- ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტები
- შენობისა და ტექნიკის ვიზუალური დათვალიერება

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას დამტკიცებული აქვს **საქმისწარმოების ერთიანი წესები (დ/ბრძანება #2/21 16 თებერვალი 2026 წელი),** რომელიც არეგულირებს სკოლაში ნებისმიერი სახის დოკუმენტაციის სწორად და დროულად მომზადებას, დოკუმენტების გაფორმებას, აღრიცხვას, გამოყენებას და შენახვას. სკოლაში იწარმოება 5 ჟურნალი: იწარმოება სკოლის დირექტორის საერთო და საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, მოსწავლეთა მობილობის ჟურნალი, მოსწავლეთა ანბანური წიგნი, შრომითი ხელშეკრულებების ჟურნალი, მასწავლებელთა მოძრაობის ჟურნალი, ასევე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საინვენტარო წიგნი. ჟურნალები აკინძულია და დანომრილია დადგენილი წესით. შემოსული და გასული კორესპონდენციას სკოლა მთლიანად ელექტრონული ფორმატით აწარმოებს, იწარმოება თანამშრომელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები.

საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს **საქმის წარმოების მენეჯერი,** რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება და განსაზღვრულია ფუნქცია მოვალეობები.
ექსპერტებმა დაათვალიერეს საქმისმწარმოებლის სამუშაო ოთახი და იქ წარმოებული დოკუმენტაცია, გაესაუბრნენ საქმისმწარმოებელს. ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს სარეგისტრაციო ჟურნალში დაფიქსირებული შემოსული და გასული დოკუმენტების თანხვედრა ელექტრონულ ფორმატთან, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები, რომელთა წარმოება და საქმეში დაცული დოკუმენტები თანხვედრაშია საქმისწარმოების წესით განსაზღვრულ პირობებს.
ექსპერტებმა დაათვალიერეს მასწავლებლების პირადი საქმეები. საქმეში მოთავსებულია სავალდებულო და არასავალდებულო სახით წარმომადგენელი **შემდეგი სახის დოკუმენტები:** პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი, **განცხადება, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ** (ზოგიერთ შემთხვევაში), ფოტოსურათი (3X4), რეზიუმე (CV), შრომის წიგნაკი, განათლების

დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (დიპლომი, დამატებითი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები და ა.შ.), სკოლაში მუშაობის პერიოდში, თანამშრომლის საქმიანობასთან დაკავშირებული ბრძანების ასლები (დაწინაურება, დასჯა-წახალისება და სხვა - ასეთის არსებობის შემთხვევაში), ცნობა ნასამართლობის შესახებ, ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ, ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ.

საქმისმწარმოებელი აღნიშნულ სკოლაში წლებია მუშაობს. დირექტორის ბრძანებით საქმისმწარმოებელს დავალებული აქვს საჯარო ინფორმაციის გაცემა - დირ. ბრძანება #2/11 16 იანვარი 2015 წელი - საჯარო ინფორმაციის ხდელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლა სარგებლობს მართვის საინფორმაციო სისტემით (eSchool), სადაც ასახულია მოსწავლეების, დასაქმებულებისა და მშობლების შესახებ ინფორმაცია და Eflow, facebook, ვებ-გვერდი - skolebi.emis.ge, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი. **სკოლაში გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა როგორც შიდა, ისე გარე დოკუმენტბრუნვისათვის** (განათლების სამინისტროსთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და სხვა გარეშე ორგანიზაციებთან). სკოლაში შემოსულ და გასულ ყველა სახის დოკუმენტაციას საქმისმწარმოებელი ტვირთვას ელექტრონულ სისტემაში, მშობლებთან ურთიერთობა იწარმოება ელექტრონული ჟურნალის და სკოლის ფოსტის მეშვეობით. მშობელს შესაძლებლობა აქვს სახლიდან გაუსვლელად ნახოს მოსწავლის მონაცემები. სკოლაში დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ელექტრონული ჟურნალის მონიტორიგზე პასუხისმგებელი პირი.

აღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული სისტემის საშუალებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილზე. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია შემდეგი ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. ექსპერტებმა ადგილზე ვიზიტის დროს დაათვალიერეს სკოლის პროფილი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

ანგარიშგებისა და ინფორმაციას მიწოდების მიზნით სკოლა თანამშრომლობს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, მართვის საინფორმაციო სისტემასთან და საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ სხვა უწყებებთან. საქმისწარმოების წესის და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სკოლაში ხდება შემოსულ განცხადებებზე თუ სხვა დოკუმენტებზე შესაბამისი რეაგირება. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს, მათ შორის 10 დეკემბრის ანგარიშს, შიდა მონიტორინგის დასკვნას და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

მტკიცებულებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების

- საქმისწარმების წესი - დირ. ბრძანება ##**2/21 16 თებერვალი 2026 წელი**
- შრომითი ხელშეკრულება საქმისმწარმოებელთან
- თანამშრომელთა პირადი საქმეები - ადგილზე დათვალიერებით
- 10 დეკემბრის ანგარიში პარლამენტს და პრეზიდენტს
- მონიტორინგის შიდა ჯგუფის ანგარიში სამინისტროს
- სკოლის პროფილი - ადგილზე დათვალიერება
- თანამშღომელთა პირადი საქმეები
- მოსწავლეთა პირადი საქმეები
- დირ. ბრძანება #2/11 16 იანვარი 2015 წელი - საჯარო ინფორმაციის ხდელმისაწვდომმობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
-

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

   სკოლას აქვს ვებ-გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი, რომლებსაც სკოლა იყენებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციის მიზნით. ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი სხვადასხვა აქტები და სიახლეები, ხოლო სოციალურ ქსელში ასახულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობებისა და პროექტების შესახებ. სკოლა მშობლებთან კომუნიკაციისას აქტიურად იყენებს ელექტრონულ პლატფორმას - სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებს. შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ხდება მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი.

   სკოლა სარგებლობს სოციალური გვერდით - ფეისბუკით, რომელზეც განთავსებულია სკოლის მიერ სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

   სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაცია, რომელიც უნდა გავრცელდეს სოციალური ქსელისა და დამრიგებლების მეშვეობით, თანხმდება სკოლის დირექციასთან, რის შემდეგაც ხდება მისი გავრცელება. სკოლის ვებ-გვერდისა და ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით ჩანს, რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია კერძოდ: სკოლის საქმიანობის ამსახველი ძირითადი და სავალდებულო დოკუმენტები, ინფორმაცია აკადემიური პროგრამების, მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებების, სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ, არის სანდო და უტყუარი. მშობლებმა პირიპირ გასაუბრებისას ისაუბრეს სკოლასთან კომუნიკაციის ფორმებზე, რითაც დადასტურდა სკოლისაგან სანდო და უტყუარი ინფორმაციის მიღება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საკუთარი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა იყენებს ზეპირი და წერილობითი გამოკითხვის მეთოდს. აღნიშნული დადასტურდა მოსწავლეებთან ინტერვიურების დროსაც, რომლებმაც მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ აისახა მათი მოსაზრებები სასკოლო ცხოვრებაში. მშობლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს უკუკავშირის მიღების გამოცდილება, რასაც იყენებს შემდგომი საქმიანობის დასაგეგმად. აღინიშნა, რომ მათი სურვილები და ინტერესები სკოლის მხრიდან მაქსიმალურადაა გაზიარებული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდის საერთო პროფილი შევსებულია, ვებ-გვერდი შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ. ასახულია სკოლის მისია და ხედვა, მოცემულია სტრუქტურა (სქემა) და სტრუქტურული ერთეულების დებულება, მოცემულია სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურების სერვისები, მოსწავლეთა ქცევის წესები და გასაჩივრების მექანიზმი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და მათი შესრულების ანგარიში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდის დათვალიერება
- სკოლის სოციალური ქსელის ლინკი
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.
-

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლას შემუშავებული აქვს 2026 წლის ბიუჯეტი. ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას სკოლა ითვალისწინებს სავარაუდო შემოსავლებს, მომდევნო წლის პრიორიტეტებს, სავარაუდო ხარჯებს, წინა წლის გამოცდილებას და საბიუჯეტო კალენდარს. სკოლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსება, თუმცა საქმიანობის სწორად წარმართვით, სკოლა ახერხებს თავადაც მოიზიდოს სახსრები ეკონომიკური საქმიანობით და მოახმაროს სკოლის საჭიროებებს. სკოლის შემოსავლები შედგება ძირითადად მოსწავლეების ვაუჩერული დაფინანსებისაგან, თუმცა მოცემულ ეტაპზე სკოლას აქვს გარკვეული შემოსავალი იჯარიდან.

კერძოდ, სკოლას იჯარით აქვს გაცემული სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით, ასევე სხვადასხვა წრეები: ქართული ცეკვები და ხელოვნების სტუდია.

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის დასაწყისში დამტკიცებული ბიუჯეტი, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლები და ხარჯები. სკოლის ყველა შემოსავალი და ხარჯი ასახულია ბიუჯეტში. **სკოლის ბიუჯეტი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე - მტკიცებულება სხდომის ოქმი #13 9 დეკემბერი 2025წ.** სკოლა აწარმოებს დაფინანსების დინამიკას ბოლო რამდენიმე წლისათვის, რაც საშუალებას აძლევს მიიღოს სწორი ფინანსური გადაწყვეტილებები.

სკოლა უზრუნველყოფს სამეურნეო საქმიანობის დაფინანსებას, რითაც უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება. თუმცა სკოლას მოცემულ ეტაპზე უჭირს ფინანსურად უზრუნველყოფს კომუნალური გადასახადების დაფარვა საკუთარი სახსრებით და საჭიროებს სამინისტროს ფინანსურ დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლა ახორციელებს ფინანსური რესურსების დაგეგმვას, ცვლილებას, განკარგვასა და მონიტორინგს. კერძოდ, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე სკოლის სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის დირექტორის მიერ წარდგენილ ბიუჯეტს მომდევნო საბიუჯეტო წლისთვის. ბიუჯეტის შემუშავება და დაგეგმვა ხორციელდება ძირითადი პრიორიტეტებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. ბიუჯეტში ასახულია შემოსავლითი და ხარჯვითი ნაწილი. სასწავლო წლის განმავლობაში დგება ცვლილების საჭიროება ფაქტობრივი შემოსავლებისა და გასავლების მიხედვით და ზუსტდება არსებული ფინანსები. ბიუჯეტის ცვლილება ხორციელდება მისი მიღებისთვის დადგენილი წესით, კერძოდ სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განხილვის შედეგად. 58 სკოლის ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებს სკოლის სამეურვეო საბჭო, რომელიც ყოველი წლის 10 დეკემბრამდე ისმენს დირექტორის ანგარიშს გაწეული საქმიანობის თაობაზე.

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის წლიური ანგარიში სამეურვეო საბჭოსადმი - 10 დეკემბრისათვის. ასევე შესყიდვების წლიური გეგმა. ბოლო თვეების კომუნალური გადასახადის ქვითრები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

- დირექტორის ფინანსური ანგარიში სამეურვეო საბჭოსადმი
- კომუნალური გადახდის ქვითრები
- საპროგნოზო ბიუჯეტი
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციები კანონით გარანტირებული უფლებების უზრუნველსაყოფად:
სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესი, რომლითაც დარეგულირებულია მოსწავალეთა უფლებები და მოვალეობები, განსაზღვრულია წახალისების ფორმები, დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის

წესი, დისციპლინური წარმოებისა და სახდელის მოხსნის საკითხები. ასევე სასკოლო სასწავლო გეგმა (სასკოლო კურიკულუმი); მოსწავლის მიმართ ძალადობის განხორციელების შემთხვევაში რეფერირების ინსტრუქცია - „ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“, დირ. ბრძანებით #2-45 2 მარტი 2026 წელი განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი დირექტორის მოადგილის სახით.

მოსწავლეებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლაში თავს დაცულად გრძნობენ, იცნობენ სკოლის შინაგანაწესს და იციან ვის უნდა მიმართონ კანონით გათვალისწინებული უფლებების დასაცავად.

სკოლა უზრუნველყოფს პირველკლასელი, ახალგადმოსული და სსსმ მოსწავლეების სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას.

მოსწავლეთა უფლებების დასაცავად სკოლაში არსებობს დისციპლინური კომიტეტი (დისც. კომიტეტის სხდომის ოქმი #1 24.10.2025 წელი), არსებობს საჩივრების განხილვის წესი. თუმცა დისციპლინური კომიტეტის სხდომის საჭიროება არ ყოფილა, რადგან მოსწავლეთა განცხადებით კონფლიქტები არ მწვავდება, პრევენცია კარგად მუშაობს სკოლის დირექტორის გამოცდილების წყალობით (რომელიც წლების განმავლობაში ამავე სკოლაში დირექტორის მოადგილე იყო და კარგად იცნობს თითოეული ბავშვის მდგომარეობას).

სკოლას ასევე შემუშვებული აქვს მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი - დირექტორის ბრძანება #2-39 23 თებერვალი 2026 წელი - მედიაციის მარეგულირებელი წესის დებულების დამტკიცების შესახებ. მოსწავლეთა შორის მედიაციის წესის მიზანია მოსწავლეებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში ადრეული და ეფექტური ჩარევით, კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანი გადაწყვეტა, პროაქტიული რეაგირება და პრევენცია მათი კანონიერი წარმომადგენლების, ადმინისტრაციისა და სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების (საჭიროების შემთხვევაში) ჩართულობით; ასევე, მოსწავლეებს შორის კონფლიქტის გადაჭრის კომპრომისული გზის პოვნა, რომელიც ოპტიმალური იქნება ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

დოკუმენტში ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესში“ დეტალურად არის გაწერილი მოსწავლეთა პირადი მონაცემების დაცვის მექანიზმები.

2025-2026 ს/წ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია აქტივობები უსაფრთხოებასთან/დისციპლინასთან, სწავლა-სწავლების ღონისძიებებთან, მოსწავლეთა ჩართულობასთან დაკავშირებით და ა.შ.; დ/ბრძანებით დამტკიცებულია **მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები** - ბრძანება #2-48 2 მარტი 2026 წელი.

სკოლის მიერ შემუშავებული აღნიშნული შიდა რეგულაციები სრულად შეესაბამება "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავით განსაზღვრულ მოსწავლის ძირითად უფლებებსა და და გარანტიებს: ზოგადი განათლების მიღების უფლება; საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის უფლება; სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება; გასაჩივრების უფლება; გამოხატვის თავისუფლება; შეკრების თავისუფლება; გაერთიანების თავისუფლება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა; რწმენის თავისუფლება.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას , რომ მოსწავლის უფლებებთან დაკავშირებული შიდა რეგულაციები ფარავს შემდეგ საკითხებს:

- **დისციპლინის დაცვა სკოლის ტერიტორიაზე** - სკოლის შინაგანაწესი.

- **მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია** - სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ს/წ - ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები. დირექტორის ბრძანება მოსწავლეთა ადაპტაციის წესის შესახებ.
- **მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერა სკოლაში** - სკოლაში მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები.
- **მოსწავლის ჩარიცხვა-ამორიცხვა,** სტატუსის შეჩერება-აღდგენა, საფეხურის დაძლევა, სტატუსის შეწყვეტა - მოსწავლეთა ჩარიცხვის წესის შესახებ დირექტორის ბრძანება.
- **გასაჩივრების მექანიზმები** - განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი.
- **მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის რეგულირება** - თვითმმართველობის დებულება.
- **მშობლებთან ურთიერთობის რეგულირება** - მშობელთან ურთიერთობის დებულება.
- **პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები** - პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი.
- **ბავშვთა მიმართ ძალადობის რეგულირება** - დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია რეფერირების პროცედურების განხორციელბაზე უფლებამოსილი პირი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

ექსპერტთა ჯგუფთან სასკოლო საზოგადოების (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები) **გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა,** რომ რეგულაციები ნათელია და გაზიარებულია ყველა დაინტერესებული პირისათვის. კერძოდ, **დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში** მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს, აცნობს უფლებებს და მოვალეობებს, სკოლის შინაგანაწესს, ქცევის წესებს, სკოლის შიდა რეგულაციებს.

საასკოლო რეგულაციების გაზიარება ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ მშობელთა კრებების ოქმებში, სადაც ერთ-ერთ საკითხად შეტანილია შინაგანაწესისა და მიმდინარე სასწავლო წლის გეგმების, უფლებების დამცველი დოკუმენტების გაცნობა.

ოქმები დადასტურებულია მშობელთა ხელმოწერებით.

სკოლამ წარმოადგინა მ/წლის მე-10 კლასის სადამრიგებლო საათის დოკუმენტი, საიდანაც იკვეთება დაგეგმილი აქტივობები კლასის ქცევის წესების შემუშავება, ემოციური ინტელექტი და სტრესის მართვა, სამოქალაქო პასუხისმგებლობა და მოხალისეობა და სხვა.

უფლებების დაცვის სასკოლო **რეგულაციები ასევე ხელმისაწვდომია სკოლის ვებ. გვერდზე** (სკოლების პორტალი - https://skolebi-admin.emis.ge/schools), გაზიარებულია სკოლის ფეისბუქ გვერდზე. **მოსწავლეებთან გასაუბრებისას ექსპერტთა მიერ დადგინდა,** რომ მოსწავლეები სრულად არიან ინფორმირებული სასკოლო რეგულაციებზე, იციან მაგ: კონკრეტული იდეის განხორციელების მიზნით ვის და როდის უნდა მიმართონ, იციან თავიანთი უფლება-მოვალეობები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის უნდა არსებობდეს სამი კომპონენტი:

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით სასწავლო წლის დასაწყისში თითოეულ მშობელთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც კანონმდებლობის შესაბამისად გაწერილია ორივე მხარის უფლება მოვალეობები. შეთანხმებასაც ორივე მხარე ადასტურებს ხელმოწერით. ხელშეკრულებას ახლავს მშობლის თანხმობის ფორმა ფოტო-ვიდეო გადაღებაზე. სკოლას აქვს გახანგრძლივებული სწავლების მომსახურებაც. წარმოადგინეს შესაბამისი ხელშეკრულება სკოლასა და მშობელს შორის 1 ოქტომბერი 2025 წელი. სკოლაში ინფორმაცია საჯაროა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ს/წ
- „ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“
- მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი - დირექტორის ბრძანება #2-39 23 თებერვალი 2026 წელი
- მე-10 კლასის სადამრიგებლო საათის დოკუმენტი
- ხელშეკრულება სკოლასა და მშობელს შორის გახანგრძლივებული სწავლების შესახებ
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი.
- მშობელთან ურთიერთობის დებულება.
- სკოლაში მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი.
- ხელშეკრულება სკოლასა და მოსწავლის მშობელს შორის მომსახურების შესახებ
- მე-8 კლასის დამრიგებლის ანგარიში 2025-2026 ს/წ

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების დოკუმენტი - დირექტორის ბრძანება #2-46 2 მარტი 2026 წელი. რომელიც არეგულირებს ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და არეგულირებს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, კლასისა და საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების, მოსწავლეთა მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაციის პირობებს, დაწყებით და საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა ჩარიცხვის პირობებს, სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვის ფორმალურ განათლებაში ჩართვის წესს და სხვა.

მშობლების ინფორმირება მიმდინარეობს სხვადასხვა მეთოდით: პირისპირ შეხვედრები, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალური ჯგუფები, TEAMs-ის პლატფორმა და ელ. ლინკები, რომლითაც მშობლები იღებენ ინფორმაციას მოსწავლის მდგომარეობაზე, საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ასევე მათი შვილის მოსწრებისა და პიროვნული თვისებების განხილვა ხდება ინდივიდუალურად. ელ. ჟურნალით სარგებლობის შეზღუდვის შემთხვევაში, მოსწავლის გაცდენების და ნიშნის ფურცლის შესახებ ინფორმაცია გაიგზავნება მშობლებთან დამატებითი მეთოდებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს. სკოლაში მოსწავლეთა მიღება ხდება დადგენილი ნორმებისა და პროცედურების შესაბამისად. **პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება** სკოლის მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში (სკოლის ფართის გათვალისწინებით). მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

სკოლამ წარმოადგინა ნიმუშები: სკოლაში მობილობით გადმოსული მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ, სკოლიდან მოსწავლის ამორიცხვის შესახებ, მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და სტატუსის აღდგენის შესახებ, მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ, ბრძანება ექსტერნის ფორმით გამოცდების ჩატარების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლას 2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭერის სისტემები, სადაც მითითებულია **რა სერვისებს (კლუბებს, ფასიან წრეებს, ენებს და სხვა) სთავაზობს მოსწავლეებს და რა პირობებით.**
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის დამრიგებლები მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმას და ყველა იმ წესს, რომელიც შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით არის განსაზღვრული.

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კლუბური მუშაობის მომსახურებას - ისტორიის კლუბის „წარსულის დარაჯები“, ორი უცხო ენის სწავლებას - გერმანული და რუსული ენები, გახანგრძლივებული სწავლება დაწყებით კლასებში, სსსმ მოსწავლეების მომსახურება, ბუფეტის მომსახურება, ქორეოგრაფიისა და ხელოვნების სტუდია, პროფესიული ორიენტაცია უფროსკლასელებისათვის. აღნიშნული სერვისების შესახებ ინფორმაციას მოსწავლეები, მშობლები და სხვა დაინტერესებული პირები იღებენ ვებ. გვერდის, ფეისბუქ გვერდის, დახურული ჯგუფების და მშობელთა კრების საშუალებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის ვებ. გვერდისა და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით მოსწავლეებს სთავაზობს იმ საგნობრივ პროგრამებს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს (კლუბურ მუშაობას) და სასკოლო აქტივობებს, რომლებიც ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას. სკოლამ წარმოადგინა **კლუბი წარსულის დარაჯების** წესდება, კლუბის წევრის

განაცხადი, კლუბის სამუშაო გეგმა, განხორციელებული აქტივობები ატვირთულია სკოლის ფეისბუქ-გვერდზე. ინფორმაციის გავრცელებას სკოლის ფეისბუქ-გვერდზე ემსახურება - საინფორმაციო მენეჯერი.

სკოლაში ყველას აქვს ხელმისაწვდომობა სკოლის რესურსებზე. სკოლაში არსებული კლუბების ფუნქციონირების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მოსწავლისათის. დაინტერესებულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა შეავსოს კლუბში გაწევრიანების განაცხადი და გადასცეს შესაბამისი კლუბის კურატორ მასწავლებელს, რათა დაიწყოს აქტიური ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში.

სკოლა ინფორმაციის გავრცელებას ახორციელებს: დამრიგებლების მეშვეობით მშობლებთან შეხვედრებზე; სოციალურ ქსელში; ვებ-გვერდის და სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კლუბი - წარსულის დარაჯების წესდება
- სკოლის ფეისბუქ-გვერდი
- განხორციელებული აქტივობების ფოტო-მასალა
- ადგილზე დათვალიერება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები. სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,მოსწავლის ადაპტაციის წესი'' - დირექტორის ბრძანება #2-24 28.01.2026 წელი - ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ.

სასკოლო სასწავლო გეგმის ჩანაწერის მიხედვით - ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობებია:

❖ სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.

❖ ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში;

❖ სკოლა ადგენს დეზადაპტაციის ნიშნებს და მიმართავს შესაბამის ზომებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ადაპტაციის გაადვილების მიზნით.

❖ დირექტორის მოადგილე/საქმისმწარმოებელი შესაბამისი კლასის დამრიგებელს აწვდის ინფორმაციას ახალი მოსწავლის შესახებ და წინა სკოლიდან მიღებულ პირად საქმეს;

❖ აღიარების საფუძველზე სკოლაში ჩარიცხული მოსწავლის შემთხვევაში, სკოლის საქმისმწარმოებელი აწვდის კლასის დამრიგებელს მოსწავლის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების შესახებ ინფორმაციას;

❖ კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს;

❖ ახალი მოსწავლის დასწრების პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს კლასის ახალ მოსწავლეს და აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას;

❖ ზოგადად დამრიგებელი პირველივე სადამრიგებლო საათს იყენებს მოსწავლეთა გაცნობისა და დაახლოებისთვის;

❖ დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ;

❖ დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

მოსწავლეთა ადაპტაციის წესი დანერგილია სკოლის ყველა მოსწავლისთვის, რაც გასაუბრებისას დაადასტურეს მოსწავლეებმა. სკოლაში შექმნილია კეთილგანწყობილი და მხარდამჭერი გარემო, რაც აადვილებს ადაპტაციის პროცესს. ადაპტაციას ახორციელებს კლასის დამრიგებელი, რომელიც კარგად ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, მოსწავლის მიღწევებსა თუ თავისებურებებს, არეგულირებს მოსწავლის განწყობას სასკოლო ცხოვრების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მოსწავლეებს სკოლა პირადი შეხვედრისას, კლასის კრებაზე აწვდის ინფორმაციას, აკადემიური მოსწრების, ექსტერნის და საშემოდგომო გამოცდის, ნიშნის ასამაღლებელი გამოცდის, შეფასების კრიტერიუმების შესახებ. სკოლა მოსწავლეს სთავაზობს დახმარებას გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. შესაბამისად სემესტრული გამოცდის საჭიროება არ დაფიქსირებულა. გასაუბრებით გამოჩნდა, რომ მასწავლებლები მიმდინარე შეფასებების და შემაჯამებელი დავალებების შესრულების შემდეგ მოსწავლეებს აძლევენ შესაბამის კონსტრუქციულ უკუკავშირს. აღინიშნა სასწავლო ოლიმპიადებზე მოსწავლეების წარმატებული მონაწილოებაც. სკოლას აქვს რემედიაციის პროგრამის გამოცდილება დაწყებით კლასებში. წარმოდგენილია სასწავლო პროცესში სარემედიატორო პროგრამის დანიშვნის შესახებ ოქმი #127 ოქტომბერი 2025 წელი. რემედიაცია შეეხება მე-2 კლასის მოსწავლეს. ასევე ოქმი #2 26 დეკემბერი 2025 წელი, რომლითაც შეჯამებულია სარემედიატორო პროგრამის შედეგები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (შინაგანაწესი; სასკოლო სასწავლო გეგმა; სადამრიგებლო პროგრამა და სხვა) დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწავლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. ასევე აცნობენ შინაგანაწესით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს.

სკოლის ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის და სარეგისტრაციო ჟურნალების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (სხვა სკოლაში გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, მოსწავლის ცნობის მოთხოვნა და სხვ,) რეაგირება ხდება დადგენილ და განცხადებებში მოთხოვნილ ვადებში. სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა მონაწილეობის საკითხებში ჩართული არიან საგნის მასწავლებლები.

სკოლამ წარმოადგინა მასალები ექსტერნის გამოცდების შესახებ - ექსტერნის გამოცდის ჩატარების განრიგის დამტკიცება - ბრძანება #2-79 08.10.2024 წელი. ბრძანება #2-85 17.10.2024 წელი - პროგრამების ექსტერნატის წესით დაძლევის გამოცდების შედეგების დამტკიცების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით სკოლას დოკუმენტურად შემუშავებული აქვს შესაბამისი მექანიზმიც - დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #2-48 2 მარტი 2026 წელი - **მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმის დამტკიცების შესახებ.** სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური სამუშაო სივრცის მოწყობასა და საინფორმაციო კამპანიას. წესის მიხედვით:

1. მოსწავლეს (მოსწავლეთა ჯგუფს) უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წერილობით ან/და ზეპირად გამოხატოს საკუთარი აზრი და საკუთარი აზრების და იდეების განხორციელების ინიციატივით მიმართოს მოსწავლეთა თვითმმართველობას/კლასის დამრიგებელს. 2. მოსწავლეს შეუძლია ჩაერთოს და მიიღოს მონაწილეობა საკუთარი ან/და სხვისი ინიციატივის განხილვის პროცესში. 3. კლასის დამრიგებელი/მოსწავლეთა თვითმმართველობა უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს მოსწავლის ან/და მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფის ინიციატივას და მიმართოს სკოლის დირექტორს მოსწავლის ან/და მოსწავლეთა ჯგუფის მიერ ინიციატივით მიმართვიდან გონივრულ ვადაში. მოსწავლეებთან გასაუბრებისას მათ დაადასტურეს სკოლაში ინიციატივების მხარდამჭერი პირობების არსებობა.

სკოლაში დამკვიდრებულია საკლუბო მუშაობა - ისტორიის კლუბი. წარმოდგენილია კლუბის წესდება, სამუშაო გეგმა და საქმიანობის ამსახველი მასალები. ასევე სკოლას მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით ფასიან მომსახურებას: ქორეოგრაფიული სტუდია, ხელოვნების სტუდია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

მშობელთა და მშობელთა მხრიდან შეხვედრებზე მიიღება ზეპირსიტყვიერი, ასევე წერილობითი უკუკავშირები კმაყოფილების კითხვარების შევსების გზით. სკოლას აქვს გარკვეული პრაქტიკა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მიმართულებით, სკოლამ წარმოადგინა 2025 წელს ჩატარებული გამოკითხვის მასალები მოსწავლეებსა და მშობლებში, რომელიც შეიცავს კმაყოფილების კითხვარებსაც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება #2-48 2 მარტი 2026 წელი - **მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმის დამტკიცების შესახებ.**
- კლუბური საქმიანობის ამსახველი მასალები
- სარემედიატორო პროგრამის დანიშვნის შესახებ ოქმი #127 ოქტომბერი 2025 წელი.
- მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის მასალები - კითხვები და ანალიზი
- ექსტერნის გამოცდის ჩატარების განრიგის დამტკიცება - ბრძანება #2-79 08.10.2024 წელი.
- ბრძანება #2-85 17.10.2024 წელი - პროგრამების ექსტერნატის წესით დაძლევის გამოცდების შედეგების დამტკიცების შესახებ.
- დირექტორის ბრძანება #2-24 28.01.2026 წელი - ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა უზრუნველყოფს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვაში მოსწავლეების დახმარებას. IX-XII კლასის მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას სხვადასხვა სასწავლებლების შესახებ. ღია კარის დღეზე უმაღლესი სასწავლებლებისა და

კოლეჯების წარმომადგენლები აცნობენ მოსწავლეებს სასწავლებლების პროფესიულ მიმართულებებს. სკოლა მოსწავლეებს კონსულტირებას უწევს საუნივერსიტეტო და პროფესიების არჩევანის გაკეთებაში. ამ კუთხით სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ან/და თანამშრომლობს სხვადასხვა სასწავლებლებთან: შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან“, სოხუმის უნივერსიტეტთან, თავისუფალ უნივერსიტეტთან, ალმა მატერტან და ა.შ.

სკოლამ წარმოადგინა მემორანდუმი #257 7 ნოემბერი 2025 წელი - საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტთან. ასევე ურთიერთნამშრომლობის მემორანდუმი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან 25 სექტემბერი 2024 წელი.

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლაში ხორციელდება შემდეგი აქტივობები:

1. დამრიგებლები ატარებენ კლას-საათებს პროფესიული ორიენტაციის ხელშესაწყობად.
2. სკოლამ წარმოადგინა დამრიგებლების პორტფოლიო, სადაც ასახული დამრიგებლის მიერ კლასში ჩატარებული აქტივობების მასალები.
3. დერეფანში გამოკრულია საინფორმაციო ხელნაკეთი კედლის გაზეთი „როგორ ავირჩიოთ პროფესია“.
4. სკოლის ფეისბუქ-გვერდზე ასახულია ინფორმაცია პროფორიენტაციის მიზნით კურსდამთავრებულებთან მოსწავლეების შეხვედრისა და სხვა გასვლითი ღონისძიებების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლა პერიოდულად აწვდის მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

სკოლა აგროვებს ინფორმაციას პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების შესახებ, რომელსაც აწვდის დაინტერესებულ მოსწავლეებს. გარდა აღნიშნულისა, დამრიგებლების და მშობლების ჩართულობით სკოლის მოსწავლეები ეცნობიან სხვადასხვა პროფესიებს. კერძოდ, სკოლის დირექცია და დამრიგებლები გეგმავენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან შეხვედრებს, რომელთა ფარგლებშიც მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ პროფესიის წარმომადგენლებს დაუსვან შეკითხვები და მიიღონ პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებზე. დამრიგებლები აქტიურ როლს თამაშობენ მოსწავლეებისათვის სწორი მიმართულების მიცემაში. კერძოდ, სადამრიგებლო საათის ფარგლებში ისინი დროს უთმობენ სხვადასხვა პროფესიების მოსწავლეებისათვის გაცნობას.

პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული დისკუსიები, ასევე, იმართება სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე. გარდა ამისა, სკოლის ორგანიზებით სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლები მოსწავლეებთან მართავენ შეხვედრებს, სადაც ისინი მოსწავლეებს აცნობენ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებებს.

სკოლამ წარმოადგინა მასალა კურსდამთავრებულებტან შეხვედრის შესახებ და შესაბამისი წერილი: BrightLAB-ის გაცნობითი შეხვედრა წარმატებით ჩატარდა. ნოდარ ახალკაცის სახელობის N 9 საჯარო სკოლაში სკოლის მოსწავლეებთან ერთად ჩაატარდა ინფორმაციული შეხვედრა, სადაც მოსწავლეები გაეცნენ BrightLAB-ის პროგრამებს, ისაუბრეს განვითარების შესაძლებლობებზე, სტაჟირებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა მხარი დაუჭიროს მოსწავლეების მიერ ინიცირებული პროექტებს, მიიღოს მათგან უკუკავშირი და გამოიყენოს მომდევნო წლის აქტივობების დასაგეგმად. ამ მიზნით სკოლა აწყობს შეხვედრებს მოსწავლეებთან, აცნობს წარმატებულ კურსდამთავრებულთა ისტორიებს. სადამრიგებლო საათის ფარგლებში სკოლაში ტარდება საუბრები და პრეზენტაციები სხვადასხვა სამუშაოებზე და პროფესიის სირთულეზე.

სკოლა გეგმავს ჩაატაროს გამოკითხვა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაგეგმოს შემდგომი ეფექტური ღონისძიებები ხარისხიანი პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიწოდების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეხვედრების ამსახველი ფოტო-მასალა
- მემორანდუმი #257 7 ნოემბერი 2025 წელი - საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტთან.
- მემორანდუმი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან 25 სექტემბერი 2024 წელი.
-

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს **სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების დებულება** - დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის წლის 9 მარტის ბრძანებით N 2/49.

სკოლას ჰყავს 25 შეფასებული სსსმ მოსწავლე. დაწყებით საფეხურზე - ყველა კლასში არის სსსმ მოსწავლე, საბაზო საფეხურზე - მე-7 და მე-9 კლასებში, საშუალოზე - მე-10 და მე-12 კლასებში. ინდ. სასწავლო გეგმა შემუშავებულია ერთის გარდა ყველა სსსმ მოსწავლისათვის, ზოგიერთ მოსწავლისათვის მხოლოდ ცალკეულ საგანში. სსსმ მოსწავლეებს შორის არის რამდენიმე შშშმ პირი, თუმცა ფიზიკურად შეზღუდული შესაძლებლობის (ეტლით მოსარგებლე) არ არის.

ინკლუზიურ განათლებას სკოლაში ემსახურება ოთხი სპეც. მასწავლებელი. ამათგან ორი დილის ცვლაში, ორიც - საღამოს ცვლაში. თითოეულ მასწავლებელზე განაწილებულის 6-7 სსსმ მოსწავლე. ასევე ემსახურება სსსმ პირის ასისტენტი 13 მოსწავლეს დაწყებით საფეხურზე. საბაზო და საშუალოზე ასისტენტის საჭიროება არ არის. ასევე სკოლას გამოყოფილი აქვს ფსიქოლოგის შტატი და ერთი ენისა და მეტყველების თერაპევტი.

სკოლას აქვს დიდი და კეთილმოწყობილი რესურს-ოთახი (მოწყობილია 2016 წელს) ყველა შესაბამისი აღჭურვილობით (სკოლამ წარმოადგინა ინვენტარის აღჭურვილობა ინვენტარიზაციის აქტი). ექსპერტებმა დაათვალიერეს რესურსოტახი და მისი თვალსაჩინოებები: ხელნაკეთი რესურსები, სხვადასხვა ბარათები, განმავითარებელი რესურსები, მეთოდური სახელმძღვანელოები, იუნესეფის პროექტის ფარგლებში მიღებული სხვადასხვა მეთოდური ინვენტარი.

სპეც. მასწავლებლის სამუშაო აღწერილობა: კლასის ხელმძღვანელი ან საგნის მასწავლებელი მიმართავს სპეც. მასწავლებელს მოსწავლესთან გამოკვეთილი საჭიროების არსებობისა და მის შეფასებაში დახმარების გაწევის შესახებ. იწყება ერთობლივი დაკვირვების პროცესი 2 კვირის განმავლობაში საგნის მასწავლებლეთან ერთად, რის შედეგედაც ადგენენ საჭიროებას, გააგზავნონ თუ არა მულდისციპლინურ გუნდში შესაფასებლად. უკვე შეფასებული სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ტარდება შეხვედრა მშობლებთან, რომელსაც აცნობენ ბავშვის შეფასებას და მის გამოკვეთილ საჭიროებებს. საგნის მასწავლებელებთან ერთად სპეც. მასწავლებლები მუშაობენ ინდ. გეგმებზე. სპეც. მასწავლებლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში უზრუნველყოფილია წინასწარ შედგენილი განრიგით. ფსიქოლოგთან ხდება სასწავლო მიზნების შეთანხმება. ფისქოლოგი მუშაობს იმ ბავშვებთან მუშაობს ფსიქოლოგი, ვისაც დასკვნაში უწერია ფსიქოლოგის საჭიროება. ფსიქოლოგს ამჟამად ჰყავს 15 სსსმ მოსწავლე.

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია: ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა - 2025-2026 ს/წ

თითოეულ ბავშვზე გაკეთებულია პორტფოლიო - სადაც თავმოყრილია ბავშვის მასალები, ნამუშევრები. ასევე სასწავლო რესურსების საქაღალდეები.

რესურს-ოტახში განთავსებულია ტექნიკა: 1 ლეპტოპი, დინამიკი, პრინტერი - შავ-თეთრი და ფერადი. ლამინირების აპარატი.

სკოლაში არსებული ადაპტირებული გარემო: სკოლას არა აქვს არც გარე და არც შიდა პანდუსი. არ არის მოწყობილი ადაპტირებული საპირფარეშო, შესაბამისად სსსმ მოსწვალებეიდან არავინ სარგებლობს ამით და სარგებლობენ ჩვეულებრივი საპირფარეშოთი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლა თანამშრომლობს მშობლებთან, ხდება მშობლის ინფორმირება დამრიგებლის შუამავლობით. მშობლებთან რეგულარულად ტარდება შესაბამისი კონსულტაციები.

რესურსოთახში გამოკრულია დღის განრიგი, რომლის მიხედვითაც ტარდება ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობები.

სპეციალური მასწავლებელი ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართულნი სსსმ მოსწავლეები. თითოეული მასწავლისათვის **შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა,** რომელიც შეთანხმებუია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიურ საბჭოზე. სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერა ხორციელდება უფროსის სტატუსის მქონე სპეციალური მასწავლებლის მიერ, ასევე კლასის დამრიგებლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან ერთად გაერთიანებულია ისგ ჯგუფებში.

სკოლამ წარმოადგინა:

- ისგ-ჯგუფის სხდომის ოქმები, ინდ. სასწავლო გეგმა
- ინკლუზიური განათლების შესახებ მონიტორინგის წლიური დასკვნა
- დირ. ბრძანება მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ
- შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმი
- ხელშეკრულება სპეც. მასწავლებელთან
- ფსიქოლოგის შუალედური ანგარიში

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების დებულება - დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის წლის 9 მარტის ბრძანებით N 2/49.
- ხელშეკრულება სპეც. მასწავლებელთან
- ხელშეკრულება ფსიქოლოგთან
- ფსიქოლოგის შუალედური ანგარიში
- ისგ-ჯგუფის სხდომის ოქმები, ინდ. სასწავლო გეგმა
- ინკლუზიური განათლების შესახებ მონიტორინგის წლიური დასკვნა
- დირ. ბრძანება მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ
- შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმი
- რესურს-ოთახის სამუშაო განრიგი
- ადგილზე დათვალიერება, ფოტო-მასალა
- სამუშაო ჯგუფის ოქმი #1 და ოქმი #2
- პედსაბჭოს ოქმი #6 22 სექტემბერი 2025 წელი - ისგ-ს დამტკიცებასთან დაკავშირებით
- სამეურვეო საბჭოს ოქმი #9 19 სექტემბერი 2025 წელი - ინდივიდუალური და ალტერანტიულ სასწავლო გეგმებთან დაკავშირებით
-

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლის მიერ შეთავაზებულია დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება **კვების ობიექტი-ბუფეტის სახით, ასევე იჯარით გაცემული ქორეოგრაფიული და ხელოვნების სტუდია.** აღნიშნული ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე, გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

სკოლამ იჯარასთან დაკავშირებით წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტაცია:

- განათლების სამინისტროს წერილი - სკოლისადმი MES 3 25 0001263513 01/10/2025.
- ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი 27.10.2025
- აუდიტის დასკვნა ფართების საბაზრო-საიჯარო ღირებულების შესახებ
- იჯარის ხელშეკრულება ბუფეტთან დაკავშირებით. ბუფეტი განთავსებულია ცენტრალური კორპუსის პირველ სართულზე. ადგილზე მზადდება პროდუქტი. სკოლამ წარმოადგინა ბუფეტის მონიტორინგის აქტი, ასევე დირექტორის ბრძანება #2/273 29 ოქტომბერი 2025 წელი კვების ობიექტზე მონიტორინგის განხორციელების შესახებ. ბუფეტის მოიჯარეს აქვს სათანადო სერტიფიკატი/იურიდიული პირის რეგისტრაციის მოწმობა კვების ეკონომიკური საქმიანობის შესახებ.
- იჯარის ხელშეკრულება - ქოორეოგრაფიის სტუდიასთან. სტუდია მოწყობილია სპორტულ დარბაზში და მუშაობა მიმდინარეობს გაკვეთილების დასრულების შემდეგ 18.00 საათის შემდეგ.
- იჯარის ხელშეკრულება - ხელოვნების სტუდიასთან, რომელიც მოწყობილია პირველ სართულზე, თავისუფალ ფართში, რომელსაც სხვა დატვირთვა არა აქვს. საღამოს საათებში 18.00 საათის შემდეგ და შაბათს დღის საათებში.
- აუქციონის გამოცხადების დოკუმენტი ქორეოგრაფიული სტუდიის გაიჯარებასთან დაკავშირებით
- აუქციონის გამოცხადების დოკუმენტი ხელოვენბის სტუდიის გაიჯარებასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლაში ფუქნციონირებს ისტორიის კლუბი - წარსულის დარაჯები, რომეიც ემსახურება მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობას. სკოლას აქვს სასკოლო კლუბის მარეგულირებელი წესი - კლუბის დებულება და სამუშაო გეგმა. დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით - სკოლას შემუშვებული აქვს კლუბური საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაცია. მოსწავლეებმა გასაუბრებისას დაადასტურეს კლუბური საქმიანობის ეფექტურობა, მათ შორის მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივის გათვალისწინება.

სკოლაში ასევე არის გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფი, რომელიც ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განათლების სამინისტროს წერილი - სკოლისადმი MES 3 25 0001263513 01/10/2025.
- ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი 27.10.2025
- აუდიტის დასკვნა ფართების საბაზრო-საიჯარო ღირებულების შესახებ
- იჯარის ხელშეკრულება ბუფეტთან.
- იჯარის ხელშეკრულება - ქოორეოგრაფიის სტუდიასთან.
- იჯარის ხელშეკრულება - ხელოვნების სტუდიასთან.
- აუქციონის გამოცხადების დოკუმენტი ქორეოგრაფიული სტუდიის გაიჯარებასთან დაკავშირებით
- აუქციონის გამოცხადების დოკუმენტი ხელოვენბის სტუდიის გაიჯარებასთან დაკავშირებით
- კვების ობიექტის მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება #2/273 29 ოქტომბერი 2025 წელი
- კვების ობიექტის შემოწმების აქტი
- კვების ობიექტის მოიჯარის იურიდიული პირის რეგისტრაციის მოწმობა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო და საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლამ წარმოადგინა სსიპ-ქალაქ თბილისის N9 საჯარო სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც აღწერს კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს: პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი; კურიკულუმის განვითარების ეტაპებს (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია); პროცესში ჩართულ მხარეებს და საზოგადოების ინფორმირების საშუალებებს.

მეთოდოლოგიური დოკუმენტის გაცნობით დგინდება, რომ ერთ-ერთი პრინციპი, რომელსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარება, მუდმივმოქმედი პროცესია და მასში აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები, მასწავლებლები და სკოლის დირექცია. აღწერილია თითოეული ჩართული მხარის ფუნქცია-მოვალეობები. სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, სკოლისთვის მნიშვნელოვანია მათი ინფორმირება და უკუკავშირი. რისთვისაც სკოლა გამოიყენებს სხვადასხვა საშუალებებს. კერძოდ, სკოლის ვებგვერდს, ელექტრონული ჟურნალს, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალური მედიას, საჯარო ღონისძიებებს - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. საგნობრივი ჯგუფის წევრებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავება განხორციელდა საგნობრივ კათედრებზე, რომლებიც შემდეგ გაერთიანდა სხვა კათედრების მიერ შექმნილ კურიკულუმებთან და შეიქმნება სასკოლო კურიკულუმი თითოეული საფეხურისთვის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო). სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმების შედგენის დროს გაითვალისწინეს პედაგოგების გასული წლის გამოცდილება. ასევე გათვალსიწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და ინტერესები.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების გაცნობით და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კერძოდ, სკოლაში მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გამოკვეთის შედეგად ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ასახულია დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კათედრების მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლეების და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების ინტერესები, რომლებიც დეკლარირებულია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში კარგად ჩანს მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, საკითხის თემატური დაყოფა, თემების შესწავლის დაგეგმვა, რომელიც სასკოლო საზოგადოების ინტერესებზეა აგებული. სკოლაში დაწყებითი საფეხურის კლასები განთავსებულია პირველ სართულზე, საწავლო გარემო მორგებულია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა ინტერესებზე, დერეფნებში არსებობს სივრცეები დასვენებისთვის და სახალისო აქტივობებისთვის. საგნობრივი კურიკულუმებით შეთავაზებული დავალებები ითვალიწინებს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები ფორმალურ განათლებასთან ერთად ითვალიწინებს არაფორმალური განათლების აქტივობებს, მათ შორის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამას. აღნიშნული კურიკულუმებში გათვალსიწინებულია წლის განმავლობაში დაგეგმილი სასკოლო თუ სკოლის გარეშე ღონისძიებების ჩამონათალი. სკოლას აქვს გამართული კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სპორტული და სააქტო დარბაზები, რესურს ოთახი, კვების ბლოკი და საბუნენისმეტყველო საგნების ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პირველადი საჭიროების ინვენტარით, რითაც უზრუნველყოფს საბაზისო, პრაქტიკული აქტივობების განხორციელებას. სასწავლო პროცესის კიდევ უფრო ეფექტურად წარმართვისთვის მიზანშეწონილია არსებული მატერიალური ბაზის განახლება. მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებისა და ინტერესების დასადგენად, სკოლა რეგულარულად ატარებს გამოკითხვებს და გამოკითხვის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით ახდენს ცვლილებების შეტანას სასწავლო კურიკულუმში.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო საგნობრივი კათედრები და დირექცია. სკოლაში, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საგნობრივი კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან. საგნების მასწავლებლები, სამუშაო შეხვედრების ფარგლებში, ერთობლივად გეგმავენ სასკოლო საგნობრივ კურიკულუმებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა აერთიანებს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებს, რომლებიც ასევე მოიცავს შესაბამის საგნობრივ კურიკულუმებს. სკოლას გააზრებული აქვთ დირექციის, საგნობრივი კათედრებისა და პედაგოგების როლი და ფუნქციები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, სწავლა-სწავლების პროცესში პედაგოგი შემოქმედებითი დავალების ეტაპების, შეფასების შესახებ ინფორმაციას, ელ. ჟურნალის საშუალებით უზიარებს მშობლებს. დამრიგებლის დებულებით განსაზღვრულია, სასწავლო წლის დასაწყისში მშობლის ინფორმირება სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ და ასევე სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კურიკულუმის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის და სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, საჭიროა მათი ინფორმირება და უკუკავშირი, რისთვისაც სკოლა გამოიყენებს ისეთ საკომუნიკაციო არხებს როგორიცაა: ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია, ბეჭვდით მასალები, საჯარო ღონისძებებს-ინტერაქტიულ ორმხრივ კომუნიკაციას აუდიტორიასთან/სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან თუ დირექციასთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო სკოლის ყველა მასწავლებელი და დირექცია, კათედრებისა და პედსაბჭოს სხდომებზე ხდება დაგეგმილი პროცესების შესახებ მსჯელობა, პასუხისმგებლობების გადანაწილება. მშობელთა კრებებზე ხდება მშობელთა ინფორმირება და მათგან უკუკავშირის მიღება. სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმება ხდება სამეურვეო საბჭოსთან.

ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N9 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.
- სკოლის დირექტორის ბრძანება N2/28 20.02.2026
- დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- სსიპ ქალაქ თბილისის N9 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული 2025-2026წ.სასკოლო სასწავლო გეგმა

- დამრიგებლის დებულება
- კათედრის სხდომის ოქმები
- სამეურვეო საბჭოს N1 სხდომის ოქმი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. საგანში (ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმების განხილვის და ონლაინ ვიზიტის დროს მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად მიღებულმა პასუხებმა, მოგვცა საშუალება ვთქვათ, სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები გაწერილია სავალდებულო თემებით და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნებით, რომლებიც საჭიროებს დახვეწას. მასწავლებლებთან საუბრისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა ამ მხრივ სკოლა საჭიროებს მეტ პრაქტიკულ მუშაობას. **2.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.** **რჩევა -** როგორც დაწყებით ისე საბაზო და საშუალო საფეხურზე ყველა საბუნებისმეტყველო საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი სავალდებულო თემები და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნები, გაიწეროს ყველა საფეხურის ყველა თემაში და საკითხები/საკითხთა კლასტერები დაკონკრეტდეს, რათა მოერგოს მოსწავლის საჭიროებებს, გახდეს მოსწავლეზე ორიენტირებული.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალ საგნებში - მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, საქართველოს ისტორია, წარმოდგენილი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა შესაძლებლობების გაძლიერებაზე. კურიკულუმები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმითა და ცალკეული საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ ძირითად პრინციპებთან. აღსანიშნავია, რომ თითოეული საგნისა და კლასის შემთხვევაში, სამივე საფეხურზე, განსაზღვრულია საგნობრივი საკითხები, საგნობრივი საკითხების გასააზრებლად საჭირო სასწავლო

	რესურსები, სხვადასხვა ფორმატის შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას უწყობს ხელს, ასევე, წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა განვითარებას შეფასების, შესაბამისი რეკომენდაციების გაზიარების და მათ საფუძველზე სხვადასხვა აქტივობის განხორციელების გზით. **2.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ სამივე საგანში (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა) შემუშვებული კურიკულუმები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ რომ სკოლა ორიენტირებულია გძელვადიან მიზნებზე (ე.ს.გ. მიხედვით). სამივე საფეხურის უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებული არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსები არის ინტერაქტიული, რაც ხელს უწყობს იმას რომ ყველა მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და გასაუბრების დროს კათედრის წევრების მიერ მაგალითად მოჰყვანილი შემოქმედებითი დავალებებზე მუშაობის ეტაპების აღწერა გვაძლევს საშუალებას ვთქვათ რომ ნებისმიერ მოსწავლეს აქვს საშუალება მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობი და მოახდინოს თვითრეალიზება. **2.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმში გაწერილი იყოს ყველა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც მოსწავლეები სასწავლო წლის განმავლობაში ქმნიან (გასაუბრების დროს მოყვანილი იყო ბევრი მაგალითი).
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, კონტექსტ მაგალითები და რესურსები. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისდან

	გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. **2.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს სამივე საფეხურზე შემუშავებული აქვთ საგნობრივი კურიკულუმები. შემუშავების პროცესში აქტიურადაა ჩართული სასკოლო საზოგადოება. გასაუბრებით ცნობილი გახდა, რომ მოსწავლის და მშობლის ბარათებს აზიარებენ სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში. პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას. კონკრეტულ კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებზე აქვთ მომზადებული ბარათები, რომლებსაც წინასწარ ეცნობიან მშობლები, მოსწავლეები. კურიკულუმებში მკაფიოდ და ცხადად არის გაწერილი ცნებები, თემები, საკითხები, ყველა კონტექსტ- მაგალითი, შემოქმედებითი/კომპლექსური დავალების პირობა, გამოკვეთილია მათი გამხორციელებისათვის საჭირო დანართი-ვიდეო-აუდიო, მატერიალური თუ ციფრული რესურსები. როგორც მასწავლებლები აღნიშნავენ, წინა სასწავლო წლის რეფლექსიით ხდება ახალი კურიკულუმის შემუშავება და სასწავლო პროცესის დაგეგმვა. **2.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**-სასურველია, დაწყებით და საბაზო საფეხურებზე წარმოდგენილ კურიკულუმებში: ა) მოწესრიგდეს და სწორად განისაზღვროს სტრუქტურული ერთეულების შინაარსი. კერძოდ, გაიმიჯნოს კონტექსტმაგალითები სასწავლო რესურსებისაგან და საკითხი შემოქმედებითი დავალების იდეისაგან; ბ) სამივე საფეხურის კურიკულუმის თავფურცელში მიუთითეთ წლიური ან სემესტრული საათობრივი დატვირთვა
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმები, რომლებიც შემუშავებულია სტანდარტებზე დაყრდნობით, ითვალისწინებს საგნობრივ სტანდარტებს. მასში გაწერილია ის გზები და საშუალებები, რომლის საფუძველზე ხერხდება დასახული მიზნის მიღწევა. კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი თემები, სამიზნე ცნებები, შემოქმედებითი დავალებების იდეები, რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ გრძელვადიანი მიზნების მიღწევის საშუალებებს. დაგეგმილი და შემუშავებული კურიკულუმის განხორციელების ვალდებულება ამტკიცებს

	მოსაზრებას, რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის წარმართვის და განვითარების გზას, რაც დადასტურდა კიდეც კათედრის წევრებთან გასაუბრებისას **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** კურიკულუმი ჩასწორდეს სვეტების სათაურის შესაბამისად: ცნების გრაფაში დაიწეროს ცნება, თემის შესაბამის სვეტში თემა. შეივსოს ყველა განყოფილება, რაც წარმოდგენილია კურიკულუმებში. მითითებულ იქნას სახელმძღვანელოდან შესაბამისი გვერდები. ინტერვიუს დროს გაჟღერებული დიფერენცირებული სწავლების მიდგომები ჩაიწეროს კურიკულუმში. იყოს შევსებული ისე, რომ შესაძლებელი გახდეს წაკითხვა.
სპორტი	სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, შემუშავებულია სპორტის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე, იგი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. შდეგი კი ასახულია სპორტულ აქტივობებში და მიღწევებში. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო (II-VI კლასი) მიზნად ისახავს მე-3 თაობის ესგ-ს სტანდარტების განხორციელებას და მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განვითარებას. კურიკულუმი ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე და შუალედურ მიზნებად მოიცავს სამიზნე ცნებებსა და კომპლექსური დავალებების იდეებს, რომლებიც ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. ეს ხელს უწყობს ცოდნის ტრანსფერს, უნარების განვითარებასა და გამთლიანებულ სწავლებას. ინტერვიურებისას მასწავლებლებმა/მასწავლებელმა გამოხატეს კომპლექსური დავალებების მნიშვნელობა და გააზრებული ჰქონდათ ცნებებს შორის კავშირები, საგნის ძირითადი მიზნები და სარეკომენდაციო რესურსების გამოყენება. ისინი აქტიურად ნერგავენ კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებს, აანალიზებენ გამოწვევებს და აფასებენ მიღებულ დადებით შედეგებს.

	კურიკულუმის ჩარჩო მოიცავს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, ინფორმაციულ და ციფრულ წიგნიერებას, და სამიზნე ცნებების სრულ სპექტრს. რესურსების შერჩევა ემყარება გრძელვადიან მიზნებს და სწავლება ეფუძნება მოსწავლის მოტივაციასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიან შედეგებზე, რომლებიც განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები და შინაარსი იქმნება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინებით. მიზნები მუშავდება სამგანზომილებიანი მიდგომით, რომელიც აერთიანებს ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს. კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებები ხელს უწყობს შემოქმედებითი და ლოგიკურ-ალგორითმული უნარების განვითარებას. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებით საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემულ კურიკულუმის ჩარჩოებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაწერილია შესაბამისი საგნის (ბუნებისმეტყველება, ქართული, მათემატიკა, მე და საზოგადოება) სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და სასწავლო რესურსები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებასა და მოსწავლეთა საჭიროებებს. შესაბამისად კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. საგანში (ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) ბუნებისმეტყველების კათედრის მიერ შემუშვებული კურიკულუმები შეესაბამება კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს ესგ-ში მოცემულ ყველა თემის დაფარვას. კურიკულუმებში არის წარმოდგენილი კომპლექსური/კომპლექსური ტიპის, თუ შემოქმედებითი ბუნების დავალებები რომლის შესრულება ეხმარება მოსწავლეებს მიაღწიოს ესგ განსაზღვრულ მიზნებს, სამივე საფეხურზე.

	ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები შესაბამისობაშია ესგ-ით განსაზღვრულ შედეგებთან. ყველა საგნის ფარგლებში თითოეული კლასისთვის წარმოდგენილია დოკუმენტები, რომლებშიც გაწერილია საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემების ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები. აღნიშნულ დოკუმენტში, ასევე, წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებების იდეები და სხვადასხვა ფორმატის რესურსები კონკრეტული საკითხების სიღრმისეულად გასააზრებლად, რომლებიც, საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია** **რჩევა**: მნიშვნელოვანია, დაწყებით საფეხურზე, ყველა კლასის კურიკულუმში, სტანდარტით განსაზღვრული თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში მკაფიოდ გამოიკვეთოს მიმართება საგნობრივ საკითხებსა და სამიზნე ცნებებს შორის (მოცემული რჩევა მიემართება მე და საზოგადოებას). ამასთანავე, მნიშვნელოვანია, საგნობრივ კურიკულუმებში თითოეულ სავალდებულო თემაში სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნების დასამუშავებლად განისაზღვროს საგნობრივი საკითხები. ამასთანავე, სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები დაჯგუფებულად დამუშავდეს, რაც საკითხებს შორის არსებული კავშირებისა და შესაბამისად, სტანდარტით განსაზღვრული შედეგების სიღრმისეულად გააზრებას/მიღწევას უზრუნველყოფს.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ სამივე საგანში (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა) თავდაპირველად წარმოდგენილი კურიკულუმები არ შეესამებოდა კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს ესგ-ში მოცემულ ყველა თემატური ბლოკების და თემების დაფარვას (სკოლის მიერ წარდგენილ სამივა საგნის კურიკულუმებში გრაფაში „თემა“ მითითებული იყო სახელმძვანელოში მოცემული თავების დასახელებები ; საბაზო საფეხურის სამივე საგანში ცნებები იყო მითეთებული არასწორად იყო გამოყენებული ძველი ესგ ; აგრეთვე კურიკულუმებში მოცემული შემოქმედებითი ტიპის დავალებები არ ფარავდა ყველა სამიზნე ცნებას). ონლაინ შეხვედრის დროს

	მასწავლებლებს მიეცა მითითება და შენიშვნა ამის შესახებ. ვიზიტის დროს გამოგზავნილ კურიკულუმების ბოლო ვერსიაში უცხოური ენის მასწავლებლებს გათვალისწინებული აქვთ გასაუბრების დროს მიღებული შენიშვნები და კურიკულუმებში შეტანილი აქვთ ცვლილებები. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** კურიკულუმების შედგენის დროს უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებმა პირველ რიგში იხელმძღვანელონ ესგ-ის ბოლო ვერსიით და ზუსტად გადაიტანონ ესგ-დან კურიკულუმში თემების და ცნებების დასახელება.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმი ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, სამიზნე ცნებები, დასამუშავებელი საკითხები, კონტექსტ მაგალითები. დავალებები და აქტივობები იმგვარადაა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეხმარება მოსწავლეებს მიღებული ცოდნის გამოყენებაში. გასაუბრებისას გამოიკვათა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ -ის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებსაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავებისას. მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებზე, სადაც გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური დავალების პირობები და განსახორციელებელი აქტივობები (მაგ: პრეზენტაცია, პოსტერების შექმნა, ბუკლეტის შექმნა, ინტერვიუ პერსონაჟთან, ანალიტიკური ესე, პირადი მოსაზრების გამომხატველი ესე), რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს იდეების გენერირების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარებს. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	კურიკულუმში წარმოდგენილი თითოეული კომპონენტები იძლევა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. სწავლა-სწავლების გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირად არის სამიზნე ცნებები და შედეგები, ჩანს ამ ცნებების იერარქიული კავშირში ერთმანთთან. მოცემულია საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც, ამუშავებს სამიზნე ცნებებს და უზრუნველყოფს მათ საფუძვლიანად შესწავლას. ამავე დროს ორიენტირებულია სტანდარტით განსაზღრულ შედეგებზე და ხელს უწყობს ისეთ ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა: კრიტიკული, შემოქმედებიითი, კომუნიკაციის, თანამშრომლობით, მოქალაქეობრივი და ნებელობის უნარების განვითარება. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** ცნებებთან ერთად მითითებულ იქნას ქვეცნებები თემის/საკითხის შესაბამისად. ყველა თემის ფარგლებში დამუშავდეს სამივე სამიზნე ცნება.
სპორტი	სპორტის საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე ორიენტირით. სამიზნე ცნებები და აქტივობები იერაქრქიულ კავშირშია ერთმანეთთან. ჩატარებული სპორტული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, ემოციების მართვის, უსაფრთხოების დაცვის, სამართლიანი თამაშის წესების დაცვის, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს ანალიზმა აჩვენა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის საკითხების ურთიერთმიმართება და საგნის მიზანი. კომპლექსური დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებს. აღსანიშნავია ორიგინალური, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული დავალებები. ასევე, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით ხორციელდება პროექტები და ინტეგრირებული გაკვეთილები, რაც ხელს უწყობს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. ინტერვიუში მასწავლებლებმა დეტალურად აღწერეს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი და ეტაპები. კომპლექსური დავალებების დაგეგმვისას ითვალისწინებენ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს, შეფასების კრიტერიუმებიც მათთან კორელაციაშია.

	კურიკულუმისა და ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების როლი -ისინი ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას, შემოქმედებით მიდგომას, თანამშრომლობას, დამოუკიდებელი მსწავლის როლის ჩამოყალიბებას, რეფლექსიასა და მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.** ***რჩევა:*** სასურველია, პედაგოგებმა უფრო აქტიურად ჩაატარონ სხვადასხვა საგნისა და კომპიუტერულ ტექნოლოგიების ინტეგრირებული გაკვეთილები, ასევე მოსწავლეები მეტად წაახალისონ, რომ მონაწილეობა მიიღონ არაფორმალურ აქტივობებში, როგორიცაა ტექნოლოგიური კონფრენციები, ოლიმპიადები, კონკურსები, ვორკშოფები და ა.შ
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდარტებში წარმოდგენილი შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები ორიენტირებულია თემის შესაბამის მიზანზე. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია**

3.კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ შემუშვებული კურიკულუმები და ინტერვიუს დროს მიღებული პასუხები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. ეს რესურსებია: პირველ რიგში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებით სასწავლო რესურსებად კურიკულუმში მრავლად არის ბმულები (ელ. რესურსების მისამართები) რომლების ზუსტად არის მორგებული სასწავლო თემას, მიზნებს. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**

	რჩევა: სასურველია, სასწავლო წლის დასაწყისში საბუნებისმეტყველო კათედრამ შექმნას დამატებითი სასწავლო რესურსების ნუსხა კლასების და თემების მიხედვით რომელიც იქნება დამტკიცებული კათედრის სხდომაზე სავალდებულო (სახელმძღვანელოები) რესურსებთან ერთად.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	თითოეული საგნის ფარგლებში წარმოდგენილია რესურსები თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში, რომლებიც კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხების სამიზნე ცნებების შესაბამისია და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმში წარმოდგენილია როგორც მატერიალური, ასევე, ელექტრონული რესურსები. **2.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, თითოეულ საგანში გამოიკვეთოს კონკრეტული ძირითადი რესურსები (ე.წ. კონტექსტ-მაგალითები), რომლებიც კურიკულუმით განსაზღვრული საგნობრივი საკითხების სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან მიმართებით კავშირებს გამოკვეთს, რაც საკითხების სიღრმისეულად გააზრებას უზრუნველყოფს.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ სამივე საგანში (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა) შემუშვებული კურიკულუმები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. ეს რესურსებია: პირველ რიგში, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, და აგრეთვე დამატებით სასწავლო რესურსები, კურიკულუმში არის ე.წ. „ლინკები“ (ელ. რესურსების მისამართები) რომლების მორგებულია სასწავლო თემებს. სკოლას აქვს საკმარისი მატერიალური ბაზა (კომპიუტერები, პროექტორები და ა.შ) რომ ეს ელექტრონული რესურსები გამოიყენონ გაკვეთილზე. **2.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** კურიკულუმებში იყოს შეტანილი ყველა ის დამატებითი სასწავლო რესურსი რომელსაც იყენებენ მასწავლებლები, გასაუბრების დროს საკმაოდ ბევრი მაგალითი იყო მოყვანილი გამოყენებული

	რესურსების, აგრეთვე მასწავლებლებმა მუდმივად ამოწმონ კურიკულუმებში მოცემული ე.წ. „ლინკები“ რადგან ზოგი ლინკი არ იხსნება ან ლინკზე გახსნილი რესურსის თემა არ შეესაბამება კურიკულუმში დაწერილ თემას. სასურველია მასწავლებელმა მისთვის საჭირო ელ.რესურსი ჩამოტვირთოს და შეინახოს საკუთარ იუთუბარხზე.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი რესურსები, როგორიცაა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ციფრული თუ მატერიალური რესურსები ასევე ვიდეო თუ აუდიო მასალა, სხვადსხვა ელექტრონული რესურსები, რომლებიც უფრო საინტერესო და მრავალფეროვანს და მიმზიდელს ხდის სასწავლო პროცესს, რაც განაპირობებს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვას. **2.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია გრიფირებულ სახელმძღვანელოზე. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. საგულისხმოა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას მასწავლებლები ხშირად იყენებენ ადგილობრივ რესურსებს, თბილისში შუშანიკის საფლავისა და მეტეხის პლატოზე წმინდა აბოს წამების ადგილის მონახულება, მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ ამაღლდა მოსწავლეთა მოტივაცია, ინტერესი ამ რესურსების სასწავლო პროცესში ჩართვისას. ასევე, კათედრის სხდომაზე განხილულია რესურსების მიზნობრივად შერჩევისა და გამრავალფეროვნების საკითხი, რაც, პრაქტიკულად, ასახულია წარმოდგენილ კურიკულუმებში. **2.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**-სასურველია, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, განსაკუთრებით საბაზო საფეხურის კურიკულუმში, გაწეროთ მრავალფეროვანი რესურსები, რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.

მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმში, შემოქმედებითი პროდუქტების შესაბამისად, მითითებულია რესურსები არა მხოლოდ შემოქმედებით დავალებებზე მუშაობისათვის, არამედ, იმ საკითხების შესაბამისად, რომელსაც ამუშავებენ წლის მანძილზე. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში მოცემულია ძირითადი რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ასევე დამხმარე რესურსები, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს მიზნების მიღწევაში. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. როგორც გამოიკვეთა დაწყებითი კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნაწილ კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში არ არის ასახული მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსები, რასაც კათედრის მასწავლებლების უმრავლესობა იყენებს სასწავლო პროცესში. **2.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

	რჩევა: სასურველია ყველა რესურსი, რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები“. სასურველია, დამატებითი რესურსების უფრო დეტალური და კონკრეტული ჩამონათვალის შეტანა.

4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი აქტივობები ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომებით, უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები, რომლებმაც წარმოაჩინა რომ შესაბამისობაშია სასწავლო პროცესი კურიკულუმთან. **ინდიკატორი2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	თითოეული საგნის ფარგლებში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების პრინციპები. კერძოდ, აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი ისგ გეგმებით, რომლებიც ერი მხრივ, საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ პრინციპებს ემყარება, მეორე მხრივ კი, მოსწავლეთა განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით არის შექმნილი. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**: სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში აისახოს დიფერენცირებული მიდგომები, მაგალითად, შემოქმედებით დავალებებსა და სასწავლო რესურსებში.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სამივე საგანში (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა) გათვალისწინებულია ინკუზიური სწავლების პრინციპები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციია (ინდივიდუალური სასწავლო გეგმები) და ინტერვიუს დროს მიღებული პასუხები

	გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ უცხოური ენების კათედრის მასწავლებლები მოსწავლეებს განიხილავან სასწავლო პროცესის აქტიურ სუბიექტებად და გააზრებული აქვთ რომ მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა. სკოლა უზრუნველყოფს განათლების ხელმისაწვდომობას ყველა შესაძლებლობის მოსწავლისთვის. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა მოიყვანეს მაგალითები თუ როგორ აძლევენ სხვადასხვა აკადემიური მოსწრების და შესაძლებლობების მოსწავლეებს დიფერენცირებულ დავალებებს. სამწუხაროდ მსგავსი დავალებების არსებობა დოკუმენტალურად არ დადასტურდა. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა ითვალისწინებს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს, ქმნის ინკლუზიურ გარემოს. ამის დასტურია წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები/აქტივობები, რესურსები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეზე და იწვევს მათ დაინტერესებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს საკუთარი ინტერესებიდან, მზაობიდან გამომდინარე აარჩიონ დავალება, საჭიროების შემთხვევაში ახდენენ სასწავლო შინაარსისა და დავალებების ადაპტირებას. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების პრინციპები. სკოლა აცნობიერებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მნიშვნელობას. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მათ გააჩნიათ დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. მასწავლებლები, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის, მოსწავლის მზაობის გათვალისწინებით. კათედრას წარმოდგენილი აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის ინდივიდუალური გეგმა, სადაც მკაფიოდ იკითხება მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონე, გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, დაგეგმილი აქტივობები მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში აღწერილია მონიტორინგის ანალიზი და მოსწავლის პროგრესი. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	კათედრის წევრებთან გასაუბრებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების უმთავრესი მიზანია სკოლის თითოეულ მოსწავლეს ხელი მიუწვდებოდეს ხარისხიან განათლებაზე. სკოლაში შეიქმნას მათზე მორგებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლე შეძლებს თავისი ინტერესების დაკმაყოფილებას, შესაძლებლობების რეალიზებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლის დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს: სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილები, შესაძლებლობები და უნარები. რის მტკიცებულებას წარმოადგენს ის, რომ მოსწავლეს სთავაზობენ სხვადასხვა შემოქმედებით დავალებებს. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სპორტის მიმართულებით მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ინტერესებით და საჭიროებებით. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. **2.1.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	საგან „კომპიუტერული ტექნოლოგიების“ კურიკულუმში წარმოდგენილია მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი, მასალა და ელ. რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივ კონსტრუირებას. ინტერვიუში პედაგოგებმა/პედაგოგმა აღნიშნეს/აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით ცვლიან აქტივობებს, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მრავალფეროვან რესურსებს. მათ აძლევენ მოსწავლეებს შესაძლებლობას, გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულება მისთვის ეფექტური გზებით. შეფასება განიხილება, როგორც საშუალება სწავლის გაუმჯობესებისთვის. სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური გეგმა, შეფასების რუბრიკები და თვითრეფლექსიის დოკუმენტები, სადაც ჩანს მოსწავლეთა ინტერესების და თავისებურებების გათვალისწინება. **2.1.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების	ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე, ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ პედაგოგები

დაწყებითი საფეხური	ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს და მოსწავლეებს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს შემოქმედებითი ბუნების დავალების პროდუქტის შესაქმნელად. **2.1.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. სკოლის წარმოდგენილი აქვს მათ მიერ შუმუშავებული სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების ცხრილები, როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის (განმსაზღვრელი შეფასებას სკოლა აწარმოებს სამივე კომპონენტში: საკლასო დავალება, საშინაო დავალება და შემაჯამებელი დავალება). წარმოდგენილი ცხრილები არის ზოგადი. **რჩევა** - სამივე საფეხურზე, სასურველია შეფასების სისტემის უფრო დახვეწა, (მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა), შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არამარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების აქტიურად გამოყენება. ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებისაც. სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით მოსწავლეები შეაფასებენ ერთმანეთს და იმსჯელებენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. მოსწავლეების ჩართულობა შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში გაზრდის სანდოობას და გამჭვირვალობის დასტური იქნება როცა მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ გაეცნობიან დავალების შეფასების რუბრიკებს. **2.1.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების სტრატეგიები/მიდგომები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. კერძოდ, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების

	რუბრიკებში იკვეთება კავშირი საგნობრივ საკითხებსა და სტანდარტებით განსაზღვრულ შედეგებს შორის. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** მნიშვნელოვანია, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებულ რუბრიკებში გამოიკვეთოს საკითხის მიმართება მხოლოდ იმ სამიზნე ცნებებთან, რომლებიც მუშავდება აღნიშნული საკითხით კურიკულუმის თანახმად. აღნიშნული რეკომენდაცია მიემართება როგორც განმავითარებელი, ასევე, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რუბრიკებში უფრო სიღრმისეული კავშირები/მიმართებები გამოიკვეთოს საგნობრივ საკითხებსა და სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს შორის. სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ქულები თანაბრად გადანაწილდეს იმ სამიზნე ცნებებთან მიმართებით მისაღწევ შედეგებზე, რომლებიც კონკრეტული საკითხებით მუშავდება. ბუნდოვანია, რიგ შემთხვევებში რა პრინციპით ნაწილდება არათანაბარი ოდენობის ქულები ერთი საგნის ფარგლებში სხვადასხვა შედეგთან მიმართებით. ასევე, სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში უარყოფითი შეფასების ამსახველი რაოდენობრივი ქულა არ იყოს გათვალისწინებული (იგულისხმება 0-4 ქულა).
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრას სამივე საფეხურზე სამივე საგანში (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა) წარმოდგენილი აქვს მათ მიერ შუმუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც შეესაბამება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებს და საშუალებას იძლევა, ობიექტურად შეფასდეს მოსწავლეთა შედეგები. ინტერვიუს დროს დასმულ კითხვაზე თუ რით იხელმძღვანელებენ კონკრეტული დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკების და კრიტერიუმების შექმნის დროს, მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ ითვალისწინებენ პირველ რიგში კონკრეტული დავალების ხასიათს თუ რას ამოწმებს ეს დავალება და ხელმძღვანელობენ ესგ-ში საგნის სტანდარტში მოცემულ ე.წ. შედეგ-ინდიკატორებით. **2.1.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერს წარმოდგენილი შეფასების სისტემა, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციები და ამოცანები. ასევე გვხვდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი

	შეფასების რუბრიკები, რომლებიც ზოგად წარმოდგენებს ქმნის საფეხურის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. სკოლას აქვს შესაბამისი გამოცდილება და მზაობა, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიანი მიზნებისაკენ. **2.1.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. დოკუმენტაციაში გაწერილია შეფასების სხვადასხვა ფორმა, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. ასევე წარმოდგენილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობასა და გამჭვირვალობას. აღნიშნული მიდგომები ქმნის პირობებს მოსწავლის აკადემიური პროგრესის დაკვირვებისა და სწავლის შედეგების შეფასებისთვის. **2.1.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	დოკუმენტების შესწავლისას გამოვლინდა და პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი იყენებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. წარმოდგენილი რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. მათ წარმოადგინეს რუბრიკები ზოგიერთი თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისათვის** **რჩევა:** თითოეული დავალებისთვის შექმნან და გამოიყენონ კონკრეტული თემის/საკითხის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით.
სპორტი	შეფასების რუბრიკები შემუშავებულია სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის სავალდებულო მინიმუმი,

	წარმოდგენილია რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიანი მიზნების ორიენტაციით. **2.1.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა წარადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასები. პედაგოგები იყენებენ/გამოიყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუს დროს და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (შეფასების რუბრიკები) გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. შეფასების დიზაინი, რომელსაც იყენებს მასწავლებელი განმავითარებელი შეფასებისას ქმნის მნიშვნელოვან პლატფორმას მოსწავლის მრავალმხრივი გაცნობისა და შესწავლისთვის. განმსაზღვრელი შეფასება კი წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/ კრიტერიუმთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით შეფასების ეს ფორმა მართულია მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება, როგორც პროცესის შემაჯამებელი რაიმე თემის, თავის, სემესტრის, საკითხის და ა.შ. დასასრულს. **2.1.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე შემოქმედებითი ბუნების დავალებების მიხედვით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **2.1.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულა**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- ი.ს.გ
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი სისტემის ამსახველი შეფასების რუბრიკები.

- საგნობრივი კურიკულუმები.
- კათედრის სხდომის ოქმები.
- განხორციელებული პროექტები
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები
- 2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგემა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე ბუნებისმეტყველებაში სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები გაწერილია სავალდებულო თემებით და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნებით, რომლებიც საჭიროებს დახვეწას. **რჩევა:** კურიკულუმების შექმნის / ცვლილების დროს სასწავლო წლის დასაწყისში კათედრის მიერ შემუშავებულ კურიკულუმების ფორმაში დაამატონ კონკრეტული თემის გავლას დაახლოებით რამდენი აკადემიურ საათს დაუთმობენ. აგრეთვე სასურველია კურიკულუმები მეტად იყოს სკოლის საჭიროებებზე მორგებული რეალური და დაძლევადი, ყოველივე ეს გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად, რაც დასტურდება თითოეული საგნის ფარგლებში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებებით, შეფასების რუბრიკებითა და მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრებით. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს მიღებული პასუხებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე სამივე საგანში (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა) დაგეგმილია და მიმდინარეობს შედგენილი კურიკულუმების მიხედვით. შესრულებული დავალების აღწერით უცხოური ენების კათედრის მასწავლებლების მიერ დამტკიცდა, რომ კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეებზე. წარმოდგენილი დავალებები, მოსწავლეთა ნამუშევრები, თუ ის განხორციელებული პროექტები, რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს

	ისაუბრეს, ნამდვილად გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების მიხედვით მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა აქტიურად იყვნენ ჩართული საკუთარი ცოდნის კონსტრუირებაში ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი უნარის, მიზნის მისაღწევი ქმედებების დაგეგმვის და განხორციელების გზით. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტს და მიღებულ ცოდნას უკავშირებენ რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებს. კათედრის მიერ განხორციელებულია რამდენიმე სასწავლო-შემეცნებითი პროექტი. ასევე სკოლის ძლიერ მხარედ უნდა ჩაითვალოს არჩევითი საგნის (XIX-XX საუკუნის დასავლეთის ლიტერატურის) სწავლება, სწავლება მიმდინარეობს მასწავლებლის მიერ დაგეგმილი კურიკულუმის შესაბამისად და გამდიდრებულია მრავალფეროვანი ლიტერატურული წყაროებითა და რესურსებით. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლებისას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. დავალებებს არჩევენ ისე, რომ მისი შესრულება საინტერესო და ამავდროულად დაძლევადი იყოს მოსწავლეებისათვის. ითვალისწინებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

სპორტი	კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმებში გაწერილია მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია სამიზნე ცნებების სახით. აქტივობები შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად -დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ მასწავლებლები სწავლების პროცესში ეყრდნობიან კურიკულუმში ასახულ მიზნებს, სამიზე ცნებებს, საკითხებს. ისინი იყენებენ სამგანზომილებიან მიდგომას, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, და იყენებენ კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებს, მრავალფეროვან ციფრულ რესურსებსა და სხვადასხვა სწავლების ფორმატს. დაგეგმვა ეფუძნება ინდიკატორებსა და შეფასების ინსტრუმენტებს, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმთან შესაბამისობას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. **ინდიკატორი2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან დგინდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მიხედვით: საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემატური ერთეულები და საკითხები შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებსა და მისაღწევ შედეგებს; აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად; **ინდიკატორი2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვით სკოლა ახორციელებს სასწავლო პროცესს. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალსიწინებს ინკლუზიური განათლების პროგრამას, რომელიც გულიხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად. ამისთვის სკოლა საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ გეგმას, ქმნის ისგ ჯგუფს. სასკოლო სასწავლო გეგმა ასევე განსაზღვრავს საჭიროების შემთხვევაში შინ სწავლებაზე გადაყვანის წესებს. სკოლას აქვს მოქნილი მექანიზმი რომელიც

უზრუნველყოფს სწავლის პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას. რომელიმე მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში ხდება სხვა მასწავლებლით ჩანაცვლება. სკოლამ, ვიზიტის დროს წარმოადგინა, მასწავლებელთა ჩანაცვლების ჟურნალი. განსაზღვრულია საჭიროების შემთხვევაში ახალი კადრის შერჩევის წესი და არსებული კადრების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. სამივე საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და იძლევა მათი საჭიროებების მიხედვით ცვლილების საშუალებას.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შეფასების სისტემა სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. **რჩევა**: კარგი იქნება თუ შეფასების სისტემის ვალიდურობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავებენ უფრო კონკრეტულ, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს. ასევე სასურველია შემუშავდეს შეფასების რუბრიკების მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის გაცნობის მექანიზმი. მოსწავლეებს წინასწარ მიაწოდონ დავალების პირობა, მიზანი და შეფასების კრიტერიუმები. კათედრის წევრებმა მოლოდინების შესაბამისად გააანალიზონ მოსწავლეთა ნამუშევრები შუალედურ მიზნებთან მიმართებით და მოაწოდონ უკუკავშირი კათედრაზე შეთანხმებული ფორმითა და ფორმატით. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	თითოეული საგნის ფარგლებში შეფასებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადჰყოფს, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალი საგნების მასწავლებლები შეფასების პროცესში ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, ამოცანებსა და მიზნებს. წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ადასტურებს შეფასების სისტემის ვალიდურობასა და სანდოობას. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

	რჩევა: მნიშვნელოვანია, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებულ რუბრიკებში გამოიკვეთოს საკითხის მიმართება მხოლოდ იმ სამიზნე ცნებებთან, რომლებიც მუშავდება აღნიშნული საკითხით კურიკულუმის თანახმად. აღნიშნული რეკომენდაცია მიემართება როგორც განმავითარებელი, ასევე, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რუბრიკებში უფრო სიღრმისეული კავშირები/მიმართებები გამოიკვეთოს საგნობრივ საკითხებსა და სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს შორის. სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ქულები თანაბრად გადანაწილდეს იმ სამიზნე ცნებებთან მიმართებით მისაღწევ შედეგებზე, რომლებიც კონკრეტული საკითხების ფარგლებში მუშავდება. ბუნდოვანია, რიგ შემთხვევებში რა პრინციპით ნაწილდება არათანაბარი ოდენობის ქულები ერთი საგნის ფარგლებში სხვადასხვა შედეგთან მიმართებით. ასევე, სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში უარყოფითი შეფასების ამსახველი რაოდენობრივი ქულა არ იყოს გათვალისწინებული რუბრიკაში (იგულისხმება 0-4 ქულა).
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ სამივე საგანში (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა) წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ესგ-ს მიერ განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებსა და სამიზნე ცნებებს, შემუშავებულია გასავლელი თემების შესაბამისად. კათედრის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები და მასწავლებლების პასუხები ინტერვიუს დროს თუ როგორ აფასებენ მოსწავლეებს, გვაძლევს საშუალებას დადებითად შევაფასოდ ეს ინდიკატორი. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი სახის, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყოველი მოსწავლის შეფასება თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი სკოლა ზრუნავს მის ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. შეფასება არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	დოკუმენტაციის შესწავლისას და მასწავლებელთან ინტერვიურების შემდეგ ირკვევა, რომ შეფასების სანდოობა და სამართლიანობა უზრუნველყოფილია მკაფიოდ ჩამოყალიბებული რუბრიკებით, სადაც კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და ყველასთვის ერთნაირად გამოიყენება. შესრულების დონეები ნათლად არის აღწერილი, რაც ამცირებს სუბიექტურ შეფასებას და ხელს უწყობს ერთგვაროვან მიდგომას. რუბრიკები წინასწარ არის გაზიარებული მოსწავლეებთან, რაც ზრდის პროცესის გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს, რომ შეფასება ეფუძნებოდეს მხოლოდ შესრულების ხარისხს და ყველა მოსწავლე შეფასდეს თანაბარ პირობებში/სამართლიანად. შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული მისაღწევი შედეგებიდან და შესაბამისობაშია თემის ფარგლებში განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან. ამასთან, შეფასების კრიტერიუმები ადაპტირებულია კონკრეტული სასწავლო დავალების პირობებსა და მოთხოვნებზე. აღნიშნული უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, რადგან შეფასების ინსტრუმენტები პირდაპირ არის დაკავშირებული სასწავლო მიზნებთან, საგნობრივი სტანდარტის შედეგებთან და მოსწავლეთა მიერ შესასრულებელი დავალების შინაარსთან. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრაზე იქმნება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა საგნობრივ სტადარტების ინდიკატორებსა და შედეგებს. შეფასება ხორციელდება გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაყრდნობით. მოსწავლეები ეცნობიან შეფასების რუბრიკებს, რომლებიც შედგენილია ობიექტურად სამართლიანობის პრინციპის დაცვით. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია**
სპორტი	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში არსებობს დეტალურად შემუშავებული შეფასების რუბრიკები, რომლებიც განკუთვნილია კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს შეფასების კრიტერიუმებისა და მოლოდინების გასაზიარებლად. მასწავლებლებს ესმით, რომ წინასწარ უნდა აცნობონ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმები, რაც ეხმარება სწავლის სწორ დაგეგმვას და თვითშეფასების განვითარებას. ასეთი მიდგომა ქმნის

	გამჭვირვალე და სამართლიან გარემოს, სადაც მოსწავლეები კარგად ხვდებიან, რაზე ეფუძნება მათი შეფასება. შეფასება ფოკუსირებულია როგორც შედეგზე, ასევე მოსწავლის განვითარების პროცესზე, რაც ზრდის სისტემის სანდოობასა და ობიექტურობას. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. აქედან გამომდინარე დგინდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს ვერიფიკაციის მიზნებს, მიმართულებებს, დაგეგმვასა და განხორციელებას, ვერიფიკაციის სიხშირეს და პერიოდს, ვერიფიკაციის შედეგების დოკუმენტირების ფორმას-ანგარიშის მომზადება და ვერიფიკაციის შედეგების განზოგადოების წესს. შემუშავებული წესით სკოლა აცხადებს მზაობას, მოსწავლის შეფასების სისტემის ვერიფიკაცია განხორციელდეს დადგენილი რეგულაციების მიხედვით.

ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის კურირკულუმები მოიცავს ინფორმაციას შეფასებასთან დაკავშირებული შენახვის ვადების შესახებ. კერძოდ, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- სსიპ - ქალაქ თბილისის N9 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული 202-2025წ.სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის დირექტორის N 2-31 ბრძანება -ვერიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ
- ვერიფიკაციის მექანიზმი

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგანში (ბუნებისმეტყველება ქიმია ბიოლოგია ფიზიკა) ძირითადად კურიკულუმები შემუშავებულია გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით. აგრეთვე კათედრა მრავლად იყენებს სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს (ბმულები მოცემულია კურიკულუმებში). **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	თითოეული საგნის ფარგლებში ძირითად რესურსებად წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები, თუმცა საგნობრივ კურიკულუმებში ვხვდებით დამატებით ლიტერატურას/რესურსებს როგორც მატერიალური, ასევე, ელექტრონული რესურსების სახით. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, თითოეულ საგანში გამოიკვეთოს კონკრეტული ძირითადი რესურსები (ე.წ. კონტექსტ-მაგალითები), რომლებიც კურიკულუმით განსაზღვრული საგნობრივი საკითხების

	სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან მიმართებით კავშირებს გამოკვეთს, რაც საკითხების სიღრმისეულად გააზრებას უზრუნველყოფს
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სამივე საგანში (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა) კურიკულუმები შემუშავებულია გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით. აგრეთვე კათედრა მრავლად იყენებს სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნების პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ წლის დასაწყისში ირჩევენ ძირითად რესურსებს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების სახით. ასევე კათედრა აქტიურად იყენებს სხვადასხვა მატერიალურ თუ ელექტრონულ რესურსებს ვიდეო თუ აუდიო სახით. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში მითითებული ძირითადი რესურსი/ გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელძღვანელოები, შესაბამისი ელექტრონული რესურსები გამოყენებულია სასწავლო პროცესში გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	შესწავლილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა ტიპის რესურსებს მათემატიკაში, მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო და ზოგიერთ თემაში - დამხმარე რესურსი. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო და დამხმარე რესურსები, რომლებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში სასწავლო შედეგის მისაღწევად. სპორტული აქტივობების თვალსაჩინოებისთვის მასწავლებლის მიერ გამოყენებულია, ვიდეო რესურსი, რომელიც

	წარმოდგენილია ჰიპერლინკების სახით. რაც იძლევა სასწავლო პროცესის ხარისხიანად და მრავალფეროვნად წარმართვის საშუალებას. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში** - დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით, სკოლაში სასწავლო რესურსების შერჩევა ეყრდნობა კურიკულუმის მოთხოვნებს. ძირითადი რესურსები მოიცავს სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ელ. რესურსს „school.emis.ge".ასევე იყენებენ საერთაშორისო პლატფორმას: scratch.mit.edu;აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის დიფერენცირებასა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ და საჭიროებისამებრ ცვლიან რესურსებს, რაც ზრდის სწავლების ეფექტიანობას და კურიკულუმთან შესაბამისობას. **ინდიკატორი 2.2.2.1 სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** ***რჩევა:*** მნიშვნელოვანია, პედაგოგებმა მოსწავლეებს შესთავაზოთ მრავალფეროვანი რესურსები სწავლა-სწავლების პროცესში, მაგალითად ვიზუალური პროგრამირების სწავლებისას, სასურველია, მრავალფეროვნებისთვის, გარდა ძირითადი რესურსისა Scratch.mit.edu მოსწავლეებს პარალელურ რეჟიმში შესთავაზონ მსგავსი პლატფორმები, როგორიცაა: Code.org, TinkerCad და ა.შ.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას ძირითად სასწავლო რესურსად განსაზღვრული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები. სასწავლო პროცესში კათედრა ასევე იყენებს დამატებით სახელმძღვანელოებს, ინტერვიუსას გამოიკვეთა რომ იყენებენ სხვადასხვა რესურსებს. **რჩევა** - სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად საჭირო მატერიალური რესურსები; ელ. ბმულები. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. დამხმარე სასწავლო რესურსი (არსებობის შემთხვევაში) არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა აცხადებს, რომ უზრუნველყოფენ სკოლაში არსებული ყველა სასწავლო რესურსის ვალიდაციას. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ მოწოდებულ უცხოური ენების კათერის პირველ ოქმში მე-5 საკითხად არის მითითებული საკითხი: „საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა/განხილვა და დამხმარე რესურსების ვალიდაცია"; საკითხვის გარჩევის დროს კათედრას არჩეული აქვს დამატებითი რესურსები (მაგალითად პირველ უცხოურ/ ინგლისურ ენაში პირველი კლასისთვის არჩეული აქვთ Oxvord Phonics). აგრეთვე საკითხზე მუშაობის დროს კათედრას შემუშავებული აქვს კრიტერიუმები რომელსაც უნდა პასუხობდეს დამხმარე სასწავლო რესურსები. ამ ოქმს დანართის სახით (დანართი 2) ახლავს საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა რომელშიც მითითებულია გრიფმინიჭებული სახელმძვანელოები. ინტერვიუს დროს დასმულ კითხვაზე თუ რა პრინციპებით და როგორ ადგენენ დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალს მასწავლებლებმა გასცეს პასუხი რომ სასწავლო წლის განმავლობაში ერთად იკრიბებიან და მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ადგენენ ამა თუ იმ დამხმარე რესურსის შესაბამისობას ესგ-ის საგნობრივ სტანდარტთან (თემა, მიზნები და ა.შ.). **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**

	რჩევა: სასწავლო წლის დასაწყისში კათედრა ზუსტად მიუთითოს რომელ საგანში რომელ დამატებით სასწავლო რესურსებს გამოიყენებს და საგანმანათლებლო რესურსების ნუსხაში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებთან ერთად იყოს მითთებული დამატებითი სასწავლო რესურსებიც. სასურველია სკოლის ადმინისტრაციის სათანადო პირმა გამოიკვლიოს კათედრის მიერ შერჩეული დამატებითი დამხმარე რესურსების ვალიდობა / ან თავად კათედრამ დაადგინოს ამ რესურსების ვალიდობა.
ესთეტიკური აღზრდა	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება საგნობრივი კათედრების შეხვედრების ფარგლებში. სკოლას შემუშავებული აქვს ვალიდაციის წესი. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევას შინაარსობრივი შესაბამისობისა და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. რესურსების შერჩევა ხორციელდება მასწავლებლების მონაწილეობით და გამოიყენება სასწავლო პროცესში მიზნობრივად. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. კათედრებზე განიხილება ეს საკითხი და მიიღება შეთანხმებული გადაწყვეტილება. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრების წევრების შეთანხმების საფუძველზე სასწავლო წლის დასაწყისშივე. სკოლა ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხის

	შეფასებას და შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან. მასწავლებლები აქტიურად აწარმოებენ რესურსების გამოკვლევას და ირჩევენ მხოლოდ ეფექტურ და მიზნობრივ მასალებს. ვალიდაციის პროცესში გათვალისწინებულია რესურსების შესაბამისობა კურიკულუმთან, მოსწავლეთა საჭიროებებთან და სასწავლო მიზნებთან. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ რესურსები რეალურად ეხმარებიან სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა წარმატებას. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევის საკითხის განხილვა ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე. გამოიყენება ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას და კერძოდ საბუნებისმეტყველო კათედრას არ გააჩნია შესაბამისი საკმარისი მატერიალური რესურსი, რომ უზრუნველყონ კურიკულუმებში გათვალისწინებული მიზნების მიღწევა. მაგალითად, კათედრას შეუძლია გამოიყენოს სკოლაში არსებული ლაბორატორია, არსებული ინვენტარით, ასევე, პროექტორი საჭიროების შემთხვევაში. სკოლაში არის ინტერნეტი. თუმცა მატერიალურ- ტექნიკური ბაზის ადგილზე დათვალიერების დროს გადაღებული ფოტოებიდან დგინდება, რომ საგნობრივი ლაბორატორია არ არის სათანადოდ აღჭურვილი. კერძოდ, სივრცეში არ მოიპოვება გამწოვი კარადა და სამუშაო ცეცხლგამძლე ზედაპირიანი მაგიდა.

	აღნიშნული ხელს უშლის საბაზო და საშუალო საფეხურზე კურიკულუმის განხორციელების პროცესს. სკოლას შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქვს ლაბორატორიის აღჭურვა საჭირო მატერიალური რესურსით 1.10.2027 წლამდე. **რეკომენდაცია** - სკოლას მიეცა რეკომენდაცია, საბაზო და საშუალო საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მიღწევის მიზნით, ლაბორატორიაში დამონტაჟდეს სტანდარტის შესაბამისი გამწოვი კარადა და არსებული სამუშაო მაგიდა ჩანაცვლდეს სპეციალიზებული ცეცხლგამძლე ზედაპირიანი მაგიდით. ლაბორატორია შეივსოს ახალი რეაქტივებით და სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისთვის საჭირო რესურსებით. **ინდიკატორი 2.2.2.3. მეტწილად დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას მოსწავლეებს უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლას და კერძოდ უცხოური ენების კათედრას გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი რომ უზრუნველყონ კურიკულუმებში გათვალისწინებული მიზნების მიღწევა. (ელ. ტექნიკა, ინტერნეტი და ა.შ.). **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ მოწოდებული მასალით ასევე მასწავლებელთა ინტერვიუდანაც დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შესაბამის გარემოში, სკოლა უზრუნველყოფილია შესამაბისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	სწავლის შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსები. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლას აქვს ყველა საჭირო მატერიალური რესურსი სასწავლო პროცესის გამართული ფუნქციონირებისათვის. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლა მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ რესურსს: უსაფრთხო და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილ სპორტულ დარბაზს და გარე სივრცეში მოწყობილ სპორტულ მოედანს. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით, სკოლაში სწავლების ეფექტიანობა ხელშეწყობილია საჭირო ტექნიკური და მატერიალური ბაზით. სასწავლო პროცესი არის უზრუნველყოფილი კომპიუტერული ტექნოლოგიებით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლების სხვადასხვა ფორმებში. მათთვის გათვალისწინებულია კომპიუტერების საკმარისი რაოდენობა, რათა ჯგუფში თითოეულმა მოსწავლემ მიიღოს ინდივიდუალური და ხარისხიანი სწავლების შესაძლებლობა. ეს უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და პრაქტიკული უნარების განვითარებას. **რჩევა**: სასურველია, სკოლამ ყოველწლიურად შეიმუშაოს ციფრული ტრანსფორმაციის სტრატეგიული გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და არამატერიალური ტექნოლოგიური რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ძლიერი და სუსტი მხარეების სისტემურ ანალიზს, ასევე სკოლის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესის უწყვეტ განვითარებასა და გაუმჯობესებას. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსები, კურიკულუმებში ჩანს, რომ აქტიურად იყენებენ ელ. რესურსებს, პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**: სასურველია სკოლამ კიდევ უფრო მეტად ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში (რაც დაადასტურეს ინტერვიუს დროს)
ზოგადი ექსპერტი	**რჩევა:** კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს/შეფასებას და რა ინსტრუმენტები გამოიყენება მონიტორინგის და შეფასების პროცესში. **ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. კერძოდ, სკოლაში დასაქმებულია 59 მასწავლებელი. მათ შორის უფროსი-46; წამყვანი-10, მენტორი- 1და 2 მოწვეული მასწავლებელი. მასწავლებლები შერჩეული არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. სკოლას ასევე ჰყავს მეტყველების თერაპევტი და ფსიქოლოგი.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებელთა პირადი საქმეები
- მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები
- მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები

- სკოლის ფსიქოლოგთან გაფორმებული ხელშეკრულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს. კერძოდ, იმის აღწერა თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი), აგრეთვე, რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). სასკოლო კურკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული

ფორმატით და წარიმართება შემდეგი სამი მიმართულებთ: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების განვითარებისთვის). სასურველია მეთოდოლოგიური დოკუმენტი დეტალურად მოიცავდეს კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურებს, კერძოდ ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს/შეფასებას და რა ინსტრუმენტები გამოიყენება მონიტორინგის და შეფასების პროცესში.

სკოლამ წარმოდგინა სასწავლო პროცესის შეფასების ფორმები: ურთიერთშეფასება, თვითშფასება და დირექტორის მიერ სასწავლო პროცესის შეფასება. საიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ეროვნული სასსწავლო გეგმის მოთხოვნებს კერძოდ, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპის განთვალსიწინებით. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ განივითარონ გლობალური და ფუნქციური უნარები და სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ჰოლისტური მხარდაჭრა. ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოდეგინა მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების მასალები: შემაჯამებლების ანალიზი კლასებისა და საფეხურების მიხედვით, დაწყებით საფეხურზე დიაგნოსტიკური წერების და განხორციელებული კომპლექსური დავლების რეფლექსიები. წარმოდგენილ მასალებში საუბარია როგორ მიმდინარეობდა კურიკულუმის განხორციელების პროცესი, იყო თუ არა სირთულე და დასჭირდათ თუ არა საგნობრივი კურიკულუმების მოდიფიცირება. სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგდოების აზრის კვლევას, წარმოდგენილია მშობლის კითხვარი, სადაც ჩანს სკოლის ინტერესი გაიგოს მშობლის აზრი სასწავლო პროცესის შესახებ, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარის შესახებ.

რჩევა: კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს/შეფასებას და რა ინსტრუმენტები გამოიყენება მონიტორინგის და შეფასების პროცესში.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება წარიმართება, როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით. სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანალიზი გაზრდის და გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს. კათედრების მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერასა და დახმარებას. ვინაიდან სასკოლო

საზოგადოების ინტერესის სფეროს წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი, ამიტომ დაგეგმილია კურიკულუმების გადახედვა, თუ რამდენადაა შესაბამისობაში ესგ-სთან, რამდენად არის მასში ასახული მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, დაგეგმილი და ჩატარებული აქტივობები რამდენად იძლევა ესგ-ს შედეგებზე გასვლის საშუალებას, აძლევს თუ არა განმავითარებელი შეფასება მოსწავლესა და მასწავლებელს საშუალებას გაანალიზოს სწავლის შედეგების პროგრესი. რამდენად უწყობს შეფასების რუბრიკები ხელს მასწავლებელს დაინახოს მოსწავლის განვითარების დინამიკა, ხოლო მოსწავლეს - დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. მასწავლებლებს გათვითცნობიერებული აქვთ რომ ყველა მოსწავლის წარმატებაზე დაკვირვებისთვის აუცილებელია კარგად იცნობდნენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას. ამიტომ პედაგოგები მჭიდროდ თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში გაწერილია მის შემუშავებაში მონაწილე პირების ფუნქციები, რაც მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია მოიცავს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების განმარტებებს. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და კათედრების ხელმძღვანელების მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, ითვალისწინებენ კათედრის წევრთა მიერ გაზიარებულ გამოცდილებას. ასევე დამრიგებლები სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებით აკვირდებიან მოსწავლეებს და გამოკვეთენ მათ ინტერესების სფეროს, ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ, რაც შემდგომ გათვალსიწინებული იქნება სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს. აღნიშნულიდან გამომდინარე მონიტორინგი და შეფასება ემსახურებოდეს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას.

ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- სსიპ - ნოდარ ახალკაცის სახელობის ქალაქ თბილისის N9 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული 2025-2026წ.სასკოლო სასწავლო გეგმა სამივე საფეხური

- სსიპ - ქალაქ თბილისის N9 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“,
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი

- სასწავლო პროცესის შეფასების ფორმები: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- შემოქმედებითი დავალების რფლექსია
-

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის შეფასება. კერძოდ, სკოლაში შექმნილია ხარისხის მხარდაჭერის ჯგუფი, ხდება გაკვეთილებზე დაკვირვება და შეფასება, როგორც დამკვირვებლის მიერ ასევე მასწავლებლიც აკეთებს თვითშეფასება. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები წარმოადგენს მტკიცებას იმისა, რომ მასწავლებლები სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკებს. სამივე საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერ განმავითარებელი კომენტარი. აგრეთვე დაწყებით საფეხურზე. . მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სკოლა სამივე საფეხურზე მიმართავს ცნებებზე ორიენტირებული განმსაზრვრელი და განმავითარებელი რუბრიკების გამოყენებას. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში ხდება ინფორემაციას შეგროვება მოსწავლეთა სოციალურ-ემოციური ფაქტორების შესახებ.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით, ადგილზე ვიზიტის დროს ინტერვიუთი, სასკოლო სივრცეში გამოფენილი მრავალფეროვანი პროექტებით და შემოქმედებითი პროდუქტებით დგინდება , რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის

გათვალისწინებით. კერძოდ, მოსწავლე რამდენადაა ჩართული სასწავლების პროცესში, დისკუსიაში, ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ მუშაობაში პრეზენტაციის წარმართვისას. ასევე მნიშვნელოვანია, რამდენად მონაწილეობს მოსწავლე არაფორმალურ აქტივობებში, კლუბურ მუშაობაში, სასკოლო ღონისძიებებში, ოლიმპიადებში და სკოლაში მიმდენარე სხვადასხვა პროცესებში. მრავალი კონტექსტით შეფასება საშულებას იძლევა შეფასდეს რამდენად ეფექტურია სასწავლო პროცესში დაგეგმილი აქტივობები.

ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სკოლა იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორიცაა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, უკუკავშირი, განმავითარებელი კომენტარი, კითხვარები, მონაცემთა ანალიზი (შემაჯამებელისანალიზი). შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, ცნობილი ხდება მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა აზრი სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად მიზნობრივი ღონისძიებების განხორციელებას.

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესის შეფასების ფორმებით, რეფლექსიებით, შემაჯამებელი დავალებების ანალიზებით დაგინდება, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადსხვა ფაქტორის გათვალსიინებით. კერძოდ, ფასდება აკადემიური უნარები, აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები, კომუნიკაციის ზოგადი უნარ-ჩვევები. ფასდება საგაკვეთილო პროცესი რამდენადაა ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე, ცოდნის სამივე კატეგორიაზე, ინდივიდუალურ მიდგომებზე, რამდენად ეფექტურია გამოყენებული რესურსები და სხვა. შეფასების პროცესში მრავალი ფაქტორის გათვალისწინება მნიშვნელოვანია სასწავლო გარემოს ჰოლისტური შეფასებისთვის.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

- სსიპ - ქალაქ თბილისის„ნოდარ ახალკაცის სახელობის N9 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული 2025-2026წ.სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასწავლო პროცესის შეფასების ფორმები: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება.
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი
- შემოქმედებითი დავალების რფლექსია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

პედაგოგთა ინტერვიურების პროცესიდან და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის გათვალიწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმის გადახედვა, მისი გადასინჯვა განხორციელდება საგნობრივ კათედრებზე. საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. კათედრის სამუშაო შეხვედრებზე, მასწავლებლები განიხილავენ მანამდე შექმნილი კურიკულუმს და შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას, რომლის საფუძველზეც მოხდება გადამუშავება. ყოველივე ამაზე დაყრდნობით შეეცდებიან შექმნან კურიკულუმის საუკეთესო მოდელები.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, ასევე პედაგოგებთან საუბრისას მკაფიოდ იკვეთება, რომ საგნობრივ კათედრაზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ შემოქმედებითი დავალებების იდეები, რომელიც პასუხობს მესამე თაობის ესგ-ის მოთხოვნებს. საგნობრივ მეთოდოლოგიურ ორიენტირებს. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და საგნობრივი მიმართულების კათედრის წევრი პედაგოგები მუდმივად განახორციელებენ კურიკულუმების გადახედვის პროცესს. გაზიარება ჯერ კათედრების დონეზე მოხდება, შემდეგ კი სკოლის დონეზე იგეგმება. საგნობრივი მიმართულების კათედრები გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და უზრუნველყოფენ მონიტორინგისა და შეფასების შედეგების მონაცემების ასახვას.

ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ თბილისის„ნოდარ ახალკაცის„ სახელობის N9 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი: 9 ივნისი 2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: